ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№214 (273) 2-9 აპრილი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

გაკოტრებული პრეზიდენტი, რეალობას მოწყვეტილი “ნაცმოძრაობა” და მოახლოებული მკაცრი განაჩენი!

ლათინები ამბობდნენ: **“ჭკვიანს დაწყება უჭირს, სულელს კი დამთავრებაო”.** ძალიან გაუჭირდა სააკაშვილს **“დამთავრება”**, მაგრამ, როგორც ამბობენ, მაინც **“მოუყომარეს საქმე”.**

ბოლოს და ბოლოს, აღსრულდა ქართველი ხალხის ნება და თვალნათელი გახდა, რომ საქართველომ საბოლოოდ დაიხსნა თავი არანორმალური ფსიქიკის მქონე სააკაშვილის და მისი ბანდის მარწუხებისაგან!

ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ავადსახსენებელი **“ნაციონალები”** და მათი დორბლიანი **“ბელადი”** სააკაშვილი ვეღარ მოახერხებენ ისტორიის ჩარხის უკუღმა შემობრუნებას და მათი ავბედითი 9-წლიანი მმართველობა საშინელ სიზმრად შერჩება ქართველი ერის მატიანეს!

საქართველოს ფაქტიურად უკვე ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და **“ნაციონალური მოძრაობა”**, რაც დრო გადის, მით უფრო კარგავენ რეალობის შეგრძნებას. პოსტის დაკარგვით გამოწვეული შიშისაგან სახედაღრეცილი სააკაშვილის ბოლო შეხვედრა საკუთარი პარტიის ბომონდთან, რომელიც **“ექსპოჯორჯიაში”** გაიმართა, ამის თვალნათელი დადასტურება იყო. მიხეილ სააკაშვილი ჩვეული რიხით და შემართებით აიმედებდა საკუთარ მცირერიცხოვან მხარდამჭერებს, რომ მალე **“ნაციონალური მოძრაობა”** უმრავლესობით მოვა პარლამენტში და ისიც დასძინა, ეს **“ხალხის მოთხოვნააო”.**

ეტყობა, მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს, აღარ ახსოვთ, რომ ჯერ 6 თვეც არ არის გასული იმ საპარლამენტო არჩევნებიდან, რომლის შედეგადაც ქართველმა ხალხმა ისინი ხელისუფლებას ჩამოაცილა. ყოფილი ხელისუფალნი მოქმედი ხელისუფლების შეცდომებით აპელირებენ – სააკაშვილმა ისიც კი თქვა, რაც **“ქართულმა ოცნებამ”** 2 თვეში შეცდომები დაუშვა, ჩვენ 9 წლის მანძილზე იმდენი არ შეგვშლიაო. **“ნაციონალური მოძრაობის”** შეცდომების ჩამოთვლას მთელი დღე მოუნდება კაცი, აი მათი დანაშაულობების ნაწილის გახსენება კი შესაძლებელია. ეს ის დანაშაულობებია, რის გამოც დღეს ისინი ხელისუფლებაში აღარ არიან და **“ქართულმა ოცნებამ”** და ბიძინა ივანიშვილმა აპრილის ბოლომდე ხელი რომც არ გაანძრიონ, **“ნაციონალური მოძრაობა”** მაინც ვერ მოიგებს არჩევნებს!

აპრილი **“ნაციონალური მოძრაობისთვის”** სანიშანსვეტო თვედ იქცა – მისი მომხრეები იმედოვნებდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილი პარლამენტს დაითხოვდა, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავდა და საპარლამენტო უმრავლესობასაც მოიპოვებდნენ. რატომღაც, **“ნაციონალებსა”** და მათ მხარდამჭერებს ჰგონიათ, რომ საქართველოს მოსახლეობას საერთო-სახალხო სკლეროზი დაემართა და აღარ ახსოვს ის დანაშაულობები, რომლებსაც წლების მანძილზე, შეგნებულად სჩადიოდნენ სააკაშვილის ჩინოსნები და პარტიული ბოსები.

არადა, ასე ნამდვილად არ არის. ხალხს ყველაფერი კარგად ახსოვს.

თვე კი არა, ათწლეულებია საჭირო, რომ ხალხის მეხსიერებაში გაფერმკრთალდეს მხეცურად ნაწამები სანდრო გირგვლიანის მკვლელობა და მისი მკვლელები, 2004 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს ჩაცხრილული 21 წლის ბუტა რობაქიძე, კორტებთან ჩაცხრილული ზურაბ ვაზაგაშვილი, პატრულის მიერ მოკლული გიორგი გამცემლიძე, შიმშილით გარდაცვლილი ერთი წლის ჩვილი... **“ნაციონალური მოძრაობის”** ზეობის პერიოდში, სააკაშვილის **“ზონდერებმა”** ქუჩაში 90 უდანაშაულო ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს და ახლა, 6 თვეში უნდათ, რომ ხალხმა ეს ტრაგედიები დაივიწყოს?!

“ნაციონალური მოძრაობის” ლიდერების დაკვეთით, კერძოდ, სულიერი თუ ფიზიკური სიმახინჯის განსახიერება გიგა ბოკერიასა და გივი თარგამაძის **“სარდლობით”** სამხედრო ავტომანქანით შეანგრიეს გლდანში ეკლესიის კარი და სპეცრაზმელები მოძღვარს ამბიონში შეუცვივდნენ, მერე იქიდან ბარბაროსულად გამოათრიეს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) და ციხეში ჩასვეს, მრევლს – მოხუცებს, ხანდაზმულ ქალებსა და ბავშვებს კი ხელჯოხებით სასტიკად გაუსწორდნენ. არც ხელვაჩაურში, ფერიის მთაზე დანგრეული ეკლესიის დავიწყება ეგების, რომლის ადგილზეც, ლევან ვარშალომიძე იფიცებოდა, გასართობ ცენტრს ავაშენებო და დღემდე აგური აგურზე არავის დაუდია. ქართველი ხალხი ამ სისასტიკისა და რელიგიური გრძნობების აბუჩად აგდებას, სულში ჩაფურთხებას, 6 თვეში ვერ დაუვიწყებს სააკაშვილსა და მისი კარის ბიჭებს.

რამდენჯერმე ხახამშრალი დატოვა **“ნაციონალურმა მოძრაობამ”** ქართველი ხალხი – მისი ნების საწინააღმდეგოდ, არა ერთი არჩევნები გააყალბა. ჯერ სააკაშვილი მოიყვანა ხელმეორედ პრეზიდენტად, მერე – გიგი უგულავა თბილისის მერად და ბოლოს, 2008 წელს, თავად **“ნაცმოძრაობა”** ხელახლა, გაყალბებული არჩევნებით გაუბატონდა ხალხს. ამ არჩევნებს რა ძალადობა და ცოდვის ტრიალი ახლდა თან, ისიც კარგად ახსოვს ხალხს და ვერც ამის დავიწყებას შეძლებენ **“რაღაც 6 თვეში”.**

ბიუჯეტიდან მოპარული მილიონები და ამ ფულით გაქსუებული ჩინოვნიკები, რომლებიც რიგით, უბრალო ადამიანებს ძაღლადაც კი არ ადგებდნენ და მარტო არჩევნების წინ ახსენდებოდათ ისინი – ესეც **“ნაცმოძრაობის”** მმართველობის სტილია. პოლიტიკური ნიშნით ათეულ ათასობით პატიოსანი ადამიანი დაითხოვეს სამსახურებიდან, ქართული სამეცნიერო და სასწავლო კერები ჩააქრეს და ქართული ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი საშიმშილოდ გაიმეტეს – უბოდიშოდ გაყარეს სამსახურებიდან, აქაოდა, თქვენს ნაცვლად ახალი, ლიბერალურ იდეებზე დამყნობილი ინტელიგენცია უნდა აღვზარდოთო. ეს აღზრდისა და საგანმანათლებლო სისტემაც განუწყვეტელი ექსპერიმენტების სარბიელად აქციეს და დღეს, ქართველ სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებზე გაუნათლებელი ძნელად მოიძებნება ევროპისა და პოსტსაბჭოურ სივრცეში – ამას არა ერთი საერთაშორისო კვლევა ადასტურებს. ეს კი ისეთი უბედურებაა, 6 თვეში არათუ ვერ დაივიწყებს კაცი, პირიქით, რაც დრო გავა, მით უფრო მწვავედ შეგვახსენებს თავს, როგორც ჭირი და ძნელად მოსარჩენი სენი.

ათზე მეტი დამოუკიდებელი ტელეკომპანია დახურა ან საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა **“ნაცმოძრაობამ”**, ყველაფერი კი იმით **“დააგვირგვინა”, “იმედში”** სპეცრაზმელები გაგზავნა, ჟურნალისტები **“დუბინკებით”** აცემინა, ბოლოს კი ტელეკომპანიის ძვირადღირებული ტექნიკა ველურებივით დაამსხვრიეს. აქვე ე.წ. ჯაშუში ფოტოგრაფების ისტორიაც გავიხსენოთ – 3 უდანაშაულო ადამიანს სამშობლოს ღალატი დასწამეს და ციხეში გამოკეტეს. თავისუფალი მედიისა და ცალკეული ჟურნალისტების რბევას დემოკრატიის ლოზუნგებით ახორციელებდნენ **“ნაციონალები”**. ესენიც ისეთი ისტორიებია, რომ 6 თვე ნამდვილად არ არის საკმარისი, რომ შეურაცხყოფილ ხალხს ამ საშინელებათა ჩამდენებისკენ გული მოუბრუნდეს.

საქართველოში ადრე გაზაფხულის უამინდობამ და ძლერმა ქარებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნაციონალების ხელისუფლება ყველაფერს ზერელედ აკეთებდა, თანაც, მხოლოდ არჩევნების წინ. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ უხარისხოდ ჩატერებული სარემონტო სამუშაოები, ქარს გატანებული საცხოვრებელი სახლის სახურავები და ამ რემონტში დახარჯული ფული! რაც შეეხება თბილისში, დავით აღმაშენებლის **“განახლებულ”** გამზირს, რომელსაც ასევე მილიონები მოხმარდა, შეიძლება ითქვას, რომ იგი გარედან მტერს უვსებს თვალს, შიგნით კი – მოყვარეს. აქ თვალის ერთი გადავლებითაც კი ნათელია, რომ უგულავას სულბინძურმა ბანდამ საკმაოდ კარგად მოითბო ხელი ამ ავანტურისტულ კამპანიაზე, მანამდე მშვიდად მცხოვრები მოქალაქეები კი ახლა ათას პრობლემასა და გასაჭირს უჩივიან!

1 ოქტომბრისთვის, როცა **“ნაციონალთა”** მმართველობა თითქმის დასრულდა ქვეყანაში (ერთადერთი მუხრუჭი მიხეილ სააკაშვილია, რომლის ხუშტურებს, კიდევ რამდენიმე ხანი უნდა გავუძლოთ!), ციხეებში 24 ათასზე მეტი პატიმარი იყო გამოკეტილი, მათი ნაწილი, სრულიად უდანაშაულოდ იხდიდა სასჯელს. რაც იმ ციხეებში ხდებოდა, იმ საშინელებებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ ერთს ვიტყვი – ციხეებში მამაკაცების გაუპატიურების ამაზრზენმა კადრებმა არათუ მთელი ქვეყანა შეძრა, სწორედ **“ნაცმოძრაობის”** დასასრულის დასაწყისად იქცა. ამას, 6 თვეში კი არა, არასდროს დაივიწყებს ხალხი – ეს ის დამღაა, რომელსაც **“ნაცმოძრაობა”** ვერასდროს მოიცილებს.

“ნაციონალური მოძრაობის” ლიდერების, მათი რჩეული ჩინოვნიკების ბრძანების შედეგი იყო ის, რომ დევნილები სპეცრაზმელებმა ცემა-ტყეპით რომ გამოასახლეს სხვადასხვა შენობებიდან და დახურულ, ნივთებისა და ავეჯის გადასატან მანქანებში შეყარეს ქალები, მოხუცები და მცირეწლოვანი ბავშვები და სამეგრელოში, ფოცხოში ასე ჩაიყვანეს. არადა, რომ ჰკითხო, დიდი ჰუმანისტია ჩვენი პრეზიდენტი და წინასაარჩევნოდ, დევნილებთან სტუმრობისას, კურცხალიც ჩამოუვარდება-ხოლმე დაწვზე. ნორმალურ ადამიანებს ამგვარი შეურაცხყოფა 6 თვეში არ ავიწყდებათ, ამის დავიწყებას წლები სჭირდება და პატიებას, კიდევ მეტი დრო.

მიხეილ სააკაშვილმა და მისმა **“ნაცმოძრაობამ”** თავისი უგუნური პოლიტიკით დაკარგა ქვეყნის ტერიტორიების 20%. დროებით თუ სამუდამოდ, ეს კიდევ საკითხავია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ქვეყანას 53.000 ახალი დევნილი გაუჩნდა, ხოლო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების შანსი ყუამდე დავიდა. თაობები ვერ დაივიწყებენ ამას და ვერ აპატიებენ მიხეილ სააკაშვილს – 6 თვე რა სახსენებელია?!

1,5 მილიონი ადამიანი სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, თვეში თითოეული მათგანი 39 ლარს – პურის ფულს იღებს სახელმწიფოსგან და ამასაც აყვედრიდა ხალხს **“ნაცმოძრაობა”**, ვინც მათ არ აძლევდა ხმას არჩევნებში, იმათ ამ პურის ფულსაც ართმევდა. ასეულობით ასეთი ადამიანი დატოვეს საარსებო საშუალების გარეშე. ეს უკვე სააკაშვილის ხელისუფლების ნოვაცია იყო, მსგავსი რამ არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა – მიშას საკუთარი დატაკები ჰყავდა, პოლიტიკური ნიშნით დაყოფილი უღარიბესი ფენა.

ათასობით ადამიანს წაართვეს კერძო ქონება **“ნაციონალებმა”.** ბიზნესს ვინღა ჩივის, ვინც მათ დაუპირისპირდა, საცხოვრებლები წაართვეს, ქუჩაში გამოყარეს, ათასობით ოჯახს ცხოვრება დაუნგრიეს. ვინც მაინც ეურჩებოდა, ისინი ციხეებში გამოკეტეს.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ საშინელებებისა, რასაც სააკაშვილი და მისი პარტია წლების მანძილზე აკეთებდნენ. ამ ყველაფრის მერე, სინდისი არ აწუხებთ და იძახიან – ხალხს ჩვენი მმართველობა მოენატრება და აუცილებლად მოვალთ ხელისუფლებაშიო. თანაც, იმუქრებიან, მალე მოვალთო და ვადაც კი დათქვეს – 2013 წლის აპრილის მიწურული.

IRI-ს ბოლო კვლევების შედეგების მიხედვით, **“ნაციონალურ მოძრაობას”** მხარს გამოკითხულთა მხოლოდ 13% უჭერს. **“ნაციონალებს” IRI**-ს კვლევებში ადრე ეჭვი არასდროს შეუტანიათ და ლამის ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებად მიიჩნევდა მათ მიერ დადებულ ფრიად საეჭვო რეიტინგებს. მათივე საყვარელი კვლევითი ორგანიზაციის **“განაჩენი”** მართლაცდა ადეკვატურია **“ნაციონალთა”** მიმართ საზოგადოების მხარდაჭერისა – 13%, თუმცა, ამ ციფრის ჭეშმარიტებაშიც შეიძლება დიდი ეჭვის შეტანა, რადგან ამდენი პოლიტიკურად ბრმა ან ნაძირალა ადამიანი დღეს აშკარად არ იქნება საქართველოში!

აპრილისთვის, თუ პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა რიტორიკა არ შეცვალა, შესაძლოა, მათ ამხელა რეიტინგიც აღარ ჰქონდეთ. აპრილის მიწურულამდე კი, ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი, სოციალურ სფეროში, მცირედის, მაგრამ მაინც გაკეთებას აპირებს, ანუ იმის გამოსწორებას აპირებს, რაც **“ნაციონალებმა”** ჩააოხრეს, რაც თავისთავად ზრდის მოსახლეობის ნდობას ახალი ხელისუფლებისადმი.

აბა, რისი იმედი აქვთ **“ნაციონალებს”** სააპრილოდ?

ლ. ჯავახიშვილი

მოგზაურობანი

მევენახეობა. – კულტი მიცვალებულთა. – მცენარეთა თაყვანისცემა. – "შაშუ" ანუ "მჯედლობის ღმერთი". ბზით ვაჭრობა.

ღირსების გარდა აქაური ბზა შესანიშნავია თავისი სიდიდითა და ხნოვანებით. აქაურ ტყეებში კაცი დღესაც შეხვდება 600-700 წლის ბზის ხე, რომელსაც ზოგჯერ 10-15 გოჯი სისქე აქვს.

ამ უკანასკნელ დროს ბზის ტყეები ძალზე გაიჩეხა აქეთკენ, რა თქმა უნდა, ამიტომ თვით საქონელიც გაძვირდა. ამ ათისა და თხუთმეტი წლის წინათ ფუთი ბზა პირველი ხარისხისა ოთხ აბაზად და მანეთად რომ იყიდებოდა, ახლა იგივე ფუთი ორ მანეთად და მეტადაც ფასობს ალაგობრივ. მაინც ყოველწლიურად აფხაზეთ-სამურზაყანოდან, თუ მეტი არა, 40.000-50.000 ფუთი ბზა გააქვთ საზღვარგარეთ.

მდინარე ბზიფიდან მე-4 მკილომეტრზე სოფელი კალდახვარაა. გზის პირას, ერთი მხრით, ეკლესია დგას ხისა, მეორე მხრით, რამდენიმე დუქანი, მეგრელთა და აფხაზთა მოსახლეები. იმის ცოტა მოშორებით, სოფლის ბოლოს, დიდი მთავრის, ალექსანდრე მიხეილის ძის, მამულია, თავად გიორგი ერისთავისაგან ნაყიდი. შემდეგ – მე-19 კილომეტრიდან იწყება მამული პრინც ოლდენბურგისა და აქედანვე იწყება თვით გაგრაც, რომელიც ეს ორი-სამი წელიწადია, რაც გაშენდა და რომლის შესახებაც ამდენს ლაპარაკობენ ყველგან.

გაგრა: მისი წარსული, აწმყო და მომავალი

ამჟამად აფხაზეთში და საზოგადოდ შავი ზღვის პირის აღმოსავლეთ ნაწილში ყველას პირზე აკერია გაგრა. ეს ერთი საუკეთესო კუთხეთაგანია შავი ზღვის პირას. აფხაზეთის ქება სოხუმიდან დაიწყო და, როცა სოხუმი ასპარეზზე ამოვიდა, არც ეგონათ, თუ მისი მსგავსი კუთხე მეორეც იქნებოდა ამ მხარეში. მაგრამ გაგრამ ლამის არის, თავი გაუსწოროს შავი ზღვის პირას მდებარე ადგილებს. სულ რაღაც სამი წლის წინათ ეს კუთხე ერთი მივარდნილი და უდაბური ადგილთაგანი იყო აფხაზეთისა. მისი მიგდებულობისა და უპატრონობის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც გახლავთ, რომ ერთი მხრით ჰშორავდა სოჭას, მეორე მხრივ – გუდაუთას. ერთ მიზეზად კიდევ ის უნდა ჩავთვალოთ, რომ რიგიანი ნავსადგური არა აქვს, რომ გემებს უშიშრად შეეძლოთ გაჩერება ღელვის დროს. ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ ვისთვისმე რომ გეთქვათ: დღევანდელ გაგრაში დღიური მიწა შიგ დაბასა და დაბის გარეთ ას თუმნად გაიყიდებაო, სასაცილოდ არ ეყოფოდათ თქვენი ნათქვამი!..

ერთი დრო ჰქონდა გაგრას, დრო ომიანობისა. მარჯვე მდებარეობის წყალობით საომარ ასპარეზად იყო არცეული. მარჯვე მდებარეობის წყალობით საომარ ასპარეზად იყო არცეული. კავკასიის ქედის თანატოლად მომავალი მთა აფხაზეთისა გაგრასთან შიგ ზღვაში იჭრება და ჰქმნის ბუნებრივ საზღვარს აფხაზეთსა და საჩერქეზოს შორის, საზღვარს მიუდგომელს და ძნელად გადასალახველს. საკმარისია იმ ალაგას ათი, ოცი კაცი ჩასაფრდეს, რომ მოსეულს, რიცხვმრავალ მტერს კუდით ქვა ასროლინოს. ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობა რომ ჰქონოდა გაგრას, სწორედ ამიტომაც ააშენა რუსეთის მხედრობამ აქ ციხე და შიგ გარნიზონები ჩააყენა სამოციან წლებში, როცა ომი ჰქონდათ ჩერქეზებთან. ერთხელ ჩერქეზნი შეკრებილან და გადაუწყვეტიათ ღამით უჩინრად დასხმოდნენ თავს რუსთა გარნიზონს. გულისნადებს თურმე მშვენივრადაც აისრულებდნენ და მტერი ცოცხალი ერთიც ვერ გადაურჩებოდათ, რომ შინაურობაში მოღალატე არ გაჩენოდათ, რომელმაც რუსეთის ჯარს ჩერქეზთა განზრახვა შეატყობინა. ასე რომ, როცა ჩერქეზნი მიადგნენ ციხეს, რუსები მზად იყვნენ და სრულებით ადვილად უკუაქციეს მტერი.

როგორცა ვთქვით, გაგრამ ამ სამი წლის წინათ წამოჰყო თავი, მაგრამ წამოჰყო არა როგორც ციხე-სიმაგრემ, არამედ როგორც კლიმატურმა სადგურმა, თვალის სასეირო და დროის გასატარებელმა ადგილმა, რომელმაც უთუოდ დიდი მეტოქეობა უნდა გაუწიოს დასავლეთ ევროპის კურორტებს. რუსეთში დიდი ხანია აზრი ტრიალებს: შავი ზღვის პირის მშვენიერი ადგილები, თბილი ჰავით შემკულები, გამოიყენონ და რუსეთის ფული, ევროპის კურორტებში რომ იხარჯება, რუსეთის იმპერიაშივე დარჩესო. ამ აზრის განხორციელება თავს იდო პრინცმა ოლდენბურგმა, რომელმაც მთელი კომისია შეადგინა და მიანდო შავი ზრვის პირად კლიმატურ სადგურისათვის შესაფერისი ადგილის არჩევა. ბევრი კვლევისა და ძიების შემდეგ არჩევანი გაგრას ხვდა.

მართლაც და ამაზე უკეთეს ადგილს ვერ აირჩევდნენ აქეთკენ როგორც ჰავისა, ისე ბუნების სიტურფის მხრივ. ჩრდილოეთით გაგრას ჰფარავს ტყით შემოსილი მთა, რომელიც უნებრივ კედლად და დაბრკოლებად უდგება კავკასიის ქედიდან წამოსულ ცივ ქარს. ხოლო დასავლეთიდან ზღვა სითბოს უგზავნის აქაურობას.

გაგრის ის ნაწილი, სადაც ახლა სასტუმრო და სხვა შენობებია, ამ სამი წლის წინათ წარმოადგენდა ჭაობს და კაცის სიმაღლეზე აყრილი გვიმრით იყო დაფარული. დიდი ბრძოლა იყო საჭირო ამ მცენარის აღმოსაფხვრელად და ჭაობების ამოსაშრობად. გარდა ამისა, თვით შენობების დასადგამი ადგილი რა კი ცოტა იყო, კლდისათვის უნდა წაერთმიათ ერთი ნაწილი. შრომამ ყველაფერს სძლია. ჭაობები ამოაშრეს. გვიმრნარის ალაგას გაჩნდა მშვენიერი ბაღი ტროპიკული მცენარეებისა. ძნელად დასაჯერებელია, რომ ამ ადგილს სულ ორი წლის განმავლობაში ასე ეცვალოს ფერი, მაგრამ ასე კი გახლავთ. აქაურ ბუნებას, თუ ადამიანმაც ხელი შეუწყო, სასწაული შესძლებია.

მეტად კარგი სამყოფელია გაგრაში ზამთრობით. თბილა, ზამთრის სუსხს კაცი არა გრძნობს, მყუდროება იდილიურია. ტყის სამოსელი თითქმის დეკემბრამდე ჰმოსავს, მაგრამ ზაფხულობით ცხელა. მზისგან დღისით გახურებული კლდე ღამით ჰაერს აგუბებს და ადამიანს სუნთქვას უძნელებს. რომ ზაფხულშიაც მიიზიდოს სტუმრები აქაურობამ, იმ განზრახვით მთაში 36 კილომეტრის მანძილზე გაყვანილია გზატკეცილი, რომელსაც კაცი საზაფხულო იალაღებზე აჰყავს, სადაც საზაფხულო აგარაკების გამართვასაც აპირებენ.

გაგრა ორია: ძველი და ახალი. ძველი, ანუ კეთილმოწყობილი ნაწილი გაგრისა, მდებარეობს იქ, სადაც სასტუმრო და სასახლეა პრინცისა, ახალი გაგრა ძველზე ხუთი კილომეტრით დაშორებულია აღმოსავლეთისაკენ და წარმოადგენს ასი მხარის მანძილზე გზის აქეთ-იქით გამწკრივებულ ხის დუქნებს. ვაჭრების უმრავლესობას ქართველები შეადგენენ; მათ შორის შეხვდებით სომხებსა და ბერძნებსაც. ამ დუქნებს შორის ერთი ხის სასტუმრო არის დუქნებისავე არქიტექტურისა. აქვე აქვთ ბინა ჩვენებურ მეეტლეებს, რომელთაც ქვემო და ზემო გაგრას შუა ხალხი დაჰყავთ.

რამდენად კოპწია და სუფთაა ძველი გაგრა, იმდენად ბინძური და ალუფხულია ახალი გაგრა. ერთ საინტერესო რამ მიამბეს აქაურმა ვაჭრებმა. ყველას სადუქნე ადგილი იჯარით აქვთ აღებული აქაური მემამულისაგან, ვინმე ნახიმოვისგან. ყოველი მედუქნე წელიწადში ათ თუმანს იხდის, ესე იგი იმდენს, რომელიც ამ ხუთი წლის წინათ 20 დღიური მიწის ყიდვა შეიძლებოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ, მამულის პატრონს ნახიმოვს, ეს ათი თუმანი ეცოტავება და უნდა აუწიოს საიჯარო გადასახადს. იქვე მახლობლად ერთ ჩვენებურს აქვს მამული და მოლაპარაკება აქვს გამართული ვაჭრებთან: ჩემს მამულზე გადმოდით, უფრო ხელსაყრელ პირობებში დაგაყენებთო. გვგონია საცაა, თავს მიანებებენ ახლანდელ მემამულეს და კარგსაც იზამენ. ხსენებულ ნახიმოვს ამ ორი წლის წინათ აქ შეუძენია 2.000 დღიური ათ თუმნად. ახლა კი ოთხკუთხ მხარს თუმნიდან ორ თუმნამდე აფასებს, ანუ დღიურს 12-14 ათას მანეთად.

წარმოუდგენელია, რა ფასები დაედო აქაურ მამულებს ამ ორი-სამი წლის განმავლობაში!.. თვით პრინცმა ოლდენბურგმა კერძო მემამულეებისაგან იყიდა 800 დღიური მიწა, დღიური ზოგი 250 და ზოგიც 500 მანეთად. და ასეთ ფასში გაიყიდა ის მიწა, რომლის დღიური ოთხი წლის წინათ თუმნადაც არ იყიდებოდა. ამ ადგილებში აქა-იქ ჩვენებურებს ჯერ კიდევ შერჩათ მამული. მაგალითად, შარვაშიძის 800 დღიური აქვს, კანკიას – 150 დღიური, შენგელიას – 40 დღიური და სხვა. ბევრმა კი მოასწრო მამულის გაყიდვა და ათასობით აიღო.

– – –

გაგრა, – ეს ერთბაშად შექმნილი კურორტი და, თუ გნებავთ, ქალაქი, მეტად საინტერესო და საყურადღებოა. მას უთუოდ დიდი მომავალიცა აქვს...

უნდა გამოვტყდეთ, ცოტა არ იყოს, დაღონებული დავშორდი გაგრას, გაგრას გაცხოველებულს, გაგრას, რომელმაც ახალი, კულტურული ფერი უნდა დასდოს ჩვენი სამშობლოს ერთ კუთხეს; განსაკუთრებით მაშინ იმატა ნადველმა, როცა, გაგრის დაშორებით, თვალწინ წამოგვიდგა მთელი კონტრასტი გამოღვიძებული გაგრისა და აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს შორის ამართული კონტრასტი სიბეჩავისა, უმეცრების, უპატრონობისა და უმწეობის აღმნიშვნელი...

თეოდო სახოკია

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

ანქვაბმა საქართველო მეკობრეობაში დაადანაშაულა

როგორც აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა განაცხადა, შავ ზღვაში თურქული გემის დაკავება, რომელსაც აფხაზეთიდან სამოქალაქო ტვირთი გადაჰქონდა, საქართველოს მხრიდან XXI-ე საუკუნის მეკობრეობად შეიძლება იქნას შეფასებული.

„ეს არაერთხელ გაუკეთებიათ, სამწუხაროდ, მეკობრეობა დღემდე გრძელდება, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას", – გულისტკივილით განაცხადა მან საგანგებო პრესკონფერენციაზე ხომალდის დაკავების ფაქტის კომენტირებისას, რომლის ბორტზეც 600 ტონა თევზის ფქვილი და 300 ტონა თევზის ქონი იყო.

გემი **„აიდარი"**, რომელიც აფხაზეთიდან ტრაბზონში მიემართებოდა, ქართველმა მესაზღვრეებმა ფოთში დააკავეს.

საინტერესო ისაა, რომ ცალი ხელით აფხაზებთან შერიგებას ვცდილობთ, მეორე ხელით კი მართლაც რომ ყაჩაღურად ვექცევით ჩვენს მოძმე ხალხს და ტვირთს ვართმევთ, რითაც ის რიგითი აფხაზები ზარალდებიან, რომელთა შემორიგება მთელ ქართველ ხალხს ოცნებად გვაქვს ქცეული.

იქნებ ამგვარი საკითხები მოლაპარაკებებით გადავწყვიტოთ და არა სადამსჯელო ოპერაციებით, რაც უფრო გვაშორებს აფხაზ ხალხს, ვიდრე გვაახლოებს!

ამიტომ არის აუცილებელი დღის წესრიგში დადგეს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ შემოთავაზებული აფხაზეთ-საქართველოს საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნის პროგრამა.

საქართველო-აფხაზეთის რკინიგზის ხაზის გახსნა დიდი წინსვლაა

საქართველო-აფხაზეთის რკინიგზის ხაზის გახსნა რეგიონის სტაბილიზაციის მძლავრი სტიმული იქნება. ამგვარი აზრი სულ უფრო ხშირად ჟღერდება აფხაზურ და ქართულ ინტერნეტსაიტებზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს სათავეში, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შედეგად **"ქართული ოცნება"** მოვიდა.

ხაზი ესმება იმ გარემოებასაც, რომ საქართველოს პოლიტიკური კურსი არ შეიცვლება და იგი კვლავ განაგრძობს სვლას **ნატო**-სა და ევროკავშირისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს აშკარად არა აქვს ამ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა, იგი მაინც ჯიუტად არ იცვლის პოზიციას. **ნატო**-სათვის კი ინტერესს წარმოადგენს არა კავკასიის რომელიმე ცალკეული სახელმწიფო, არამედ მთლიანად რეგიონი.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობებს, რომელიც სწორედ სააკაშვილის მმართველობის ჟამს გავიდა ყოველგვარი პოლიტიკური საზღვრებიდან, ახალი ხელისუფლება ამ ურთიერთობათა გამწვავებას აღარ დაუშვებს. ამის იმედს იძლევა საქართველოდან რუსეთისაკენ წასული დადებითი შინაარსის მესიჯები: თუნდაც საქართველოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მონაწილეობას მიიღებს სოჭის ოლიმპიურ თამაშებში და საქართველო მალე აღადგენს რუსული ტელეარხების გადაცემებს.

დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენაზე, რაც უშუალოდ დააკავშირებს ერთმანეთს საქართველოსა და რუსეთს. პოლიტიკოსები ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ამბობენ რუსეთის რეაქციაზე ამგვარი გამოწვევების მიმართ, მაგრამ ერთხმად აღნიშნავენ, რომ ყოველივე პოზიტიური ძვრა ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის. ჯერ ერთი, რუსეთი არ მალავს, რომ რკინიგზის ხაზის გახსნა დიდ როლს ითამაშებს რეგიონში საერთო სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში. პოლიტიკოსები ასევე იმედოვნებენ, რომ მიუხედავად საქართველოსთან არსებული რიგი უთანხმოებებისა, რუსეთი მაინც პოზიტიურად მიუდგება აღნიშნულ საკითხს და საქმეც მალე დაიძვრება მკვდარი წერტილიდან.

აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული თავად აფხაზების მოთხოვნებიც, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, მეტი სარგებლის მიღებას შეეცდებიან ამ საკითხის მოგვარებისას. ამასთან, ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აფხაზეთის პოლიტიკური ხელმძღვანელები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა აჟღერებენ ლოზუნგს: **"დამოუკიდებლობა არა მხოლოდ საქართველოსაგან"**. ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული აზერბაიჯანელთა პოზიციაც, რომლებსაც დიდად არ სიამოვნებთ რუსეთის პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა სომხეთთან. გარკვეული შეკითხვები გაუჩნდება ალბათ თურქეთსაც.

ექსპერტებს არც თუ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით ყველაზე მეტად სომხეთი უნდა იყოს დაინტერესებული და მან ხელი უნდა შეუწყოს ამ პროცესებს, მაგრამ არა საჯაროდ, რათა აზერბაიჯანი არ გააღიზიანოს.

"საქართველო-აფხაზეთის რკინიგზის ხაზის გახსნა რეგიონის სტაბილიზაციის მძლავრი სტიმული იქნება," – აღნიშნავენ პოლიტიკოსები და ექსპერტები. და რაც მთავარია, ეს ახალ იმედებს ჩაუსახავს საქართველოს, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია **"ჩრდილოური საფრთხის"** განცდა.

აღნიშნული სარკინიგზო ხაზის ამოქმედება კიდევ უფრო ხელშესახებს ხდის ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აფხაზებთან დასაახლოვებლად მიზანშეწონილია ერთიანი კულტურული და ეკონომიკური სივრცის შექმნა, რაც დიდ როლს ითამაშებს კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. ამიტომ გახლავთ აუცილებელი საქართველო-აფხაზეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის დროულად ამოქმედება.

გვერდში გამოყენებულია "საქინფორმის" და აფხაზეთის საინფორმაციო სააგენტო "აფსნიპრესის" მასალები

გთავაზობთ მკითხველთა გამოხმაურებებს ინტერნეტსაიტზე “GEWORLD.GE” რომლებიც მოჰყვა ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუს: “ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა”

ავტორი: მეგი

პირდაპირ საოცრებაა, თუ რა სიზუსტით წინასწარმეტყველებს და რა წინდახედულ-გააზრებულ ანალიზს აკეთებს ბატონი ალექსანდრე. აფსუსია, რომ იგი ქართულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ არ არის აქტიურად შემოსული.

ავტორი: მაკო

დამარცხებული სააკაშვილის რეჟიმი დღეს სხვა გამოსავალს ვერ ხედავს ძალაუფლების შესანარჩუნებლად, გარდა იმისა, რომ რუსეთისგან მტრის ხატი შექმნას. აქედან გამომდინარე, ანტირუსული ფსიქოზი უფრო გააღვივოს, ხოლო ივანიშვილს უუნარო ხელმძღვანელის იმიჯი შეუქმნას, რათა, მერე, ამით ხელისუფლებაში დაბრუნება უზრუნველჰყოს.

ამიტომ, ივანიშვილისთვის საჭიროა ისეთი ადამიანების გარემოცვაში ყოფნა, როგორიც ჭაჭიაა და არა რესპუბლიკელი უსუფაშვილი.

ავტორი: სანდრო

რა სისულელეც არ უნდა ილაპარაკოს სააკაშვილმა, თავის ამასწინანდელი ინტერვიუში, ჩვენ, ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა გავიაზროთ რუსულ-ქართული ურთიერთობების მომავალი ისე, როგორც ამას ალექსანდრე ჭაჭია გვთავაზობს, რადგან ამ საქმეში დაშვებულ შეცდომებს მომავალი გენეტიკურად ქართული თაობა არ გვაპატიებს.

ავტორი: დიზი

ნაციონალების შემდეგ საქართველოს რჩება ყველაზე დიდი მტერი – რესპუბლიკური პარტია. ამიტომაა აუცილებელი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას გააქტიურება ქართულ პოლიტიკაში!

ავტორი: დავითი

სააკაშვილის ნაცმოძრაობის პარლამენტიდან გამობრძანების შემდეგ უფრო ნათელი გახდა, რომ ქართველი ეთნოსის მდგომარეობა კატასტროფულია. სულ ერთ ათეულ წელიწადში, თუ ნაცმოძრაობა დარჩებოდა ხელისუფლებაში, შეიძლებოდა ჩვენს ქვეყანაშივე უმცირესობაში აღმოვჩენილიყავით ამიტომ, დახანება არ შეიძლება, ყველა ერთად უნდა ამოვუდგეთ გვერში ივანიშვილს, რათა ჭაობიდან ამოვიდეთ. მე ვიზიარებ იმ აზრს, რომ მომავალი პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს და მისი მოვალეობა, ძირითადად, უნდა იყოს ქვეყნის საგარეო კურსის, სწორი, ბუნებრივი მიმართულებით წაყვანა. ეს კი აფხაზეთთან და ოსეთთან, ასევე რუსეთთან, ურთიერთობების დათბობით უნდა დავიწყოთ და ეს უნდა ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა უზრუნველჰყოს. სხვათა შორის, ჭაჭიას ამის ყველანაირი მონაცემები აქვს.

ავტორი: ჯუბუ

მე თვითონ დევნილი ვარ და მიმაჩნია, რომ ალექსანდრე ჭაჭია მართალი იყო ადრე და მართალია ახლაც, ყველა იმ საკითხში, რომელიც წამოსწია. ამიტომ, ყველა გვერდში უნდა ამოვუდგეთ ივანიშვილს, რათა ჯერ ბოლომდე მოვიცილოთ ის ჭირი, რასაც ნაციონალური მოძრაობა და მიშიკო სააკაშვილი ჰქვია, და მერე ავირჩიოთ განათლებული და დაბრძენებული პრეზიდენტი (ისეთი, როგორიც, მაგალითად, ჭაჭიაა და არა ისეთივე ქარაფშუტა-უსწავლელი, როგორიც სააკაშვილი იყო).

ავტორი: ჭურია

ალექსანდრე ჭაჭიას ერთხელ ვარ შენახვედრი აფხაზეთში, მაშინ იგი ახალგაზრდა გახლდათ და მან ჩემში ღრმად განათლებული და პატრიოტი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. დღეს მის ინტელექტს კიდევ დაემატა პოლიტიკური გამოცდილება. ალექსანდრე ჭაჭიასნაირი დაბრძენებული ადამიანები სჭირდება საქართველოს პოლიტიკოსებად. მე ვისურვებდი მის გააქტიურებას ქართულ პოლიტიკაში.

ავტორი: გოგი

მე მინდა გამოვეხმაურო **“მე”**-ს და ვუთხრა, რომ პრეზიდენტის პოსტი აუცილებელია, რათა მან ითამაშოს მომრიგებლის როლი საზოგადოებაში და დავიწყოთ ურთიერთობების დალაგების პროცესი აფხაზებთან და ოსებთან, სადაც პრეზიდენტს გარანტორის როლი ექნება.

ავტორი: საბა

აღფრთოვანდი იმ მსოფხედველობით, რაც გამოამჟღავნა ბატონმა ალექსანდრემ. მე მას ადრე არ ვიცნობდი, გაგებული კი მქონდა, მაგრამ მისი ნაშრომები წაკითხული არ მქონდა. ნეტა, ბევრი გვყავდეს ასეთი ადამიანები და მოაზროვნეები.

ავტორი: გოგი

პირველად რომ გავიგე სააკაშვილის გეგმა, გავბრაზდი, მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ ჩამოვიდეს და ჩვენც დავხვდებით, როგორც ეკადრება სამშობლოს მოღალატეს – ჯოხით და ქვით. დიახ, ვეთანხმები ჭაჭიას, არ არის სააკაშვილის ადგილი სამეგრელოში. ის ყველაფერს იკადრებს რათა შეინარჩუნოს ძალაუფლება.

კარგია, საშა, ეგრე, მიაწექი, ჩვენ კი გვერდში ამოგიდგებით, ქვეყნის გულისთვის.

ავტორი: ბალი

ჩვენ გალელები ვემხრობით ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას და გვგონია რომ საუკეთესო კანდიდატი იქნება პრეზიდენტის პოსტზე, რომელსაც, ჩვენი აზრით, აფხაზებიც დაუჭერენ მხარს. ბატონ ალექსანდრეს იქაც დიდ პატივს სცემენ!

ავტორი: ლევანი

ალექსანდრე ჭაჭია პრეზიდენტობის ყველაზე ღირსეული კანდიდატია!!!

ავტორი: მილენა

ხალხო, რა დროს ახალი პრეზიდენტია! ძველმა ლამის თავზე დაგვაიმასქნა და იმისთვის ვერ მოუვლია ვერავის.... ფუი, ისე შეაძულა ამ ჯუამ თავი ყველას, რომ სიტყვა **“პრეზიდენტის”** ხსენებაც აღარ მინდა – საერთოდ უნდა გაუქმდეს ეს პოსტი. ან, კი არ უნდა გაუქმდეს, არამედ ალექსანდრე ჭაჭიასნაირმა ღირსეულმა მამულიშვილება უნდა დაიკავონ ეს პოსტი!

ავტორი: ლელა

ნეტა როდის ჩამოვა ალექსანდრე ჭაჭია და როდის ჩაერთვება ქართულ პოლიტიკაში? ალექსანდრე ჭაჭიასნაირი გულანთებული მამულიშვილები სჭირდება ქართულ პოლიტიკას!

ავტორი: ელდარი

ჩვენ, გალელები, ვემხრობით ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას და გვგონია, რომ საუკეთესო კანდიდატი იქნება პრეზიდენტის პოსტზე, რომელსაც, ჩვენი აზრით, აფხაზებიც დაუჭერენ მხარს. იქაც საშას დიდ პატივს ცემენ. ვეთანხმები, გალი, შენს კომენტარს! მეც გალიდან ვარ და ვიცი, თუ რა დიდ დიდ პატივს სცემენ მას არამარტო გალში მცხოვრები ქართველები, არამედ აფხაზეთში დღეს მცხოვრები აფხაზებიც კი...

ავტორი: ნათია

აფხაზური მხარე ჭუბურხინჯში ოთხმხრივი მოლაპარაკებების აღდგენას ითხოვს. მგონი დროა, საქართველომ თავი დაანებოს რიტორიკას და ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

ავტორი: ელა

პატრიოტი ადამიანი ყოველთვის უკეთ მიხედავს თავის ქვეყანას და ერს. უკვე ვნახეთ, არაპატრიოტმა შევარდნაძემ რა დღეში ჩაგვაგდო, ევროპელმა სააკაშვილმა კი კიდევ უფრო დაუმძიმა ტვირთი ქვეყანას. ასე რომ, ახლა, პრეზიდენტად, აუცლებლად, პატრიოტი, ჭაჭიასთანა გულანთებული ადამიანი უნდა ავირჩიოთ!

ავტორი: კურიერი

დრო მართლაც აღარ ითმენს, 20 წელიწადია ვითმენთ და ველოდებით კონფლიქტის ზონაში გამწვავებული ვითარების მოგვარებას. ამიტომ, დროა, ამ საქმეს ჭაჭიამ მიხედოს!

ავტორი: ავთო

განათლებული და მოაზროვნე ადამიანი ყოველთვის საინტერესო და მისაღები ოპონენტია მეორე მხარესთვის. საგარეო ურთიერთობებში ბატონი ალექსანდრე შეძლებს სერიოზული შედეგების მიღწევას. ამიტომ, გზა, ბატონებო, გზა...

ავტორი: კოლხი

“განათლებული და მოაზროვნე ადამიანი ყოველთვის საინტერესო და მისაღები ოპონენტია მეორე მხარესთვის...”

ალექსანდრე ჭაჭიასნაირი განათლებული ადამიანები არასდროს უნდოდათ ქართულ პოლიტიკაში და მაგიტომაც, კი ვართ დაშლილი სამ ნაწილად.

ავტორი: ხოგელები

მართლაც რომ, ძალიან სერიოზული ანალიტიკური და ღრმა შინაარსიანი ინტერვიუა. სასწრაფო წესით, ალექსანდრე ჭაჭიას ვთხოვოთ – იყაროს კენჭი და ავირჩიოთ პრეზიდენტად!!!

ავტორი: გოგი

აფხაზური მხარე ჭუბურხინჯში ოთხმხრივი მოლაპარაკებების აღდგენას ითხოვენ. ეს ინფორმაცია საიდან? იქნებ სწორედ ჭაჭია ჩაერთოს ამ მოლაპარაკებებში?

ავტორი: ნინი

მე მეგობარმა მითხრა მაგარი ინტერვიუაო, მართალი გითხრათ არ დავიჯერე... წაკითხვის მერე მივხვდი, თუ რაოდენ ცოტა მცოდნია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და მისი გადაჭრის გზებზე. ამიტომ, მოგიწოდებთ, მოუსმინეთ ამ ადამიანს და დაუჯერეთ!!!

ავტორი: ტიტო

ძალიან კარგი ინტერვიუა, მომწონს ასეთი მსოფმხედველობა. მე ადრე ამ კაცის მოწინააღმდეგე ვიყავი და ეხლა ვხვდები რომ ვტყუოდი, უფრო სწორედ ვცდებოდი!

ავტორი: ლილი

კარგი ინტერვიუა და საჭირბოროტო საკითხებია დაყენებული, ისეთი საკითხები, რაც აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის. იხარეთ და იბედნიერეთ, ბატონო ალექსანდრე!

ავტორი: ვატო

ის რაც დღეს ხდება ქვეყანაში, ეს არის საბოტაჟის ნიშნები. კურდღელი და მისი ბაჭიები მზად არიან ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველანაირ პროვოკაციაზე წავიდნენ, რომ ქვეყანა ღრმა ქაოსში ჩაძირონ. ამიტომაც უნდათ, რომ სამეგრელო და სხვა არაქართული ანკლავები გაიხადონ ბასტიონად. ამიტომ, აქედანვე მინდა გავართხილო ბიძინა და ღღევანდელი ხელისუფლება – ფრთხილად იყვნენ და, სანამ დროა, ისტორიის სანაგვეზე გაუშვან მიშა და მისი ბაჭიები.

ავტორი: ვიქტორი

თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არა აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, მაშინ ლიბერალიზმი, აუცილებლად, მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად მთლიანად დაანგრევს ქვეყანას. ის უბიძგებს საზოგადოებას ფსევდოდემოკრატიისა და ცრუ თავისუფლებისკენ, გააუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს, დაარღვევს ფორმასა და შინაარსს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა.

უგუნური ლიბერალიზმი, როგორც წესი, სათავეა მრავალი ნეგატიური მოვლენისა, მათ შორის კორუფციის, დანაშაულთა გამრავლების, საერთო მიშვებულობის და განუკითხაობისა.

ამიტომ უნდა ვენდოთ ამ კაცს!!!

ავტორი: ერეკლე

გეთახმებით! პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს და ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ძირითადად კონფლიქტების მოგვარებით იქნება დაკავებული და დაბალანსებს ქვეყანაში პოლიტიკურ ვნებათა ღელვებს. ჭაჭია კი ზუსტად ასეთი პოლიტიკოსია!

ავტორი: ბიკენტი

მე გალელი არ ვარ, ოჩამჩირელი ვარ. ბატონი საშას მეზობელი ვიყავი და ვიცნობ, როგორც უადრესად პატიოსან და განათლებულ ადამიანს. როგორც მე ვიცი, აფხაზებიც დიდ პატივს სცემენ და, ამიტომ, ასეთი ადამიანები სჭირდება ჩვენ ქვეყანას.

ავტორი: გური

კარგია, მაგარია, ჭაჭია... მომწონს ასეთი კაცი.

ავტორი: თამთა

სიმპატიური კაცია მაგრამ ვერ გავიგე აქამდე სად იყო, თუ ასეთი ამბები იცოდა და ხვდებოდა, რომ ჩვენთან ასეთი საშინელებები ხდებოდა, თუ მზამზარეულზე ჩამოვიდა.

ისე, იდეები კარგი აქვს, ჩემმა მზემ.

ავტორი: ეროსი

ერთი ეს მაინტერესებს: პარლამენტი რომ აირჩევს პრეზიდენტს, მერე რა არის ამაში ცუდი, თუ პრემიერი სახელმწიფოს მეთაური იქნება? აბა რა სჯობია – ორხელისუფლებიანობა იყოს, როგორც ეხლაა, და ერთმანეთს ექიშპონ ძალაუფლებისთვის?

ავტორი: ბიკი

“...თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც, უქმად ყოფნის ნებას, გრძნობა სამართლიანობისა, არ მოგცემს ამ წუთისოფელში...”

ილიას ეს სიტყვები გვეუბნება, რა მართალია ეს კაცი.

ავტორი: ბეძა

რეალობიდან გამომდინარე, ალბათ, ამ პრობლემებს არ მოევლება, მაგრამ მაინც უნდა ვცადოთ. ოღონდ, ჯერ ესენი მოვიშოროთ, სამშობლო ჭაობში საბოლოოდ რომ უნდათ ჩააძირონ.

ავტორი: კოკა

პატრიოტი პრეზიდენტი გვჭირდება – ჭაჭიასნაირი.

ავტორი: ეკა

მაგარი კაცია, პრეზიდენტიც ასეთი გვინდა, და არა მიშასავით დორბლიანი...

ავტორი: გიგი

კარგია, და მომავალზე ორიენტირებულია... არ მეგონა, რომ ასეთი, რეალურად მოაზროვნე პოლიტიკოსი კიდევ არსებობდა ჩვენს სივრცეში.

ჩამოყალიბდება თუ არა ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი?

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზურაბ კვარაცხელიამ და კიდევ მისმა ათმა თანამებრძოლმა ამ ერთი თვის წინ წერილი გაუგზავნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – დავით უსუფაშვილსა და პარლამენტის წევრებს, რომელშიც ისინი ითხოვდნენ ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნას (20147.26.02.13).

„იმედია, ახალი ხელისუფლება, პირველად ისტორიაში, აიღებს პასუხისმგებლობას ქართველურ (ქართული, მეგრულ-ჭანურ, სვანურ) ენათა გადარჩენასა და განვითარებაზე და მიიღებს გადაწყვეტილებას ქართველურ ენათა დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჩამოყალიბების თაობაზე“, – ნათქვამია ამ წერილში. ამ წერილს, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში **„საქართველო და მსოფლიო“**, მალევე მოჰყვა გამოხმაურება საზოგადოების წარმომადგენლებისგან, რომლებიც იწონებენ ამ წამოწყებას და უპირობოდ მხარს უჭერენ ქართველურ ენათა დაცვის დეპარტამენტის ჩამოყალიბებას.

პარლამენტიდან ზურაბ კვარაცხელიამ მიიღო წერილი, რომლის თანახმადაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ წერილი რეაგირებისთვის გადაუგზავნა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტს, რის შემდეგაც ამ კომიტეტის თავმჯდომარემ, ბატონმა ივანე კიღურაძემ კომიტეტში შემოსული წერილი გადაუგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, ქალბატონ გუჩა კვარაცხელიას და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ავთანდილ არაბულს და სთხოვს მათ მოსაზრებებს ასეთი დეპარტამენტის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე.

„იმედია, მეცნიერებათა აკადემიაში და ენათმეცნიერების ინსტიტუტში საღად და მამულიშვილურად შეაფასებენ ჩვენი ინიციატივის მნიშვნელობას და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიაწვდიან შესაბამის მოსაზრებებს. აქვე მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო „ფაზისის“, „აიას“, „ქალდეას“ აკადემიებს და საერთოდ ყველას, ვინც დაინტერესებულია ქართველურ ენათა გადარჩენისა და განვითარების საკითხით, მხარი დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას“,– განაცხადა ზურაბ კვარაცხელიამ.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

უპირობოდ მხარდასაჭერია

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავკაცის, ბატონ ზურაბ კვარაცხელიასა და ორგანიზაციის სხვა აქტივისტთა ხელმოწერით აღძრულია მეტად აქტუალური, ლოგიკური კანონზომიერებით განპირობებული ინიციატივა, რომელიც ინტელექტუალურ-ანალიტიკური გაზეთის – „საქართველო და მსოფლიოს“ ა. წ. მე-7 ნომერში გამოქვეყნდა და პარლამენტს, მის თავმჯდომარეს განსახილველად აახლეს.

ინიციატივა ეხება ქართველურ ენათა (ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური) დაცვა-გადარჩენისა და განვითარების გადაუდებელ ღონისძიებებს. ჩვენ ერთსულოვნად ვუერთდებით აღნიშნულ ინიციატივას.

სააკაშვილის **„ნაციონალებმა“** ქართულ ენას აშკარად უმტრეს, როცა ქართული ენის სახელმწიფო პალატა, ბატონი ლევან დვინჯილია წარმატებით რომ უძღვებოდა, ხელაღებით გაგვიუქმეს. დღეს ის გაფართოებული სამუშაო პროგრამით უნდა აღსდგეს, რაც შეიძლება მალე, რამეთუ ქართველური ენები ჭეშმარიტად დასაცავი გახდა. **უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ჩვენს ენებში იმაზე ბევრად მეტი უცხო სიტყვა შემოიჭრა, ვიდრე რუსულიდან ორი საუკუნის მანძილზე.** ეს სიტყვები დამკვიდრდნენ ჩვენი გაზეთების, წიგნების გვერდებზე, რეკლამებში, გვესმის ტელეეკრანებიდან. ადრე ქართული გაზეთი არასოდეს დაწერდა რუსულ **„სტოლ“**-ს, იგი მხოლოდ საუბრის დროს თუ წამოგვცდებოდა; დღევანდელი ქართული გაზეთები კი, თავიანთი გვერდების მეშვეობით, აკანონებენ ისეთ უცხო სიტყვებს როგორიცაა: **„პრეზენტაცია“, „ექსკლუზივი“, „ბრიფინგი“, „სუპერი“** – და ა. შ. ვითომ ჩვენს მდიდარ ქართველურ ენებში შესატყვისი სიტყვები არ გაგვაჩნდეს. ამ ბოლო დროს კიდევ საჯანდაბე **„კოაბიტაცია“** შემოგვჩხირეს. ***მოვუწოდებთ გაზეთებს, ტელეარხებს, ყველას, ყველას: ბოიკოტი უცხო სიტყვებს – გამოვიყენოთ მხოლოდ მათი შესატყვისი ქართული სიტყვები!***

5-6 წლის ბავშვებს ინგლისური კი არა, თავდაპირველად ქართველური ენები ვასწავლოთ, ხოლო უცხო ენები – 10-11 წლის ასაკიდან, როცა მშობლიური ენის ლექსიკას მნიშვნელოვნად იქნებიან დაუფლებულნი. **ვის უნდა დავუჯეროთ, თუ არა საქვეყნოდ გამოჩენილ პედაგოგს, მეცნიერ-აკადემიკოს სულმნათ ბატონ ლევან ჩიქვანაიას, რომელმაც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, პრესისთვის მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში გადაჭრით უარყო და დამღუპველად მიიჩნია 5-6 წლის ბავშვებისთვის ინგლისური ენის სავალდებულო სწავლება.**

ახლახან პრესის მეშვეობით შევიტყვეთ: აფხაზეთში აკაკი წერეთლის პოემა **„გამზრდელი“** აფხაზურად გამოუქვეყნებიათ, რატომ არ უნდა გავაკეთოთ იგივე მეგრულ და სვანურ ენებზე?

ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ როგორ შეირცხვინა თავი ცნობილმა პოეტმა მურმანლებანიძემ, წინდაუხედავი, უხეში განცხადებით, მეგრულ ენაზე **„ვეფხისტყაოსნის“** მთარგმნელის მისამართით. მსგავსი რამ არ უნდა განმეორდეს.

ჩვენი სურვილია, ტელეარხებიდან ხშირად ვისმენდეთ ვაჟკაცური შემართების ომახიან სვანურ სიმღერებს.

აბა, რა სჯობს დიდებული მელოდიურობითა და ორიგინალური მუსიკალობით გამორჩეული მეგრული სიმღერების მოსმენას? რა სჯობდა კოლხური ტრიოსა და გამოჩენილი მომღერლის – ბატონ ზურაბ სოტკილავას მიერ შესრულებული მეგრული სიმღერების მოსმენას.

ქართველურ ენათა დაცვის დეპარტამენტის ჩამოყალიბების შესახებ თხოვნას, რომელსაც ბატონი ზურაბ კვარაცხელია და მისი კოლეგები სამართლიანად ითხოვენ, ჩვენც, ამ წერილის ხელმომწერებიც, ვუერთდებით და სრულ მხარდაჭერას გამოვხატავთ.

გვწამს, საქართველოს პარლამენტი თხოვნას გულისხმიერებით მოეკიდება.

ნუგზარ ავალიანი, გივი გურეშიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პოლიტოლოგები; ზურაბ კაჭკაჭიშვილი, ნოდარ კუჭავა, გივი მუკბანიანი, მამანტი ბჟალავა, გივი კარანაძე, სურენ მარტიროსიანი, ზურაბ ხარატიშვილი, ზაურ კვაჩიძე, კობა ხომერიკი,
ქუთაისი

ილია მეორე – ეკლესია ყოველთვის იქნება სულიერი ძალა, რომელიც მოემსახურება საქართველოს

საქართველოს ეკლესია ყოველთვის იყო და იქნება სულიერი ძალა, რომელიც მოემსახურება ჩვენს საქართველოს,– ამის შესახებ სამების ტაძარში ქადაგებისას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა.

სამების ტაძარში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღესთან დაკავშირებით პარაკლისი მიმდინარეობდა. პარაკლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მღვდელთმთავრებთან და სასულიერო პირებთან ერთად ასრულებდა. ტაძარში იმყოფებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია, სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი და ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო.

პარაკლისის დაწყებამდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ტაძარში შეკრებილ მრევლს ეს დღე მიულოცა და ქადაგებით მიმართა. უწმინდესმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ, გაიხსენა ისტორია.

უწმინდესმა ბრძანა, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია მეხუთე საუკუნეში ანტიოქიის ეკლესიისგან მიიღო, მაგრამ 1811 წელს რუსეთის ხელისუფლებამ კვლავ წაართვა საქართველოს ავტოკეფალია და ერეკლე მეორის შვილი, ანტონ მეორე გაიწვიეს საქართველოდან.

“არის აღწერილი, როგორ ემშვიდობებოდა ანტონ მეორე ილია მეორე სვეტიცხოველს. როგორი ცრემლით უვლიდა ტაძარს გარშემო, თითქოს გრძნობდა, რომ აღარ ეღირსებოდა საქართველოში ჩამოსვლა. იგი მართლაც გარდაიცვალა რუსეთში და არ არის ცნობილი მისი საფლავი. როდესაც მივწერე ნიჟნი ნოვგოროდის ეპისკოპოსს, მისგან პასუხად მივიღე, რომ დღეს არ არის არც ის ტაძარი და არც ის საფლავი. კომუნისტური რეჟიმის დროს ტაძარი განადგურდა“,– აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა ასევე ბრძანა, რომ 101 წლის მანძილზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსი ეგზარხოსები მართავდნენ, ლოცვა სიონში სლავურად მიმდინარეობდა მაშინ, როცა სომხურ ეკლესიაში ლოცვა სომხურად სრულდებოდა.

უწმინდესმა ბრძანა, რომ 1917 წელს ეპისკოპოსმა ლეონიდემ შეკრიბა სამღვდელოება, გამოაცხადა ავტოკეფალია, რაც ქართველი ერის უდიდესი ზეიმი იყო. პატრიარქად აირჩიეს კირიონ მეორე.

“შევთხოვთ უფალს მშვიდობას, სიხარული, სიყვარული სუფევდეს საქართველოში და საქართველოს ეკლესიაში. მე მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა ჩვენს ერს, რომ საქართველოს ეკლესია ყოველთვის იყო და იქნება სულიერი ძალა, რომელიც თავმდაბლობით მოემსახურება ჩვენს საქართველოს“,– აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა ყველას მიულოცა ავტოკეფალიის აღდგენის დღე და ბრძანა, რომ ღმერთი არ მიატოვებს საქართველოს.

“ის პრობლემები, რომლებიც ხელოვნურად წარმოიშვება, ყველაფერი იქნება დაძლეული“, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა ბრძანა, რომ ქართული კულტურა, ლიტერატურა, ფილოსოფია მართლმადიდებლური კუთხით ქრისტიანულ სარწმუნოებას ეყრდნობა. ამას მუდამ გრძნობდა ქართველი ერი და ინახავდა მართლმადიდებელ სარწმუნოებას საუკუნეების განმავლობაში.

პარაკლისის დასრულების შემდეგ ყოვლადწმინდა სამების ახალგაზრდულ ცენტრში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღესთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართა, რომელსაც უწმინდესი დაესწრო.

პოეზიის კუთხე

ამბავი ცოცხოსანისა

ინფორმაცია განსჯისათვის – 19 აპრილს ცოცხოსანთა აქციაა, 20 აპრილს კი – ადოლფ ჰიტლერის დაბადების 124-ე წლისთავი.

დადის და ისევ პროვოკატორობს
ხან ბრიუსელში, ხან ბაქოშია
და იმას ლაყბობს, რისიც ხოში აქვს.
ოქტომბრის შემდეგ ვერარ ბატონობს,
მაგრამ დადის და პროვოკატორობს.
თან ახლავს ვანო, გიგი, გოგია
და სხვები, ვინც კი დემაგოგია.

მოგვჭრა თავი

დაალაჯებს როგორც წინათ,
ლობის ლაგამ-მოსართავით,
ბრიუსელში შეგვარცხვინა
და ბაქოშიც მოგვჭრა თავი.
გაუკვირდათ:
–ყარდაშ, ბოდავს!
თან რუსეთთან გვირევს ერთობ!
ძაღლი შინ რომ არ ვარგოდა,
ბაქოს რატომ აწვიეთო?!

ცხრამეტი თუ ოცი?

რა გაუძლებს ამდენ უკმეხს,
გაიკრიფნენ ენებად
და საკმეველს ვინ ვის უკმევს,
კარგად მოგეხსენებათ.
მაინც ვედარ გადააქცევს
19 აპრილს ოცადა,
ვერც ფაშისტი და ვერც ნაცი,
ვინც ხალხს ცოცხით ხოცავდა.

ჰ ა ი ლ!

მზადება აქვს „ჰიტლერიუნგს”,
ცხელი, გაგანია,
19 აპრილს ელის „ნიუსს”:
„მიშა მაგარია!”
და სლოგანი რადგან იშვა,
შხამად ანთხევს აირს:
„ძირს სტალინი, მაღლა მიშა,
ჰაილ, ჰიტლერ, ჰაილ! “

სიკვდილის ბანაკის გახსენება

როცა იმედს ჩაწყდა სიმი,
ბევრი ამოხოცეს;
პირველ ადგილს ოსვენციმი
მაინც უთმობს „ცოცხებს”,
იგონებენ მიშას ვნებებს
და მის გარყვნილ ბუნაგს
და უკვე არც ახსენებენ
დაჰაუს და გულაგს!

შემოდგომის მოლოდინი

ოქტომბერში ველით შედეგს,
ვინ და რატომ უკრა ტაში,
ვინც პატიმრებს ცოცხის შემდეგ
ცხვირს უყოფდა უკანალში.

ცოცხოსნები მოვრჩეთ, კმარა!

ჭეშმარიტად დიდ მამულიშვილს –ბატონ ჯემალ ჭკუასელს და ქვეყნისათვის სასიქადულო ანსამბლ „ერისიონს” მიშისტურ-ფაშისტურმა ცოცხოსნებმა წლეულს, 12 მარტს „სირცხვილის დერეფნის” გამართვა მოუნდომეს, მაგრამ უკეთურთა განზრახვა გზიდან „ერის სიოს” აგრიგალებამ – ლეგენდარული ანსამბლის თაყვანისმცემელთა რისხვამ გადახვეტა.

ვაშა ჯემალს და მის ანსამბლს,
გაბრწყინდა და იკასკასა,
როცა კრემლის სასახლეში,
ხელოვანის სწორი გეშით,
როკვა უძღვნა იმედს ფრთიანს
და ხუთჯვრიან დროშის ფრიალს!
თუ არ იცი ამის ფასი,—
ბრმა ხარ, ყრუ ხარ და ბედასლი!
ძირს ვინც უთხრის ერის სიონს,
გადახვეტავს ქარბორბალა,
ჩვენ დავიცავთ „ერისიონს”,
თუ უკადრისს კადრებს „კმარა”,
ან თავკერძა ნაცი-ბოტის
თვითმარქვია „პატრიოტი”.
... გესლს ანთხევენ კარდაკარა,
ცოცხოსნები, მოვრჩეთ, კმარა!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისი

ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲡᲔᲠᲐᲤᲘᲛᲔ: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲠᲪᲔᲠᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ!“

მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოსა და თურქეთის პრემიერ-მინისტრების შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ორი ქვეყანა კულტურულ – რელიგიური ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით აქტიურად იმუშავებს და ამ მოლაპარაკების ფარგლებში ბათუმის ცენტრში დიდი მუსლიმური სამლოცველო აშენდება. თუ წინა ხელისუფლების დროს აზიზიეს მეჩეთის გახმაურებული მშენებლობის საკითხი საპროტესტო აქციების ფონზე განიხილებოდა, დღეს საზოგადოებაში მხოლოდ ჩუმი პროტესტია. მიუხედავად საკითხის უდიდესი მნიშვნელობისა, ოფიციალურ სტრუქტურებს შეთანხმების სხვა დეტალები დღემდე არ გაუხმაურებიათ. გარდა ამისა, არ არის ცნობილი საქართველოს საპატრიარქოს პოზიციაც.

საქინფორმის კორესპონდენტი ნატა წერეთელი ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტს, წმიდა სინოდის წევრს, მეუფე სერაფიმეს ესტუმრა და აღნიშნულ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ესაუბრა.

– მეუფეო, როგორც ივანიშვილი-ერდოღანის შეხვედრის შემდგომ ცნობილი გახდა, მიუხედავად საზოგადოების წინააღმდეგობისა, ბათუმში მეჩეთი აშენდება. როგორია თქვენი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით?

– საქართველოში მაჰმადიანი მორწმუნეები უზრუნველყოფილნი არიან სალოცავებით, მეჩეთებით, მედრესეებით, ამიტომაც ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხი საყოველთაო განხილვის საგანი უნდა იყოს და ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საზოგადოებამ უნდა მიიღოს. ამ საკითხის ნაჩქარევი გადაწყვეტა ცუდია. პირადად მე, როგორც ქართველ სასულიერო პირს, არ მომწონს ის ფაქტი, რომ აღნიშნული მეჩეთის მშენებლობის შესახებ საკითხი დასმული იყო არა ქართველი მუსლიმანების მიერ, არამედ სხვა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მხრიდან. ვფიქრობ, ეს ჩვენს პირად საქმეში ჩარევაა.

ზოგადად, ჩვენი დამოკიდებულება ქართველ და არაქართველი მუსლიმანთა მიმართ არის ძალზე კარგი. ხაზგასმით მინდა, ვთქვა, რომ რამდენიმე თვის წინ ჩვენი ბორჯომელი მოძღვარი, რომელიც საინგილოში სტუმრად მიდიოდა, აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა საზღვარზე იმ მიზეზით არ გაუშვეს, რომ შესაძლებელი იყო, მას ჰქონოდა საეკლესიო ლიტერატურა. მე ვსვამ კითხვას – სხვა აღმსარებლობის პირებთან ვინ უფრო დემოკრატიულად და პატივისცემით იქცევა – ჩვენ, ვინც მეჩეთების მშენებლობის უფლებას ვაძლევთ, თუ აზერბაიჯანული მხარე, რომელმაც ბორჯომელი მოძღვარი საზღვრიდან უკან მოაბრუნა?! მსგავსი ფაქტები არ არის გამონაკლისი. ამიტომაც ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და ქართული ეკლესიის მიმართ მუდამ აგრესიულად განწყობილი ადამიანების მხრიდან (ისეთი, როგორიც არის, მაგალითად, ბექა მინდიაშვილი) ჩვენი დადანაშაულება მართებული არ არის. საქართველოს რომელიმე კუთხეში ახალი დიდი მეჩეთის მშენებლობა ყოველთვის უნდა იყოს მსჯელობის საგანი და საზოგადოებასთან შეთანხმებული.

– მეუფეო, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს მთავრობამ მეჩეთის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიიღო, თუმცა, ივანიშვილი-ერდოღანის ხელშეკრულების დეტალები ჩვენთვის უცნობია. არც ის ვიცით, გათვალისწინებული იყო თუ არა ამ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს პოზიცია. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?

– მე ამ საკითხში არ ვარ ჩახედული, რადგან მისი მოგვარება სხვას ჰქონდა დავალებული. მხოლოდ ის ვიცი, რომ წინა ხელისუფლების დროს საპატრიარქოს აზრი არ იყო გათვალისწინებული და თურქულ მხარესთან მოლაპარაკებებს ხელისუფლება ერთპიროვნულად ახორციელებდა. დღეს რა ვითარებაა, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ, ქართველებს, უნდა გვქონდეს უფლება, მოვილოცოთ ჩვენი უძველესი ტერიტორია, რომელიც არც ისე შორეულ წარსულში ოკუპირებულ იქნა თურქეთის მიერ. ახლა ნებადართულია საუბარი იმაზე, რომ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, მაგრამ არავინ საუბრობს იმაზე, რომ ტაო-კლარჯეთი არის საქართველოს უძველესი მიწა-წყალი, რომელიც ოკუპირებულია. იგი არანაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე რუსეთში ვიზიტით იმყოფებოდა. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ ვიზიტს ორი ქვეყნის ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისით?

– ჩვენი დიდი მამის, ჩვენი პატრიარქის, ყოველი ნაბიჯი მისასალმებელია. ქართველი ერისთვის ამ ადამიანზე ერთგული არავინ არასოდეს ყოფილა. მისი ყოველი ნაბიჯი არის ბრძნული.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, რა თქმა უნდა, საჭიროა ზომიერი, გაანალიზებული ურთიერთობა ზედმეტი კაცთმოთნეობის, წყენისა და ურთიერთობების აკრძალვის გარეშე. მახსოვს, განათლების მინისტრი იყო ერთი ყმაწვილი, გვარამია, რომელიც ამბობდა – ჩემთვის დოსტოევსკი და ტოლსტოი არარაობაა, რადგან რუსები არიანო.

მე ვფიქრობ, რომ უწმიდესი სწორ გზას გვაჩვენებს. პატრიარქმა ბრძანა, რომ საქართველო და ქართული ეკლესია არასოდეს შეეგუება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვას და გამოთქვა იმედი, რომ ქართველების შერიგება მომმე ერებთან გარდაუვალია. უწმინდესმა ამაზე რუსეთის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის დროს სამების საკათედრო ტაძარშიც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო და რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყნები არიან და მართლმადიდებლობა თავის სიტყვას იტყვის.

– საქართველოს პატრიარქს რუსეთში ძალიან დიდ პატივს სცემენ, რაც რუსულმა მხარემ არაერთხელ დაამტკიცა. ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეს ფაქტი უნდა გამოიყენოს მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობების დარეგულირების თვალსაზრისით?

– რა თქმა უნდა, ერის ადამიანებმა უნდა გამოიყენონ ჩვენი პატრიარქის ავტორიტეტი არა მარტო რუსეთში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში და, ზოგადად, მსოფლიოში, რადგან ისეთი ავტორიტეტის მქონე სასულიერო პირი, როგორიც ჩვენი პატრიარქია, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არც აქამდე ჰყავდა ქართულ ეკლესიას და, არ მგონია, მომავალშიც ჰყავდეს.

საქართველოს წინა ხელისუფლებას ჰქონდა გარკვეული შიში, ეჭვიანობა და შური. როდესაც ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იყო საქართველოში ჩამობრძანებული, სააკაშვილის, ბოკერიას და სხვა ლიდერების გადაწყვეტილებით, საპატრიარქოში ბუშის მისვლა არ დაიგეგმა. ვიზიტის ფარგლებში პატრიარქთან ათწუთიანი შეხვედრა ქალაქის მერიაში შედგა, რაც უსამართლო იყო. შეგახსენებთ, რომ სომხეთის პატრიარქ გარეგინ მეორეს მისცეს უფლება, გამოსულიყო კონგრესის წინაშე. მე ვსვამ კითხვას – თუ ჩვენ ვართ პროამერიკელები და ჩვენი პატრონები და მოურავები ისინი არიან, ჩვენს პატრიარქს კონგრესის წინაშე გამოსვლის უფლება რატომ არ მისცეს? ჩვენ ხომ ამერიკის ინტერესებისთვის ავღანეთში ულამაზესი ქართველი ვაჟკაცების სისხლს ვღვრით და გერმანიის კლინიკებში ათობით მიტოვებული ინვალიდი ჯარისკაცი წევს, რომელთა პატრონი კაციშვილი არ არის?!

წინა ხელისუფლების ახალგაზრდები მიზანმიმართულად აბრკოლებდნენ ჩვენი პატრიარქის ძალას იმისათვის, რომ ქართული ეკლესია არ გაძლიერებულიყო. ასეთი მცდელობა ჰქონდა ამ ახალგაზრდების აღმზრდელსა და **„სულიერ მამას“**, ედუარდ შევარდნაძესაც. ერთ მაგალითს გეტყვით – კათალიკოს ევდემონმა ამხილა როსტომ მეფე და უთხრა, რომ იგი მაჰმადიანთა მამა და მართლმადიდებელთა მამინაცვალი იყო. ასე არის შევარდნაძეც და მის მიერ გამოზრდილი ახალგაზრდები **(„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** წარმომადგენლები იგულისხმება) დღემდე არიან მაჰმადიანთა მამები და მართლმადიდებელთა მამინაცვლები.

ოცი წლის განმავლობაში ყველა ხელისუფალი და ერის ადამიანი მხოლოდ არჩევნების დროს ცდილობდა, გარეგნულად (ამას ხაზგასმით ვამბობ) გამოეხატა პატივისცემა ჩვენი პატრიარქის მიმართ.

– როგორც ცნობილია, სააკაშვილის ხელისუფლება გარკვეულ ზეწოლას ახდენდა ეკლესიაზე და პირადად პატრიარქზე. რატომ არ შეეწინააღმდეგა საპატრიარქო ამ ფაქტს?

– ჩვენ გვყავს ძალიან მოსიყვარულე პატრიარქი. დღეს ქართველებს ძალიან უჭირთ, არის ქიშპობა და დიდი დაპირისპირება, მხოლოდ დიდი მამის დიდ სიყვარულს შეუძლია ერის გაერთიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ოცი წლის განმავლობაში გაცილებით მეტი სისხლი დაიღვრებოდა.

მეტიც, უწმიდესის ლოცვისა და სიბრძნის დამსახურებაა, რომ საქართველოში 2012 წლის არჩევნებმა მშვიდად ჩაიარა. დაგეგმილი იყო დიდი დაპირისპირება, რეპრესიების განხორციელება, ადამიანების დაჭერა და წამება. მადლობა ღმერთს, რომ ეს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. იმედი მაქვს, რომ საქართველო მშვიდობიან გზას გააგრძელებს და ერთმანეთის წყევლას გადავეჩვევით.

– მეუფეო, თქვენ აფხაზეთში ცხოვრობდით და 2009 წელს იმყოფებოდით დედისა და ახლობლების მოსანახულებლად. ხომ არ გეგმავთ კიდევ გამგზავრებას?

– აფხაზეთიდან დევნილი ყველა ადამიანი ოცნებობს და გეგმავს საკუთარ მხარეში დაბრუნებას, მათ შორის, მეც. 2009 წელს, საქართველოს და რუსეთის ეკლესიების შუამდგომლობით, 17 წლის შემდეგ მოვინახულე ჩემი ოჯახი. აფხაზეთში დიდი პატივისცემით შემხვდნენ. მე ხშირად ვუსმენ აფხაზურ სიმღერებს, ვუყურებ სოხუმის ხედებს და ეს მხოლოდ ნოსტალგიით კი არ არის გამოწვეული, არამედ ვცდილობ, რომ ეს ცოცხალი კავშირი არ დავკარგო. ვცდილობ, გავაანალიზო, თუ რა შეცდომა მოგვივიდა. მხოლოდ სუსტი ადამიანი ეძებს მიზეზს სხვაში. ანალოგიურად, მხოლოდ სუსტი ერი და სუსტი მხედართმთავარი ეძებს საკუთარი დამარცხების მიზეზს სხვებში. აფხაზეთთან მიმართებაში ამ ოც წელიწადში არაფერი შეცვლილა იმის გამო, რომ საკუთარ მარცხში მეზობლებს ვადანაშაულებთ – აფხაზებს, ჩეჩნებს, რუსებს და ა.შ. მახსენდება ძველი ინდიელების ბრძნული გამონათქვამი: **„თუ კაცს გველმა უკბინა, ესე იგი ამ ადამიანმა ვიღაცას აწყენინა“.** წარმართმა ინდიელებმაც კი იცოდნენ, რომ თუ მეზობელი ან სხვა ვინმე **„გკბენს“,** ესე იგი შენ ვიღაცას აწყენინე. როცა ქვეყანას უჭირს, ერის მამები, ბრძენი ადამიანები იკრიბებიან და ცდილობენ სათანადო გამოსავლის პოვნას და არა ისეთი ახალგაზრდები, რომლებსაც მხოლოდ სიძულვილი და აგრესია მოსძალებიათ და უსმენენ იმას, თუ რას ასწავლის შორიდან ვიღაც გადამთიელი. საქართველოს არცერთ ხელისუფლებას არ უყვარდა აფხაზი ხალხი. ისინი გრძნობენ ამას.

მე მწამს, რომ მოვა დრო, როდესაც საქართველოს მიეცემა დიდი ეროვნული პიროვნება, ისეთი, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე, ერეკლე მეფე ან დავით აღმაშენებელი, რომელიც შეძლებს, ჩაეხუტოს ჩვენს მოძმე ერებს – აფხაზებსა და ოსებს და გააერთიანებს ქვეყანას. სანამ ჩვენი მზე ხან ჩრდილოეთიდან ამოვა და ხან სამხრეთიდან, არაფერი გვეშველება.

მხოლოდ ეროვნული სულისკვეთება და ჩვენი პატრიარქის სიბრძნისა და სიყვარულის გამოყენება შეძლებს შეუძლებელს.

მე ერთხელ ქადაგებაში ვთქვი, რომ ჩვენი მოვალეობაა, ავაშენოთ ეროვნული სულისკვეთება და არა დემოკრატია, რამაც ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და ახალგაზრდა პოლიტიკოსების გაღიზიანება გამოიწვია. ისინი ვერ ხედავდნენ განსხვავებას ეროვნულობასა და დემოკრატიას შორის. მინდა, გითხრათ, დემოკრატია – ეს არის ერთი პატარა ბურჯი ეროვნულობის. ეროვნულობა უფრო მაღლა დგას. დემოკრატია გულისხმობს, რომ ქვეყანაში თუ მოვიდა ვინმე ძლიერი და მდიდარი, შეიძლება მან მთელი საქართველო იყიდოს, ეროვნულობა კი იმის საშუალებას და უფლებას გვაძლევს, რომ ქართველმა ერმა შეინარჩუნოს საკუთარი მიწა, ტრადიცია და ეკლესია. ეროვნული ერი მხოლოდ საკუთარ ხალხზე ფიქრობს და არა იმაზე, თუ რას იტყვის შორეული მეზობელი.

დღემდე ჩვენ ილია ჭავჭავაძის გზაზე არ ვდგავართ, იმ გზას მივუყვებით, რომელიც ნოე ჟორდანიამ მოგვცა.

ბიბლიაში წერია, რომ უფალი დიდ წმინდანს 200-300 წელიწადში ერთხელ გვაძლევს. ჩვენ გვყავს ჩვენი პატრიარქი და იმედი მაქვს, უახლოეს მომავალში ქვეყნის საერო ცხოვრებაშიც გამოჩნდება ისეთი ადამიანი, პოლიტიკოსი, რომელსაც ისეთი სიბრძნე და სიყვარული ექნება, როგორიც აქვს ჩვენს პატრიარქს. ჯერჯერობით ვერ მოვესწარით ამ მოვლენას.

***P.S.** საუბრის დასასრულ, მეუფე სერაფიმემ საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო საქინფორმი დალოცა: „მე ვხედავ, რომ საქინფორმი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ურთიერთობების მოწესრიგებას აფხაზებთან, ოსებსა და რუსეთთან! თქვენი სააგენტო სხვადასხვა ერის და პროფესიის ადამიანებს აძლევს საშუალებას, საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. მინდა, მივმართო ყველა მედიასაშუალებას – ეძებეთ ეროვნული იმპულსი, რადგან მხოლოდ მასშია ჩვენი გადარჩენის შანსი!*

თქვენს სააგენტოს ვუსურვებ წარმატებებს, თავმდაბლობას, ეროვნულობას, მოთმინებას, პრინციპულობასა და სიყვარულს. უფალმა დაგლოცოთ!“

ცნობისათვის: ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტი სერაფიმე (ერობაში თამაზ ილიას ძე ჯოჯუა) 1961 წლის 15 თებერვალს სოხუმში დაიბადა. მამა – ილია ჯოჯუა – გეოლოგი. დედა – ანგელინა მარგველაშვილი – ფარმაცევტი, ცხოვრობს სოხუმში. 1978 წელს თამაზ ჯოჯუამ სოხუმის პუშკინის სახელობის მეორე რუსული საშუალო სკოლა და სამხატვრო სკოლა დაამთავრა. 1978-1980 წლებში გეოდეზისტებთან მუშად მუშაობდა. 1980 წელს პროფტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა და სოხუმის ახალ რაიონში მშენებლობაზე მუშაობდა. 1981-1983 წლებში პოდმოსკოვიეში საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა. 1983 წელს სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობდა მუშად.

1984-1990 წწ. სწავლა განაგრძო თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე. 1989 წელს სტუდენტთა საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსის ლაურეატი გახდა. 1990-1991 წლებში საპროექტო ბიუროში არქიტექტორად მუშაობდა.

1991 წელს თამაზ ჯოჯუა იმყოფებოდა მარტყოფის მამათა მონასტერში მორჩილებაში. 1992 წელს ბერად აღიკვეცა და ეწოდა სახელი სერაფიმე, 1992 წლის დეკემბერში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ბერ-დიაკონი სერაფიმე მღვდელმონაზვნად აკურთხა.1994 წელს იგი ფოკას მონასტრის იღუმენი გახდა. 1995 წელს იღუმენი სერაფიმე ბორჯომის ეპარქიის ეპისკოპოსად გამოარჩიეს. 2000 წელს მეუფე სერაფიმე აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. 2007 წლის 25 დეკემბერს იგი დაჯილდოვდა წმიდა გიორგის ორდენით. 2009 წელს მთავარეპისკოპოსი სერაფიმე აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲢᲐ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲐ

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც "ლიბერთი ბანკში" გახსნილია ანგარიში. GE36LBO111199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაურ გახარია.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-213

სიტყვა ადამიანი, როგორც ზემოთ ითქვა, წარმოშობილია სიტყვა ადამიდან. სხვა არც ერთი ხალხის ენაში მსგავს მოვლენას არ აქვს ადგილი.

თურმე, ამ ბებერი, გამხმარი ხის ზოგიერთი ტოტი ჯერ კიდევ მწვანეთი იმოსება. ევასა და ადამის დროინდელი ხე მას შემდეგ გამხმარა, რაც ამერიკელებმა შეტევა (**„ქარიშხალი უდაბნოში“**) განახორციელეს და დაბომბეს ერაყის სოფლები და ქალაქები.

ერაყში ამერიკელთა აგრესიასთან დაკავშირებით გაზეთმა **„ასავალ-დასავალმა“** რუბრიკაში **„ბარბაროსობა სიკეთის დროშით“,** აქვეყნებს დიდ სტატიას: **„ამერიკულმა ფაშიზმმა კაცობრიობის აკვანი გათელა!“** რომელშიც, კერძოდ ნათქვამია: **„ომი მხოლოდ სიცოცხლის ხელყოფა როდია – იგი ანადგურებს იმ კულტურულ საუნჯეებსაც, რომელსაც ასწლეულების მანძილზე ქმნიდა კაცობრიობა. შეუძლებელია, დამშვიდებით უყურო ერაყული ცივილიზაციის წინააღმდეგ მიმართულ იმ ბარბაროსობას, რასაც ახალი დროის ფაშისტები, განმათავისუფლებელი ძია სემის ნიღბით სჩადიან. ამერიკის თავკერძა ხელისუფლებამ, რომელმაც არად ჩააგდო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროტესტი, ხელჰყო კაცობრიობის აკვანი – ბიბლიური ბიბილონი თავისი აურაცხელი ისტორიული ფასეულობით. დღეს ერაყში უმოწყალოდ ინგრევა ისტორიული ძეგლები, რომლებიც 1.955 მილიონი ქრისტიანის, 1.126 მილიონი მუსულმანის და 13 მილიონი იუდეველისათვის რელიგიური სალოცავებია. მსოფლიო საზოგადოებრიობა, კი თითქმის არ გამოთქვამს აღშფოთებას. რუსეთის მუსლიმანთა ისლამურმა სამმართველომ აშშ-სთვის ჯიჰადის (წმინდა ომი) გამოცხადების დადგენილება მიიღო. მე-20-21-ე საუკუნეების რუსეთის ისტორიაში ეს უკვე მეორე შემთხვევაა. პირველი ჯიჰადი მათ 1941 წელს გერმანელ ფაშისტებს გამოუცხადეს. (ბარბაროსობა სიკეთის დროშით. ამერიკელმა ფაშიზმმა კაცობრიობის აკვანი გათელა!“** (გაზ. **„ასავალ-დასავალი“,** 2003, 21-27 აპრილი, №16, გვ. 2.)

დაბა ელკურნაში, სადაც ედემის ბაღი ყვაოდა, დღეს ვერაფერი მიგვანიშნებს ასეთი ბაღის არსებობას, ვერც ევა-ადამის ადგილსამყოფელზე, ვერც ელ-კურნას მიმდებარე ტერიტორიაზე და ქალაქ ედესაში კარდუხების (კოლხების – ქართველების) საცხოვრისს, გარდა აღნიშნული გამხმარი ხისა, რომელიც ჯერ კიდევ დგას და ამერიკულ **„ქარიშხალსაც“** გაუძლო; იქვე ახლოს მდებარეობს უძველესი ქალაქი-სახელმწიფო ური, რომელიც მრავალჯერ არის ნახსენები ძველ აღთქმაში და რომელიც **„შუმერული“** კულტურის ცენტრი იყო. აქვე მდებარეობს მსოფლიოს უძველესი ძეგლი, მთვარის ღმერთის ნანას ტაძარი, რომელიც აგებულია ჩვენ წელთაღრიცხვამდე ოცი საუკუნით ადრე. ამ ტერიტორიებს, სამწუხაროდ, მრავალჯერ მოხვდა ამერიკული ყუმბარები. ძველ ბაბილონში მდებარეობს მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება სემირამიდას (სემირამიდა – ბაბილონის ლეგენდარული ბრძენი დედოფალი, გადმოცემით ირანში დაბადებულა, რომელსაც მეუღლემ თითქოს ხელოვნურ გორაკებზე გაუშენა ბაღები (**„დაკიდული ბაღები“),** ვინაიდან იგი თავის ქვეყნის მთის ბაღებს ყოფილა შეჩვეული. ანტიკური ტრადიცია **„სემირამიდას ბაღები“** მსოფლიოს ე.წ. **„შვიდ საოცრებას“** განეკუთვნება. ლეგენდა ამ დედოფალს მიაწერს ბაბილონის საბოლოოდ დაპყრობას.) დაკიდული ბაღები, ასევე გოდოლი, რომლის გამო ღმერთმა ერთმანეთში აღრია ენები. ისტორიულად, ყურანის მიხედვითაც ქალაქ ელ-კუფაშია უძველესი გემსაშენი, სადაც წარღვნის წინ ნოემ კიდობანი ააგო, რომლის ნარჩენები ხალიფა ალის მეჩეთის ეზოშიცაა; ქალაქ ბაღდადში მდებარეობს მსოფლიოს უძველესი მუსულმანური, 1232 წელს დაარსებული ალ-მუსთანსირის – უნივერსიტეტი (პროტოქართულ სახელმწიფო კოლხეთს III საუკუნეში ჰქონდა უნივერსიტეტი-აკადემია, დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში იყო გელათის და იყალთოს ცნობილი უნივერსიტეტები-აკადემია). თანამედროვე ქალაქ მოსულის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბაბილონის დასუსტების შემდეგ, ათასწლეული წლის წინ, შექმნილია ასურეთის უძლიერესი სახელმწიფოს დედაქალაქი ნინევია, სადაც ნაპოვნი იქნა მეფე აშურბანიპალის (აშურბანიფალის) ცნობილი ბიბლიოთეკა, რომელშიც აღმოჩნდა მსოფლიოში უძველესი **„გილგამეშის ეპოსი“.**

თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოების – ბაბილონის, ასურეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი აქ იმიტომ მოვიტანეთ, რომ როგორც ითქვა, ამ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ პროტო-ქართველები – კოლხ-კარდუხები და სხვა ქართველური ტომები, სადაც კაცობრიობის განვითარების პირველი აკვანი დაირწა, სწორედ ეს ტომები – ეს ხალხები მსოფლიო ცივილიზაციის სათავეში იდგნენ. (გაზეთებმა **„ალიამ“** (2003წ. 25-26 მარტი) და **„ასავალ-დასავალმა“** (2003წ. 21-27 აპრილი) საინტერესო მასალები მიუძღვნეს აშშ-ს მიერ ერაყის წინააღმდეგ 2003 წელს დაწყებულ მესამე ომს და ძველი ბაბილონის, ასურეთის, ქ. ბაღდადის ისტორიის საკითხებს.). სწორედ აქვე მდებარეობს ძვ. წ. 3200 წელზე ადრე დაარსებული ქალაქი კულხა (კოლხი).

* * *

აღნიშნული გვაქვს და ცივილიზებულმა სამყარომ კარგად იცის, რომ თურქეთის კანონებით, თურქეთში მცხოვრები, მიუხედავად ეროვნებისა, ყველა თურქად ითვლება და იწერება. ეს კანონი ლაზების თვითმყოფადობას აშკარა საშიშროების წინაშე აყენებს.

როგორც გიორგი ანდრიაძე მიუთითებს ისეთ ეკლესია-ტაძრებს, როგორიცაა იშახნი და სხვები, გუმბათები ენგრევათ. ასეთივე მდგომარეობაშია ქართული ქრისტიანული კულტურის სხვა უძველესი ცენტრები. ქართული ეკლესია-ტაძრების დიდი ნაწილი მეჩეთებადაა გადაკეთებული, ბევრში თურქი მეცხვარეები დგანან.

იკარგება ქართული ჯიში. ძალიან უჭირთ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს (მესხები-ლაზ-მეგრელები...), რომლებსაც არა აქვთ საშუალება, განათლება მიიღონ მშობლიურ ენაზე, (**გია ოქრობაგელი-ხეველი**. თურქეთში ლაზ–მეგრელთა მდგომარეობა კატასტროფულია, – გაზ. **„ჯორჯიან თაიმსი“,** 2005. 16-23 ივნისი. ავტორი ამბობს, რომ მისი წერილი მიმართულია თურქეთში მცხოვრები მეგრელ-ლაზებისათვის და თურქეთის ხელისუფლებისათვის.). კოლხურ-ლაზური კულტურა შეიძლება თანდათანობით გაქრობის საშიშროების ზღვარზე დადგეს, – წერს გია ოქრობაგელი-ხეველი და განაგრძობს: **„ლაზეთი (ცენტრით ტრაპიზონი) ძველი ბერძნული და ქართული წყაროებით, სამეგრელოდ იწოდება“ ...** სწორედ მეგრელებს, ზედმიწევნით ისეთივე სალაპარაკო დიალექტი აქვთ ერთიანი ქართველური ენისა, როგორიც ლაზებს, მხოლოდ ლექსიკაა ოდნავ განსხვავებული – ლაზურში თურქული სიტყვებია შესული. ლაზ-მეგრელთა დიალექტს ზანური ენა უწოდეს, თუმცა უფრო უპრიანია ვიხმაროთ ლაზურ-მეგრული, რათა არ მოხდეს ამ ზედმიწევნით ერთი ტომის ხელოვნური დაყოფა. სახელმწიფოებრივადაც ეს ტერიტორიები კოლხეთის ნაწილი იყო. (**გია ოქრობაგელი-ხეველი.** თურქეთში ლაზმეგრელთა მდგომარეობა კატასტროფულია,– გაზ. **„ჯორჯიან თაიმსი“,** 205. 16-23 ივნისი.).

კოლხური კულტურის საერთაშორისო ცენტრმა, 2003 წელს გამოსცა პავლე ინგოროყვას **„გიორგი მერჩულედან“** ადგილი სახელწოდებით **„ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო“,** რომლის გამოქვეყნება განაპირობა იმან, რომ დღესაც ლაზურ, ე. ი. კოლხურ კულტურაზე არასწორი ინფორმაცია ვრცელდება და საერთოდ ნაკლები ყურადღება ექცევა ლაზეთის ისტორიას. **„მითუმეტეს,**– ამბობს პ. ინგოროყვა, **– პირველი ქართველური სახელმწიფო კოლხა ერთ-ერთი უძველესთაგანია მსოფლიო კულტურათა შორის, ერთ-ერთი ძირითადი მემკვიდრენი არიან ლაზები, რომელთაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში. ამის დასტურად თუნდაც იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ „დავითიან-სოლომონიანი“ ბაგრატოვანთა სამეფო დინასტია სწორედ, სპერიდან (ლაზთა მხრიდან) იყო წარმოშობით,** (პავლე ინგოროყვა, ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო, გვ. 3-4). **ე.ი. მეგრული წარმომავლობის“.**

პავლე ინგოროყვა მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს ჭანეთ-ლაზეთის (სამხრეთ კოლხეთის) ისტორიის ცალკეულ მხარეებს. მით უმეტეს, ამ საკითხზე **„საისტორიო მეცნიერებაში“** სრულიად მცდარი შეხედულებაა გამოთქმული, – წერს პ. ინგოროყვა და მიუთითებს, რომ ჭან-ლაზები ქართული სახელმწიფოს პირველი მესაძირკველენი არიან.

მოგვყავს ამონაწერი პ. ინგოროყვას შრომიდან (როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ): ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გავრცელებულია შეხედულება, რომ ჭანეთ-ლაზეთი, თუმცა ეთნიკურად ქართველთა ქვეყანას წარმოადგენდა, მაგრამ პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად იგი მოწყვეტილი იყო საქართველოს.

ასე მაგალითად, თვით დიდად ავტორიტეტულ საისტორიო შრომებში ჩვენ გვხვდება ასეთი მტკიცებანი: **„მე-7 საუკუნიდან ქრისტეს წინ მოყოლებული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირებსა და მის მოსაზღვრე ქვეყანაში არასდროს, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა, ქართველებს ფეხი არ შეუდგამს“... „ქართველებმა მხოლოდ მე-13 საუკუნის დასაწყისს ჩაიგდეს ეს ქვეყანა ხელში...“ „ამგვარად თუმცა ლაზურ-ჭანურ შტოს ერთმა ნაწილმა დედა-ენა შეინარჩუნა, მაგრამ ქართველი ტომების საერთო სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყდა და ამის გამო საქართველოს მერმინდელი ისტორიისათვის მათ არსებობამ უნაყოფოდ ჩაიარა.“** (**ივანე ჯავახიშვილი,** ქართველი ერის ისტორია, 1913, გვ. 49-50; 1951. გვ. 414-415, ანუ ქართველების სამი შტო, ჟურნ. **„აია“**, 2001წ. №9-10, გვ. 13.).

პ. ინგოროყვა, როგორც ითქვა, არ ეთანხმებოდა დიდი ივანეს ამ დებულებებს, ასევე ს. ჯანაშიასაც იმის გამო, რომ: **„აფხაზეთის“ ქვეყნის სამხრეთ საზღვარი არც კი აღწევდაო ჭოროხს“,** და ეს მაშინ, როდესაც ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს საზღვრებში შედიოდა არათუ ჭოროხის ზონა, არამედ ჭოროხის სამხრეთით მდებარე რიზეს მხარეც და აგრეთვე ტრაპიზონის მხარეც – ხალდია. პ. ინგოროყვა ასკვნის: როგორც ირკვევა საისტორიო წყაროებიდან, ანტიკურ ხანაში, ჩვენი წელთაღრიცხვის წინა პერიოდში, რიზეს მხარე, ტრაპიზონის მხარესთან ერთად, ნაწილია კოლხეთისა (**პავლე ინგოროყვა**, ჭანეთ-ლაზეთის..., გვ.ნ., იხ. აგრეთვე **კ. შელია,** კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე, გვ. 309-315.). პ. ინგოროყვას თავისი თვალსაზრისით დასამტკიცებლად მოჰყავს სხვა მაგალითებიც.

ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში რიზეს მხარე რომის იმპერიაში შედიოდა, ჩრდილოეთ ნაწილი – იბერიაში, სამხრეთი – ქართულ (ჭანურ) სამეფო-სამთავროს შემადგენლობაში იყო გაერთიანებული სანეთის სახელწოდებით მაკროს – სანთა და ჰენიოხთა უკიდეგანო სამეფო.

III საუკუნიდან IV საუკუნემდე აღნიშნული მხარე ისევ არ შედის რომის იმპერიაში, არამედ იგი არსებობს იგივე ქართულ-ჭანური სანეთის სამეფო-სამთავროს სახით, რომელშიც გაერთიანებულია რიზეს მხარეც. მხოლოდ VII საუკუნის 30-იან წლებში ბიზანტიამ დაიპყრო ეს მხარე, მაგრამ ბიზანტიის მფლობელობაში დიდხანს არ დარჩენილა და როდესაც VIII საუკუნეში ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს **„აფხაზეთის“** სამეფო, მასში შევიდა რიზეს მხარე (საკუთრივ ლაზია), აგრეთვე ტრაპიზონის მხარე (ხალდია).

დიდ მეცნიერს აღწერილი აქვს ახ. წ. VIII საუკუნემდე **„საკუთრივ ლაზიას ან რიზეს მხარის ისტორია“;** ხოლო VIII საუკუნიდან XVI საუკუნემდე რიზეს მხარე – საკუთრივ ლაზიკა, საქართველოს განუყოფელი ნაწილია, გარდა იმ ხანმოკლე პერიოდისა, როდესაც მტრები ახერხებდნენ მის მოწყვეტას საქართველოდან.

მართალია, ისტორიულ წარსულში – ამბობს პ. ინგოროყვა, – საქართველომ ვერ შეძლო მთელი მოცულობით ლაზეთის ტერიტორიის დაცვა, აგრესორებმა მოახერხეს ხანგრძლივად მიეტაცათ ჭანეთ-ლაზეთის ქვეყნის დასავლეთი ნაწილი, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ჭანეთ-ლაზეთის ქვეყანას არ ჰქონდა საქართველოსთან სახელმწიფოებრივი კავშირი, არ შეეფერება სინამდვილეს. ჭანეთ-ლაზეთს საქართველოსთან აერთიანებს ისტორიული წარსული, სახელმწიფოებრივი კავშირი.

პ. ინგოროყვა ჭანეთ-ლაზეთის (სამხრეთ კოლხეთის) ისტორიულ სახელწოდებებს შემდეგნაირად ხსნის: ჭანეთ-ლაზეთი (ლაზია) და ქალდია (ხალდია) ნაწარმოებია ქართველ ტომთა სახელწოდებიდან: ჭანი, ლაზი, ქალდი (ხალდი). ამათგან ჭანეთი არის ზოგადი სახელწოდება მთელი სამხრეთ კოლხეთისა. ლაზია არის სახელწოდება ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილის, რიზეს მხარისა (ამავე მხარეს ეწოდება აგრეთვე ზღვისპირა კლარჯეთი). ქალდია (ხალდია) არის სახელწოდება ქვეყნის ცენტრალური ნაწილისა – ტრაპიზონის მხარისა.

ქვეყნის დასავლეთ ნაწილი – კაერასუნ-ფარნაკიის მხარე ქართულ წყაროებში მოიხსენიება ზოგადი სახელწოდებით – პონტოს ადგილნი.

სომხურ გეოგრაფიაში ლაზეთი (**„ლაზივ“**), ხალდია (**„ხატიქ“**), ჭანეთი (**„ჭანივ“**) ითვლებიან ნაწილად **„ეგრის“** (ეგრისის), ანუ კოლხეთის ქვეყნისა, ხოლო კერასუნ-ფარნაკიის მხარის მიმართ ხმარობენ ზოგად სახელწოდებას – პონტოსი.

ბერძნული წყაროების მიხედვით, – როგორც მიუთითებს პ. ინგოროყვა, – ხალდია ტრაპიზონის მხარეა, მაგრამ ცალკეულ პერიოდში იგი აერთიანებდა ტერიტორიებს ჭოროხიდან თერმოდონთამდე, ამიტომ სახელწოდება ხალდია გვხვდება, როგორც ზოგადი სახელწოდება მთელი სამხრეთ კოლხეთისა.

ბერძნული ცნობებით ლაზეთი, ლაზიკა, ადმინისტრაციულად დასავლეთ საქართველოს უკავშირდება, მოიცავს აგრეთვე ტრაპიზონს, რიზეს მხარეს. იქ ბერძნული წყაროები ტრაპიზონის მეფეებს უწოდებენ: მთავარი ლაზთა, მფლობელი ლაზთა.

ზოგიერთი ბერძენი ავტორი (ლაონიკე ხალკოკონდილესი) ტრაპიზონის მეფეებს მოიხსენებს სახელწოდებით: კოლხეთის მეფენი, კოლხეთის მთავარნი.

შუა საუკუნეებში ლაზეთ-ჭანეთი ანუ სამხრეთ კოლხეთი განიყოფებოდა სამ მთავარ სამხარეო ერთეულად: რიზეს მხარე (აღმოსავლეთი ჭანეთ-ლაზეთი) – საკუთრივ ლაზია, ზღვისპირა კლარჯეთი – ტრაპიზონის მხარე (შუა ჭანეთ-ლაზეთი), – საკუთრივ ქალდია (ხალდი); კერასუნ-ფარნაკიის მხარე (დასავლეთ ჭანეთ-ლაზეთი) – ხალიბია, ხალიბია – ტიბარენია.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲠᲮᲕᲐ!

ლოცვითა და მარხვით ადამიანი ათავისუფლებს სულს ამქვეყნიური საზრუნავისაგან, ამაო ფუსფუსისაგან, ცოდვის მორევისაგან.

იგი ასუსტებს და თრგუნავს ხორციელ მოთხოვნილებებს, რითაც აცლის ეშმაკს ბოროტი ზემოქმედების სარბიელს.

ერთხელ უფალთან ეშმაკეული მიიყვანეს და შესჩივლეს, რა არ ვიღონეთ, სად არ მივიყვანეთ, არაფერი გამოგვდის, შენმა მოწაფეებმაც ვერაფერი მოუხერხეს და იქნებ შენ გვიშველო რამეო. უფალმა გულისტკივილით ამოიოხრა და განკურნა ეშმაკეული. როცა მოწაფეები შეეკითხნენ, ჩვენ რატომ ვერ შევძელითო მისი განკურნება, უპასუხა: – ურწმუნოებისა თქვენისათვის. ამინ გეტყვი თქვენ, მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ მთას აქედან იქით გადადიო – გადავა, და არაფერი იქნება თქვენთვის შეუძლებელი. – ეს უკეთური მოდგმა კი მხოლოდ მარხვითა და ლოცვით განიდევნება – დაამატა მან და ამით მოგვცა ადამიანებს ბოროტ ძალებთან საბრძოლველი იარაღი.

წმიდა დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: – კაცი პატივსა შინა იყო და არა გულის-ხმა-ჰყო, ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ.

რა პატივი ხვდა წილად ადამიანს და რა არ გულის-ხმა-ჰყო? პასუხი აქვეა, დავითის სიტყვების მეორე ნაწილში.

– ჰბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მას.

დიახ! უგუნურებით მიჰბაძა პირუტყვს და დაემსგავსა მას.

ესე იგი გონიერება ყოფილა დიდი პატივი, რომელიც ღმერთმა უბოძა ადამიანს და ამით განასხვავა იგი ყოველი სხვა ქმნილებისაგან, სწორედ გონებით აამაღლა იგი, შექმნა რა თავის ხატად და მსგავსად.

პირუტყვის ქცევები რითაა განპირობებული?

მხოლოდ და მხოლოდ ხორციელი სურვილებით. სწყურია – უნდა დალიოს, შია – უნდა ჭამოს, ეძინება – უნდა დაიძინოს, სირბილი უნდა – დარბის. მას არც სირცხვილი გააჩნია – ყველაფერს ბუნებრივად აღასრულებს, არაფერია მისთვის მოსარიდებელი.

უფალმა გონება იმისთვის გვიბოძა, რომ გავარჩიოთ კეთილი ბოროტისაგან და კეთილი ავირჩიოთ. ვინც ბოროტებას ირჩევს, იგი ქურდია და ავაზაკი, რადგან მიითვისა ღვთისაგან ბოძებული ნიჭი და უკეთური მიზნებისთვის გამოიყენა.

კვლავ წმიდა პავლე მოციქულს მოვუხმოთ: **მოციქულის სწავლება** რომელნიც ხორციელად ცხოვრობენ, ხორციელზე ფიქრობენ, ხოლო რომელნიც სულიერად არიან – სულიერზე. რადგან ხორციელი ფიქრები სიკვდილია, ხოლო სულიერი – სიცოცხლე და მშვიდობა.

ხორციელი ფიქრები – ღვთის მტრობაა, რამეთუ არ ემორჩილება ღვთის სჯულს, ამიტომ მათ, რომელნიც ხორციელად ცხოვრობენ, არ ძალუძთ ასიამოვნონ ღმერთს (რომ. 8, 5-8).

დადგა ძილისაგან თქვენი გამოღვიძების ჟამი. ღამე წავიდა და დღე მოახლოვდა, ამიტომ მოვიშოროთ სიბნელის საქმეები და შევიმოსოთ ნათლის საჭურველი.

მოვიქცეთ თავდაჭერილად, როგორც დღისით, არა მსუნაგობით და ლოთობით, არა ავხორცობითა და თავაშვებულობით, არა ჩხუბით და შურით, არამედ შეიმოსეთ უფალი ქრისტე და ხორცზე ზრუნვას გულისთქმად ნუ გაიხდით (რომ. 13, 11-14).

მოიქეცით სულიერად და ნუ აღასრულებთ ხორცის გულისთქმებს, რამეთუ ხორცს სულის საწინააღმდეგო სურს, სულს კი ხორცის საწინააღმდეგო. ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რათა არ აკეთოთ ის რაც გსურთ. ხორცის საქმეები აშკარაა. ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა, კერპთმსახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი, უთანხმოებანი, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლოთობა, გაუმაძღრობა და სხვა ასეთი. გეუბნებით წინასწარ, როგორც ადრე მითქვამს, რომ ამის ჩამდენნი ღვთის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებენ.

ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება – ამათ წინააღმდეგ არ არის სჯული.

მათ ვინც ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს თავიანთი ხორცი ვნებებთან და გულისთქმებთან ერთად.

თუ სულით ვცოცხლობთ, სულითვე უნდა ვიაროთ, ნუ ვიქნებით პატივმოყვარენი, ერთმანეთის გამაღიზიანებელნი და ერთმანეთის მოშურნენი.

ძმანო! თუ კაცი რაიმე შეცოდებაში ჩავარდება, თქვენ სულიერებმა გამოასწორეთ იგი თავმდაბლობის სულით და გაფრთხილებით, თქვენც რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. ერთიმეორის სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული ქრისტესი. რამეთუ, თუ ვინმეს ეგონოს, რომ რაიმე არს და არა იყოს, თავსა თვისსა აცდუნებს, არამედ საქმენი თვისნი გამოსცადოს ყოველმა.

ხოლო ეზიარებოდნენ უმეცარნი სიტყვასა მასწავლელისასა ყოველსა შინა კეთილსა.

ყოვლითა სიმდაბლითა და სიმშვიდითა და სულგრძელებითა თავს იდებდით ურთიერთარს სიყვარულითა. ისწრაფეთ შეინარჩუნოთ სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით.

ერთია ხორცი, ერთია სული, ერთ არს უფალი, ერთ არს სარწმუნოება, ერთია ნათლისღება, ერთ არს ღმერთი და მამა ყოველთა, რომელი ყოველთა ზედა არს და ყოველთა მიერ და ჩვენ ყოველთა შორის. აღარ ვიყოთ ყრმები, რომელთა არყევს და იტაცებს ყოველგვარ მოძღვრებათა ქარი ადამიანთა ცბიერებით, ცდუნების მზაკვრული ხელოვნებით, არამედ ჭეშმარიტ ვიყვნეთ სიყვარულსა ზედა. განიშორეთ თქვენგან ძველი იგი კაცი,

გახრწნილი გულისთქმითა მისებრ საცთურისა, რომელიც თქვენი პირვანდელი ცხოვრების შედეგი იყო, განახლდით თქვენი გონების სულით და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისათა.

ამიტომ განიშორეთ ტყუილი და ყველა ჭეშმარიტებას იტყოდეს. განრისხებულნი ნუ სცოდავთ, მზე ნუ ჩავა განრისხებასა თქვენსა. ნუ მისცემ ადგილს ეშმაკსა. ვინც იპარავდა, ნუდარ იპარავს. უკეთესია იშრომოს და თავისი ხელით აკეთოს კეთილი, რათა ჰქონდეს გაჭირვებულისათვის მისაცემად. უშვერი სიტყვა არ დაგცდეთ პირიდან, არამედ მხოლოდ კეთილი, დასარიგებელად, რათა მადლი მიანიჭოს მსმენელებს. და ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა ღმრთისასა, რომლითაცა აღიბეჭდენით დღედ გამოხსნისა. ყოველი სიმწარე, რისხვა, გულისწყრომა, ყვირილი და გმობა მოსპეთ თქვენ შორის, ყოველ უკეთურებასთან ერთად. იყავით ერთმანეთის მიმართ ტკბილი, მოწყალე, მომადლებელ თავთა თვისთა, ვითარცა იგი ღმერთმან ქრისტეს მიერ მოგვმადლა ჩვენ.

ნუცა ვინ გაცდუნებს თქვენ ცუდითა სიტყვითა, რამეთუ ამისთვის მიიწევის რისხვა ნაშობთა მათ ზედა ურჩებისათა. ნუ იქნებით მათი მსგავსი. რამეთუ ოდესღაც ბნელი იყავით, ხოლო აწ ნათელი ხართ უფლისა მიერ, ვითარცა შვილნი ნათლისანი ვიდოდეთ. რამეთუ ნაყოფი სულისა ყოველითა კეთილითა და სიმართლითა და ჭეშმარიტებითა.

გამოსცადეთ, რა არის სათნო უფლისა და ნუ თანა-ეზიარებით საქმეთა მათ უნაყოფოთა ბნელისათა, არამედ ამხილეთ, რამეთუ, რასაც ისინი ფარულად აკეთებენ, სათქმელადაც კი სამარცხვინოა. ხოლო ყოველივე მხილებული ნათლისაგან განცხადდება, რამეთუ ყოველივე განცხადებული ნათელ არს.

ნუ იქნებით უგუნურნი, არამედ გულისხმა-ჰყავთ რაი-იგი არს ნება უფლისა და ნუ დაითვრებით ღვინითა, რომლითა არს სიბილწე, არამედ აღივენით სულითა.

ესაუბრეთ ერთმანეთს ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა და აქებდით თქვენს გულებში უფალსა. ჰმადლობდეთ ყოვლადვე ყოველთათვის სახელითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა ღმერთსა და მამასა.

დაემორჩილენით ურთიერთარს შიშითა ქრისტესითა (ეფ. 4; 2-5; 21). ბევრნი, რომელთა შესახებაც ხშირად მითქვამს თქვენთვის და ახლაც ტირილით გეუბნებით, ისე იქცევიან, როგორც ქრისტეს ჯვრის მტრები. მათი ბოლო დაღუპვაა, მათი ღმერთი – მუცელი, მათი დიდება კი სირცხვილშია, ისინი მიწიერზე ფიქრობენ (ფლპ. 3, 18).

ამიერიდან ძმანო, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც წმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებარია, რაც სათნო და ქებულია, იმაზე იფიქრეთ.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲠᲮᲕᲐ

ჩვეულებრივ დიდ მარხვაში უნდა შეიკავოთ თავი ხორცისა და ხორცის პროდუქტებისაგან, ყველისა და რძის პროდუქტებისაგან, კვერცხისა და თევზეულისაგან.

არ არის დაშვებული ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების დალევაც.

კარგი იქნება თუ ვისარგებლებთ დიდი მარხვის საერთო შემართებით და თუნდაც დროებით დავთმობთ სიგარეტს და სხვა მავნე ჩვევებსაც.

დამწყებთათვის სასურველია, რომ მთელი მარხვის განმავლობაში არ მიიღონ ხორცი და ხორცის პროდუქტები, თავი შეიკავონ ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელებისაგან.

რძის პროდუქტები და კვერცხი შეუძლიათ მიიღონ გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, რომელთა სრული მარხვით დაცვა კარგი იქნება.

ვინც პირველად აპირებს მარხვის შენახვას და ვისაც სურს მარხვის გამკაცრება, უნდა მიმართონ მოძღვარს რჩევა-დარიგებისა და ლოცვა-კურთხევისათვის.

თუ ავადმყოფობისა და სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლია სრული მარხვის შენახვა, მიმართოს მოძღვარს და ის შეურჩევს მარხვის უვნებელ ზომას.

დიდი მარხვის პირველი შვიდეული განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა. ჩვეულებრივ საკვები უზეთოდ მზადდება და მცირდება მისი მიღების რაოდენობა.

დამწყებთათვის საკმარისია სრულად დაიცვან მარხვა, ყოველგვარი გამკაცრების გარეშე.

დიდი მარხვის პირველი შვიდეულის ორშაბათიდან ხუთშაბათამდე დიდი მწუხრის შემდეგ იკითხება წმ. ანდრია კრიტელის სინანულის კანონი. დიდი მარხვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია.

სხვა სადაგ დღეებში წირვა არ ტარდება. დიდმარხვის I შაბათს აღინიშნება ხსენება წმ. დიდმოწამე თეოდორე ტირონისა. ამ დღეს ტაძრებში იკურთხება კოლიო.

წმიდა დიდმოწამე თეოდორე ტირონის აღსრულებიდან 50 წლის შემდეგ იმპერატორმა იულიანე განდგომილმა, რომელსაც სურდა დიდმარხვის ჩაშლა, პირველ შვიდეულში გასცა ბრძანება, რომ ყოველდღე, მთელი კვირის განმავლობაში, ესხურებინათ ნაკერპავი სისხლი ყველანაირ სურსათ-სანოვაგეზე, რომელსაც ბაზარში გამოიტანდნენ. ამ დროს წმ. თეოდორე გამოეცხადა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს და მოუწოდა მას ეცნობებინა ყოველი ქრისტიანისათვის, რათა მათ არ ეყიდათ ბაზარზე გამოტანილი შებილწული საკვები და ეჭამათ მხოლოდ კოლიო, ანუ თაფლით შეზავებული მოხარშული ხორბალი. ამ მოვლენის აღსანიშნავად მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის პირველ შაბათს აღასრულებს წმიდა თეოდორე ტირონისადმი სავედრებელ კანონს და აკურთხებს კოლიოს (წანდილს). ამ დღეს სრულდება იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის I კვირას აღინიშნება მართლმადიდებლობის ზეიმი, დღე როდესაც საბოლოოდ გაიმარჯვა მართლმადიდებლობამ და დაიგმო ხატმებრძოლობა. სრულდება ბასილი დიდის წირვა.

შაბათსა და კვირას მკაცრი მარხვა არ შეიძლება. დასაშვებია ცოტაოდენი ღვინის შესმა.

დიდი მარხვის II, III და IV შაბათი მიცვალებულთა ხსენების დღეებია. იკურთხება საკურთხი. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა. დიდი მარხვის II კვირას ვიხსენიებთ წმიდა გრიგოლ პალამას, თესალონიკელ ეპისკოპოსს. სრულდება ბასილი დიდის წირვა.

III კვირას ჯვარის თაყვანისცემის კვირა ეწოდება. ამ დღეს შუა ტაძარში დაესვენება ცხოველსმყოფელი ჯვარი და მისი საპატივცემო წირვა-ლოცვა აღევლინება. სრულდება წმ. ბასილი დიდის წირვა. 25 მარტს (ახალი სტილით 7 აპრილს) აღინიშნება ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა. ხსნილია თევზითა და ღვინით.

დიდი მარხვის IV კვირას არის ხსენება ღირსისა მამისა იოანე კიბისაღმწერელისა, რომელმაც აღწერა სათნოებათა კიბე აღმავალი ზეცად. სრულდება წმიდა ბასილი დიდის წირვა.

დიდი მარხვის V შაბათს დაუჯდომლის შაბათი ეწოდება. ამ დღეს იკითხება ღვთისმშობლის დაუჯდომელი გალობა, რომელიც დაწესებულია მოსახსენებლად კონსტანტინოპოლში აღვლენილი საყოველთაო და გულმხურვალე ლოცვისა, რომელიც შეისმინა დედამ ღვთისა და მისი შუამდგომლობით შეწყდა ღვთის რისხვა. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის V კვირას ვიხსენებთ ღირს დედა მარიამ მეგვიპტელს, რომელიც თავდაპირველად უწმინდური და თავაშვებული ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ ღვთის მადლითა და ღვთისმშობლის შემწეობით ირწმუნა ღმერთი და ერთერთი ყველაზე დიდი წმიდანი გახდა. სრულდება წმიდა ბასილი დიდის წირვა.

VI შაბათს ლაზარეს შაბათი ჰქვია. ამ დღეს ვდღესასწაულობთ ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას (წაიკითხეთ იოანეს სახარების მე-11 თავი). ტარდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილია თევზითა და ღვინით.

VI კვირა – ბზობაა, ანუ იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში. ტაძრებში იკურთხება ბზა. ხსნილია თევზითა და ღვინით. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდ მარხვას მოსდევს ვნების შვიდეული. მარხვა კვლავ უფრო მკაცრი ხდება, განსაკუთრებით დიდ პარასკევს – იესო ქრისტეს ვნებათა ხსენების დღეს.

დიდი ორშაბათიდან დიდ ხუთშაბათამდე ტაძარში იკითხება ოთხივე სახარება მთლიანად. ორშაბათიდან ოთხშაბათამდე სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია, დიდ ხუთშაბათს წმიდა ბასილი დიდის წირვა. ხუთშაბათის შემდეგ აღარ ითქმის ეფრემ ასურის ლოცვა.

ᲖᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ ᲐᲜᲣ ᲨᲕᲘᲓ-ᲒᲖᲘᲡ ᲖᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲔᲑᲐ

დიდი მარხვის პერიოდში ეკლესიებში სრულდება ზეთის კურთხევის საიდუმლო ანუ **„შვიდგზის ზეთისცხება“**, როგორც მას დღეს უწოდებენ. ეს საიდუმლო, ისევე როგორც ახალი აღთქმის დანარჩენი საიდუმლოებანი, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დაგვიწესა, როდესაც მისი ლოცვა-კურთხევით საქადაგებლად წარგზავნილი მოციქულები **„სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა და განჰკურნებდეს“** (მარკოზი 6, 13). ზეთის კურთხევის მიზანი წმიდა მოციქულ იაკობის სიტყვებშიც ჩანს: **„უძლურ თუ ვინმე არს თქვენს შორის, მოუწოდონ ხუცესთა ეკლესიისათა, და ილოცონ მას ზედა და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისაითა და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან, დაღაცათუ ცოდვა რაიმე იქმნეს, მოვეტეოს მას“** (იაკობი 5, 14-15).

აქედან ჩანს, რომ ზეთის კურთხევის საიდუმლოს შესრულების მიზანია ავადმყოფის ხორციელი სნეულებისაგან განკურნება და ცოდვათა მიტევება. ამ საიდუმლოს პირველსახედ შეიძლება მივიჩნიოთ, აგრეთვე, თვით უფლის მიერ განრღვეულის განკურნება ქალაქ კაპერნაუმში, როდესაც იესო ქრისტემ სნეული არა მარტო სარეცელიდან ააყენა, არამედ ცოდვებიც მიუტევა (მარკოზი 2, 1-12). დღეს ეს საიდუმლო სრულდება ეკლესიებში დიდი მარხვის პერიოდში ან მძიმე ავადმყოფთან სახლში, როდესაც ამისი აუცილებლობაა, წლის ნებისმიერ დროს. ამასთან, თუ ავადმყოფთან საიდუმლოს ჩატარებისას ჩვენი მთავარი მიზანი სნეულების დათრგუნვაა, ეკლესიაში მას მორწმუნეები ძირითადად ცოდვათა მიტევების გამო ესწრებიან; თუმცაღა, ცხადია, ორივე შემთხვევაში საიდუმლოს ორივე ზემოქმედება ძალაშია, რამეთუ სნეულებისაგან სრული განკურნება ცოდვათა მიტევების გარეშე, ადამიანისთვის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს.

სასურველია, რომ მორწმუნემ ზეთის კურთხევაში მონაწილეობა ყოველწლიურად მიიღოს, რადგან, თუ აღსარებისას ადამიანს ის ცოდვები მიეტევება, რომლებიც აღიარა და მოინანია, გადმოცემის თანახმად ზეთის კურთხევისას, დავიწყებული ცოდვებიც ეპატიება. სხვადასხვა ეკლესიებში ზეთის კურთხევა დიდი მარხვის სხვადასხვა კვირაში სრულდება, რაც საშუალებას აძლევს მორწმუნეს გამოიცხოს შემთხვევითი, დამაბრკოლებელი მიზეზი და არ დააკლდეს ამ დიდი მადლის მომნიჭებელ საიდუმლოს.

დიდ პარასკევს დღის 2 საათზე იესო ქრისტეს გარდამოხსნის მოსახსენებლად ტაძრებში ხდება გარდამოხსნის გადმოსვენება. ამ დღეს განსაკუთრებით მძიმეა მარხვა. წირვა არ ტარდება, იკითხება 12 ვნების სახარება.

დიდ შაბათს დილაადრიან ხდება გარდამოხსნის შემოტარება ტაძრის გარშემო. ამით გამოიხატება უფლის წმიდა სხეულის გადმოსვენება ჯვარცმის ადგილიდან მისთვის გამზადებულ საფლავში. სრულდება ბასილი დიდის წირვა. დიდი შაბათი – ერთადერთი შაბათია წლის განმავლობაში, როდესაც დაშვებულია მკაცრი მარხვა. ვინც საზიარებლად ემზადება, აღარ უნდა ჭამოს და არც დალიოს არაფერი საღამოს 8 საათის შემდეგ.

ყველიერის შვიდეულით დაწყებული ბრწყინვალე შვიდეულის ბოლომდე არ შეიძლება ჯვრისწერა, თავისთავად გასაგებია, რომ ეს იმასაც ნიშნავს, რომ ამ პერიოდში არ შეიძლება შეუღლება, რადგან ღმერთი არ აკურთხებს მარხვაში დამყარებულ ცოლ-ქმრულ კავშირს. თუ ვინმე შემთხვევით დაარღვევს მარხვას, ნუ მიატოვებს მას, არამედ მოინანიოს ცოდვა და კვლავ განაგრძოს შემართებითა და წინდახედულობით.

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲓᲐᲚᲝᲪᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ!

ᲐᲛᲘᲜ!

ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ,
თბილისის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მოძღვარი

გულახდილი საუბარი „ნინოწმინდის“ სომხური ეკლესიის ნათლიმამა ხაჩატურ ბდოიანთან

არაერთხელ დამიწერია და მითქვამს, თუ რომელიმე გაზეთს ან ტელეარხს სათქმელი შემოელია, საკუთარი მკითხველის თუ მაყურებლის გამოსაფხიზლებლად აუცილებლად ჯავახეთს უნდა მიადგეს. ყველა მათგანმა (არ არის აუცილებელი, იქ ნამყოფია თუ არა), ისეთი რამ უნდა დაწეროს და მოყვეს, ქვეყანას რომ ააფორიაქებს, მტერს გულს გაუხარებს და მოყვარეს კიდევ გაუხეთქავს! რა მოჰყვება ამას სულაც არ ადარდებთ. მთავარია, კიდევ ერთხელ ახმაურდა პრესა და ტელევიზია ჯავახეთზე, რის ხარჯზეც სხვა, უფრო **„მნიშვნელოვანი“** რამ გადაფარა და განმუხტა ხელისუფლებამ!.. ჯავახეთი კი, კვლავინდებურად **ღვთისანაბარად რჩება მიგდებული!**

ამ ზახულს **„ილორი“** ესტუმრა ჯავახეთს და მთელი ნომერი მიუძღვნა ამ სწორუპოვარ კუთხეს. ამიერიდან პერიოდულად დაიბეჭდება მასალები, როგორც ისტორიულ, ასევე ყოველდღიურ ყოფით თემებზე, ქართველ-სომეხთა თანაცხოვრებასა და ყველა იმ საჭირბოროტო საკითხზე ბუნების გარდა, ქვეყნის უგუნურმა მთავრობამ რომ მოგვახვია თავს!

ახლა შევეშვათ ამ ამბავს და მთავარს მივუბრუნდეთ, რისთვისაც „ნინოწმინდაში“, როგორც თვითონ ამბობს – **„180 წლის წინ ერზრუმიდან სიკვდილსბამოქცეული სომხეების“** ***შთამომავალს, გონებამახვილ და საინტერესო მოსაუბრეს, ბატონ ხაჩატურ ბდოიანს ვესტუმრეთ. სანამ საუბრის ჩაწერას დავაპირებდი, მრავალ საკითხს შევეხეთ და ყველაზე მეტად, ამ ბოლო დროს ქვეყანაში გამეფებულმა არაკომპეტენტურობამ და ქვეყნისადმი უგულო დამოკიდებულებამ დაგვწყვიტა გული!***

– ბატონო დავით, მე არ ვაპირებ ასე ღრმად ჩავეძიო დღევანდელ ქართულ სახელმწიფო პოლიტიკაში, მაგრამ ბევრი რამ ისე რომ ვერ არის, როგორც უნდა იყოს, ამას დიდი მიხვედრა არ უნდა!

ისეთ რეგიონში, როგორიც ჯავახეთია, რაღაც საგანგებო კრიტერიუმი უნდა არსებობდეს, როცა ადგილობრივი ხელისუფლება ინიშნება (არ მითხრათ ახლა ირჩევაო!), რადგან აქაური მოსახლეობის შემადგენლობა აბსოლუტურად განსხვავებულია, ვიდრე რომელიმე სხვა რეგიონში. რასაც ახლა ვიტყვი – თქვენ შეიძლება იფიქროთ – სომეხი ამას არ უნდა ლაპარაკობდესო და შეიძლება ჩემს ნათქვამში ეჭვიც შეიტანოთ, მაგრამ მე უპირველეს ჩემი კუთხის და ჩემი ხალხის პატრიოტი ვარ და, აქედან გამომდინარე, ვიტყვი: ის სომეხი, რომელიც ცდილობს მისი შვილი აუცილებლად სომხეთში წავიდეს სასწავლებლად თუ საცხოვრებლად, ჯავახეთში ხელმძღვანელ თანამდებობაზე არ უნდა ინიშნებოდეს! ასეთი ადამიანი, რასაც იშოვის გარეთ გაიტანს და არასოდეს იფიქრებს საქართველოში, ჯავახეთში შემოიტანოს რაიმე!

სწორედ ასეთი ადამიანების შვილები მონაწილეობენ სომხების რადიკალურად განწყობილი მცირერიცხოვანი ნაწილის მიტინგებში, სადაც, აქა-იქ, მართლა გაისმის მოწოდებები ჯავახეთის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნებით!

იცით რისთვის აკეთებენ ამას? აქედან ერევანში სასწავლებლად წასული ახალგაზრდა ძნელად თუ გაეჯიბრება ადგილობრივ თანატოლს და თვითდამკვიდრებისათვის სჭირდება რადიკალიზმისკენ მიდრეკილი **„ვითომ პატრიოტის“** როლის თამაში! სხვა შემთხვევაში, არც ერთი ნორმალური ჯავახეთში დაბადებული და გაზრდილი სომეხი არ იტყვის – საქართველოს გამოვეყოთ და სომხეთს შევუერთდეთო!

ბატონო ხაჩატურ, არ გეშინიათ, რასაც ახლა მელაპარაკებით, გაზეთში რომ გამოვაქვეყნო?

რატომ უნდა მეშინოდეს? მე იმიტომ გელაპარაკებით, რომ დაწეროთ და ყველამ წაიკითხოს! მე ერთ ძველ ამბავს მოგიყვებით: პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, ზაფხულის არდადეგებზე ბოგდანოვკაში ჩამოვედი მშობლებთან. თბილისის **„დინამო“** ეთამაშებოდა ერევანში **„არარატს“**. ცინცხალი **„ოცდაოთხით“** წავედით ერევანში **„საბალელშიკოდ“**!

თუ საიდუმლო არ არის ვის „ბალელშიკობდით“?

რა თქმა უნდა **„არარატს“**! მახსოვს, ერევანში რომ ჩავედით, როგორი შურით უყურებდნენ იქაურები ჩვენს **„ნავაროჩენნი“** ქართულნომრებიან **„ოცდაოთხს“**. მანქანა **„რაზდანის“** სტადიონის სადგომზე დავაყენეთ და ჩვენიანებს შევუერთდით – **„არარატ ჰუპტურ! არარატ ჰუპტურ!“**

არ ვიცი ჩვენზე გაბრაზდა, თუ რა მოხდა – **„დინამომ“** ისე ამოტენა **„არარატი,“** ტირილამდე ცოტა აკლდა გადავსებულ სტადიონს!..

ეს კიდევ არაფერი – გარეთ გამოსულებს ჩვენი **„ნავაროჩენნი ოცდაოთხის“** ყველა შუშა ჩამსხვრეული დაგვხვდა. საყვარელი გუნდის წაგებით გაბრაზებულმა მაყურებელმა ქართულნომრიან გაკრიალებულ მანქანაზე იყარა ჯავრი!

რას ვიზამდით, სანამ ბოგდანოვკაში ჩამოვედით, კარგად გავნიავდით სანახევროდ გაკაბრიოლეტებულ **„ოცდაოთხში“**!

ხომ გაგიგიათ – **„რაც არ გერგება, არ შეგერგებაო!“–** მგონი ქართული ანდაზაა, ხომ?!.

– რატომ მიყვებით ამ ამბებს, ბატონო ხაჩატურ?

– ბატონო დავით, ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, ბატონოს ნუ მეძახით და მეორეც, ხაჩიკ დამიძახეთ – მე არ მეწყინება!

– როგორც გენებოთ, ჩემო ხაჩიკ!

– ხო და ძალიან კარგი! იმის თქმა მინდა – თუ საქართველოში ცხოვრობ, ვინც არ უნდა იყო – **ის არის შენი სამშობლო და ის უნდა გიყვარდეს ყველაზე მეტად! სულ სხვა საქმეა, როცა უსამართლობას დაინახავ, დაუფიქრებლად უნდა დადგე სიმართლის მხარეს! ამიტომაც ხშირად – სასომხეთში საქართველოს გამო მომდის უსიამოვნება, საქართველოში კიდევ – სასომხეთის გამო! გამოგიტყდებით, მე ეს არ მწყინს, პირიქით, ამაში ვხედავ ჩემს ღირსებას!**

როგორც ზემოთ ვთქვი, ჩემი წინაპარი 180 წლის წინ ჩამოსულა ერზრუმიდან ჯავახეთში. ისინი სასულიერო პირები ყოფილან და რამდენიმე ეკლესია მათი ინიციატივით აშენებულა ამ კუთხეში, მათ შორის **„ნინოწმინდაშიც“**.

ჩვენთან, ეკლესიის წესია – ყოველი წლის დასაწყისში მრევლი ნათლიმამას ირჩევს ერთი წლის ვადით. ტრადიციულად, ამ საპატიო თანამდებობაზე დიდფულიან პირებს ირჩევენ. წელს დაირღვა ეს ტრადიცია და მე ამირჩიეს. ეს ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის დიდი პატივია!

– ალბათ, რაღაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობაც აკისრია მრევლის რჩეულ ადამიანს!

– რა თქმა უნდა, ვისაც რა შეუძლია იმას აკეთებს – ზოგმა გზა შეაკეთა თავის დროზე, ზოგმა წყალგაყვანილობა, უმეტესობამ კიდევ არაფერი გააკეთა!

– შენ რას აპირებ, ხაჩიკ?

– როგორც მოგახსენეთ, ხალხმა წელს პირველად ამირჩია უფულო ადამიანი ამ საპატიო თანამდებობაზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არაფერი უნდა გავაკეთო. პირიქით, ისეთი რამ დავისახე მიზნად, რასაც ვერანაირი ფულით ვერ შეიძლებს ადამის ძე!

– რას აპირებ ასეთს, ჩემო ხაჩატურ?

– ადამიანებს შორის სიყვარული უნდა ვთესო (რასაც მე მუდამ ვაკეთებდი!) ჩვენი სალოცავის წინამძღვართან ერთად. იგი ახალგაზრდა კაცია და თანადგომა სჭირდება!

„ნინოწმინდა“ პატარა ქალაქია, აქ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და ყველამ იცის, ვის რა უჭირს და რა ულხინს. ამ დალოცვილ მიწაზე ჩვენი ყოფნა გაელვების ტოლია მხოლოდ და არაფერი არ ღირს იმად, რომ ერთმანეთს ვაწყენინოთ! ყველამ უნდა წარმოიდგინოს, თუ რა უბედურებას და განსაცდელს გამოექცა 180 წლის წინ ჩვენი წინაპარი და როგორ მიიღო იგი საქართველომ და ქართულმა მიწამ. ჩვენ, სომხებიც და ქართველებიც, დროებითი სტუმრები ვართ ამ მიწის და მომავალ თაობებს მხოლოდ სიყვარული უნდა დავუტოვოთ ერთმანეთისადმი.

– საოცარია, ხაჩატურ! პირველად მესმის ასეთი გულახდილი აღსარება სომხისგან!

– რატომ, ბატონო დავით? მე სიმართლეს გიყვებით, ეს ის ცხოვრების გამოცდილებაა, რაც ჩემს ასაკში ადამიანს აუცილებლად უნდა გააჩნდეს, თორემ, სხვა რამესაც მოგიყვებით, თუ არ გამიბრაზდებით!

– მოყევი, ხაჩიკ!

– სომეხი და ქართველი კამათობენ.

ქართველი ეკითხება სომეხს:

– ვის უფრო მეტი **„გოთვერანი“** ჰყავს სომხებს თუ ქართველებს?

– სომეხი დაუფიქრებლად პასუხობს – **რა თქმა უნდა ქართველებს!**

– კი, მაგრამ რითი ამტკიცებ, არც დაფიქრებულხარ!..

– მაგას ფიქრი რათ უნდა **„ელი“** – ყველა **„გოთვერანმა სომეხმა“** გვარი გადაიკეთა და ქართველი გახდა!..

– მაგარი ხარ, ხაჩიკ! მაგრამ ქართველებს უფრო მაგარი რამე გვაქვს ასეთ ადამიანებზე – აკაკი წერეთლის ლექსი „ღამურა“!

– მამაჩემისგან გამიგონია! (ცხონებული შესანიშნავად იცნობდა ქართულ კლასიკურ ლიტერატურას). სამწუხაროდ, მე იმ დონეზე არ ვიცი ქართული, მაგრამ მეც ბევრი მაქვს სომხურ და რუსულ ენებზე წაკითხული. ჩემთან რომ მოხვალთ სტუმრად, ჩემი ოჯახის ბიბლიოთეკას გაჩვენებთ. წიგნი ჩვენი ოჯახის ყველაზე დიდი სიმდიდრეა!

– თუ ასეა, ახლა არ მიკვირს რატომ იყავი კოკო გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი 2004 წლის არჩევნებზე!

– ბოდიშს გიხდით ბატონო დავით! **„კოკო“** არა, მე **ბატონი კონსტანტინე გამსახურდიას** ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი! იგი პატიოსანი და მართალი კაცია, თან დიდი ზვიად გამსახურდიას შვილი და უფრო დიდი კონსტანტინეს შვილიშვილი! მამაჩემი რომ მოსწრებოდა ამ ამბავს, დარწმუნებული ვარ, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა!

– როგორი შედეგით დამთავრდა ბ-ნი კონსტანტინეს არჩევნები „ნინოწმინდაში“?

– მესხეთ-ჯავახეთში ყველაზე მეტი **1.600 ხმა „ნინოწმინდაში“** მიიღო! აქაური მოსახლეობა ნაკლებად პოლიტიზირებულია და თუ დაარწმუნებ მათ ადამიანის პატიოსნებაში, თან გადაყვებიან!

– სად მუშაობ და რას საქმიანობ, ხაჩატურ?

– „ენერგო-პრო-ს“ უბნის მენეჯერი და **„ნაბეღლავის“** დისტრიბუტორი ვარ **„ნინოწმინდაში“**. პატიოსანი გზით დიდი ფული არ იშოვება, თანაც ისეთ პატარა და დამშეულ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია! წარმატება კი ნამდვილად მაქვს. ჩვენი რაიონი დახარჯული ენერგიის საფასურის ამოღების მხრივ ერთ-ერთი პირველია! **„ნაბეღლავმა“** კი ყველა კონკურენტი დაჩაგრა რეგიონში. ახლა სომხეთში ვაპირებ მის გატანას. სომხებმა უნდა ისწავლონ ხარისხიანი პროდუქციის დამზადება!

– სად სწავლობდი უმაღლესში?

– ერევანში!

– რატომ თბილისში არა?

– მე რომ სკოლა დავამთავრე, სწავლისადმი სხვა დამოკიდებულება იყო. ჩვენს სკოლებში ქართული თითქმის არ ისწავლებოდა. მოკლედ რომ ვთქვა – არ გამიმართლა. ამიტომაც არ ვიცი ქართული გამართულად. ვცდილობ შვილებმა შეავსონ ეს ხარვეზი!

– როგორც ვიცი „ნინოწმინდაშიც“ გაუხსნიათ სომხური უნივერსიტეტი!

– დიახ, როგორ არა!

– კარგად ასწავლიან?

– არა!

– აბა რას აკეთებენ?

– დიპლომებს ჩუქნიან!

– ხაჩიკ, ამდენი სიმართლის მართლა არ გეშინია?

– არა, მე ჩემი ხალხი მიყვარს და მათ წინაშე ვერ მოვიტყუები! ამით მათ მხოლოდ ზიანს მოვუტან. მე ხომ მოგიყევით წელს პირველად დაირღვა ჩვენი ეკლესიის ტრადიცია და იქ უფულო, მაგრამ მართალი ნათლიმამა აირჩიეს!

– მრევლი თუ ყავს ეკლესიას?

– ახლა იმატა მრევლმა. რამდენად მორწმუნენი არიან ამას მე ვერ განვსჯი, მაგრამ ცხადია – ეკლესიიდან გამოსული ადამიანი ბოროტებას არ ჩაიდენს!

– თქვენ, სომხებს, განსხვავებული რელიგიური დღესასწაულები გაქვთ, ამაზე სხვა დროს მინდა ვისაუბროთ თქვენს ახალგაზრდა წინამძღვართან ერთად! რაიმე განსაკუთრებული დღე ხომ არ მოდის ამ ახლო ხანებში?

– როგორ არა! ოქტომბრის შუა რიცხვებში დიდი ზეიმი გვექნება – სომხეთის კათალიკოსი **„გარეგინ მეორე“** და საქართველოს პატრიარქი **„ილია მეორე“** ჩამოდიან **„ნინოწმინდაში“**. ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება და განსაკუთრებით ბედნიერი ვარ, რომ ეს ისტორიული ამბავი ჩემი ნათლიმამობის ჟამს მოხდება!

ამ ზაფხულზე **„არარატის“** ვეტერანი ფეხბურთელები გვყავდა სტუმრად **„ნინოწმინდაში“**. ეს დიდი ზეიმი იყო. 30 წლის წინ **„არარატში“** ერთი **„ბოგდანოვკელი“** (ასე ერქვა მაშინ ჩვენს რაიონს) თამაშობდა, მართალია სულ 15 წუთი ითამაშა ძირითადში, მაგრამ იგი ერთადერთი **„ნინოწმინდელია,“** ვისაც დღემდე სომხეთის პირველ გუნდში უთამაშია და ჩვენ ვამაყობთ ამით. სწორედ მან ჩამოგვიყვანა სომხური ფეხბურთის ლეგენდა ხორენ ოგანესიანი და მისი თანაგუნდელები. თამაშს უამრავი ხალხი დაესწრო. სტუმრების თხოვნით, თამაშის მერე სუფრა არა რესტორანში, არამედ ნაძვნარში გაიშალა, სადაც დიდმა თუ პატარამ ერთნაირად მოილხინა! რა თქმა უნდა, ამას სომხეთის ტელევიზია იღებდა და ხალხი დიდი ინტერესით უსმენდა ფეხბურთელების მოგონებებს. გულშემატკივართა ერთმა ჯგუფმა ხორენ ოგანესიანი დავიმარტოხელეთ. თითქმის ერთი **„ტაიმი“** ისაუბრა ფეხბურთზე და დროის დიდი ნაწილი ქართველ ფეხბურთელებზე მოგონებებს დაუთმო – **„მე რომ ქართველები არ დამდგომოდნენ გვერდით, ნაკრებში ძალიან გამიჭირდებოდა. იქ ისეთი სიტუაცია იყო, როგორიც საბჭოთა ჯარში, სადაც ახალმოსული და მარტოკაცი სასტიკად იჩაგრებოდა! ჩემი ქართველი მეგობრების თანადგომით მე ეს არ განმიცდია!“**

– ჩემო ხაჩატურ, სასიამოვნოა, ამას შენგან რომ ვისმენ! მე და ჩემი გაზეთის მთავარი რედაქტორი ოქტომბრის ბოლოს გესტუმრებით და შევეცდებით, მომავალ ზაფხულს თბილისის „დინამოს“ ვეტერანებიც ჩამოგიყვანოთ „ნინოწმინდაში,“ თქვენ ერევანში – „არარატის“ ვეტერანებთან მოილაპარაკეთ!

– ბატონო დავით, ესეც ერთი ისტორიული შემთხვევა, დიდი ზეიმი იქნება, არა მარტო **„ნინოწმინდელებისთვის“** – მთელი ჯავახეთისთვის!

– ახლა, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, ყველაფრით კმაყოფილი ხართ და არაფერი გიჭირთ? – მართლა ასეთი აპოლიტიკურია სომხური საზოგადოება, თუ, როგორც იტყვიან სომხური ეშმაკობა იმალება ყოველი უთქმელი სიტყვის უკან?!.

– მე აქაც კარგად მესმის თქვენი! როგორ შეიძლება ადამიანი კარგად გრძნობდე თავს იქ, სადაც საკუთარ ინიციატივას – უკეთესი იყოს შენი კუთხე და უკეთესად ცხოვრობდეს შენი ხალხი – შეიძლება გადაგაყოლონ და ადრე რომ იტყოდნენ ისე **„ციმბირი უკან დაგატოვებინონ“**! თუმცა, ჯავახეთის მკვიდრს ციმბირით ვერ დააშინებ, აქ ისეთი სიცივეები იცის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ – როცა დედაქალაქიდან ხელმძღვანელ კადრებს გვინიშნავენ, აქაური ძირი თუ არ ექნება, ის მაინც უნდა გაითვალისწინონ, რამდენჯერმე ექკურსიაზე მაინც იყოს მესხეთ-ჯავახეთში ნამყოფი და, როგორც ამასწინათ **„ილორში“** წავიკითხე, ჯავახეთის რეგიონში ცხვრის სიმცირეს **„ნალების უქონლობას ნუ დააბრალებს“!** და კიდევ ერთი – ადგილობრივი მნიშვნელობის კადრებს, ადგილზე უკეთესად შევარჩევთ, ამას არ სჭირდება **„ევრო-ამერიკული გამოცდილება“** და არც დედაქალაქიდან მოწოდებული რეკომენდაციები! ჩვენ **„საქმის ჩასაწყობად“** ნაცნობს არ უნდა ვეძებდეთ დედაქალაქში – იქ სხვაგვარი, ამაღლებული განწყობით უნდა ჩავდიოდეთ, რომ ჩვენმა შვილებმა მეზობელი ქვეყნის დედაქალაქისკენ არ იბრუნონ პირი!

– ჩემო ხაჩატურ, იმდენად აღმაფრთოვანა თქვენთან საუბარმა. ჩვენი გაზეთის ფორმატი მეტს ვერ იტევს და ჩვენი საუბარიც აქ უნდა დავამთავროთ. თუ შეგიძლიათ, მოკლედ მოგვითხროთ იმ საკითხებზე, რომლებიც გამოგვრჩა საუბრისას?

– რა თქმა უნდა! – მე, როგორც ენერგეტიკოსს, დიდად მახარებს ყოველი ელსადგურის – ჰესის მშენებლობა, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია – რასაც ამბობენ და ვისმენთ, თუ ამდენი ინვესტორი და ინვესტიციები მოეძალა საქართველოს, მაშინ **„ზაჰესის“, „ხრამჰესის“, „რიონჰესის“, „ჟინვალჰესის“ და ბოლოს – „ენგურჰესის“** ამშენებლებს, რა გაგვიჭირდა ისეთი, საქართველოში უცხოელებს და ისიც თურქებს არ ჩავაბაროთ მათი მშენებელობა?!. პირიქით, ისინი ჩვენგან უნდა სწავლობდნენ ჰესების მშენებლობას?!. სად არის აქ საკუთარი კადრების და მათი ინჟინრულ-შემოქმედებითი ინტელექტის დაფასება და პატივისცემა? საიდან იცის თბილისელმა ჩინოვნიკმა-ბიჭუნამ **„ნინოწმინდაში“** ვინ უფრო უკეთესად გაუძღვება სასწრაფო დახმარების და ჯანდაცვის სამსახურს? ყოველი მათი ნათქვამი – **„ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ!“** – აქ კორუფციად აღიქმება და ხშირად, მართლდება კიდეც, თბილისიდან რეკომენდირებული კანდიდატების სამარცხვინო საქციელით!

(გაგრძელება მე-9 გვერდზე)

ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ „ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ“ ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲜᲐᲗᲚᲘᲛᲐᲛᲐ ᲮᲐᲩᲐᲢᲣᲠ ᲑᲓᲝᲘᲐᲜᲗᲐᲜ

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

– მე საქმის კურსში ვარ ამ საკითხებთან დაკავშირებით და პირადად მინდა ვესაუბრო ქ-ნ ქრისტინე არზუმანიანს, რომელმაც მართლა შესაშური მონდომებით ააწყო „ნინოწმინდაში“ დანგრეული ე.წ. „03-ის“ სამსახური და სწორედ ამის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან! ბოლო კითხვა მინდა დაგისვათ – როგორც სომხური ეკლესიისგან მიმდინარე წლის რჩეული ადამიანი, რის მოსწრებას აპირებთ დარჩენილ დროში და რას ურჩევთ მომავალი წლის რჩეულს?

– ქართველებს და ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს, რომელსაც საქართველო ჰქვია! მას უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ! მე მიფიქრია საქართველოდან წასვლაზე, მაგრამ, თუ ეს მართლა მოხდა, სომხეთი არ იქნება ის ქვეყანა, სადაც მე წავალ, რადგან იქ ვერავის ავუხსნი, რატომ დავტოვე ის ადგილი, სადაც ჩემი წინაპრების რამდენიმე თაობა დაიბადა და გაიზარდა. ზოგიერთებივით სულს ვერ წავიწყმედ და ქართველებს ვერ გავლანძღავ, თითქოს მათ არ დამაყენეს და იძულებული გამხადეს სახლ-კარი მიმეტოვებინა! თუ მე და ჩემს ოჯახს მართლა მოგვიწია საქართველოს დატოვება, მაშინ ასეთ საქართველოში არც ქართველს არ დაედგომება, რადგან ჩვენ, აქ მაცხოვრებელმა ქართველმა, სომეხმა და ყველა დანარჩენებმა მას ვერ მოვუარეთ!

ღმერთმა დაგვიფაროს, ეს ასე მოხდეს!

დიდი მადლობა გულახდილი საუბრისთვის. უფალი იყოს ჩვენი და შენსავით მოფიქრალი საქართველოს ყველა მოქალაქის შემწე!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲝᲑᲐᲚᲘᲐ

P.S. ორი წელი გავიდა ამ საუბრის გამოქვეყნებიდან. ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ იმ საქართველოში, რომელსაც ბატონი ხაჩატურ ბდოიანი მართებულად მიიჩნევს საკუთარ სამშობლოდ.

შეუცვლელი საქართველოს **ვადაგასული პრეზიდენტი** დარჩა, რომელმაც დღემდე ვერ ისწავლა საკუთარი ქვეყნის მოსახლეობასთან ლაპარაკი. თან მნიშვნელობა არ აქვს პოზიციას წარმოადგენს იგი, თუ ოპოზიციას. უფრო მეტიც, მიშა-შეურაცხადი და მისი ე.წ. **„გუნდი“** ყველა ხერხს მიმართავს ქვეყანაში პრობლემების შესაქმნელად.

საქმე იქამდე მივიდა, ოღონდ ხელი შეუშალონ ბიძინა ივანიშვილს და მის მთავრობას და არაფერს თაკილობენ. ამისი ნათელი მაგალითი ჯავახეთში სომხური ენის რეგიონალურ ენად გამოცხადების პროვოცირება იყო! საბედნიეროდ, ჯავახეთის სომეხი მოსახლეობა ამ პროვოკაციას არ აჰყვა და პირიქით – **ვადაგასული პრეზიდენტი** და მისი დასაყრდენი, ასევე **ყავლგასული „ნაცმოელები“** და მათი **უმაღლესი პარტიული ელიტა** ამხილა!

ყოველივე ამის ფონზე საინტერესოდ ჩავთვალეთ გაგვეგრძელებინა ორი წლის წინ დაწყებული საუბარი ფრიად საინტერესო პიროვნებასთან, ბატონ ხაჩატურ ბდოიანთან. საუბრის პირველი ნაწილი, პირველი ოქტომბრის არჩევნებამდეა ჩაწერილი.

–სააკაშვილი სამოთხეში ცხოვრებას შეგპირდათ თურმე 2015 წელს!

ᲮᲐᲩᲘᲞ ᲑᲓᲝᲘᲐᲜᲘ – დარწმუნებული ვარ, ამას იგი მართლა იზამს და იცით რატომ? სამოთხეში მხოლოდ მიცვალებულები ხვდებიან!.. ასე თუ გაგრძელდა ჩვენი ცხოვრება და 2015 წლამდე მიშა სააკაშვილი გვეყოლა პრეზიდენტად, უეჭველია, ყველა იქ მოვხვდებით.

–რამდენადაც ვიცით ახალქალაქშიც ბევრ რამეს შეგპირდათ მიშიკო!

ხ. ბ. – რა თქმა უნდა, საერთაშორისო აეროპორტს აგიშენებთო!.. თუ კაცი ხარ, რაში გვჭირდება ახალქალაქში საერთაშორისო აეროპორტი? აქაური კაცი, ჰა და ჰა რუსეთში თუ გაფრინდება. რუსეთის ვიზას კი ჩვენ არავინ გვაძლევს. სომხეთში (არც მიშას შეპირებულ **„სამოთხე“**–ში) წასასვლელად კი საერთაშორისო აეროპორტი არ გვჭირდება! ეს ჩვენი მიშიკო ოსტაპ ბენდერს უფრო მაგონებს, ვიდრე ხალხისთვის მზრუნველ პრეზიდენტს.

–ხალხი ხომ დარჩა კმაყოფილი პრეზიდენტის ჩამოსვლით?

ხ. ბ. – როგორ არა! დილის 9 საათზე მოყვანილი ხალხი ქალაქის ცენტრში დაამწყვდიეს და საპირფარეშოშიც კი არ გაუშვეს. როგორც იქნა გვიან, ნაშუადღევს მოვიდა მიშიკო, მაგრად დაგვაბოლა და წავიდა!.. ამდენი ჩასვრილი სომეხი, ერთად შეკრებილი, არავის უნახავს...

–დღეს რა ხდება ჯავახეთში?

ხ. ბ. – არ ვიცი რა გაინტერესებთ, მაგრამ, თუ რაიმე ანტიქართული ხდება ჯავახეთში, მხოლოდ ადგილობრივი ხელმძღვანელობის ბრალია ყველაფერი, რადგან ისინი საკუთარი ხალხის დაჩაგვრის ხარჯზე იწონებენ თავს საქართველოს მთავრობის წინაშე! ყოველივე ამას ემატებიან ადგილობრივი პროვოკატორები, რომლებიც საკმარისად ჰყავდა ყველა მთავრობას ჩვენთან. სწორედ ისინი ადგილობრივი მმართველების თავგასულობას თბილისიდან ნაკარნახევ რეალობად უხატავენ მოსახლეობას, რაც ცხადია, მათში დიდ უკმაყოფილებას იწვევს ცენტრისადმი!

ამას იმიტომ გეუბნებით, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა არ უნდა განაწყენდეს ჩვენი რეგიონის მოსახლეობაზე. პირიქით, უნდა ეცადოს ახლოს მივიდეს მასთან და წინა მთავრობების **„გაცვეთილი შუამავლები“**-ს საშუალებით არ უნდა ესაუბროს მათ!

– ამას წინათ, გვიან ღამით, სასწაული გადაცემა ვნახე რუსულ არხზე – ვირთხებს აჩვენებდნენ. ათი ვირთხა იჯდა გამდინარი წყლის პირას, წყალს გაღმა კი სასუნავი იდო ისე, რომ ვირთხებს შეემჩნიათ. ათიდან მხოლოდ ოთხმა გადაწყვიტა გაღმა ნაპირიდან საჭმლის გადმოტანა და სწორედ აქ მოხდა სასწაული – თითომ ექვსი გზა გააკეთა და ექვსივეჯერ წაართვეს ნაპირზე დარჩენილებმა. საბოლოოდ, როცა მტაცებლები გაძღნენ, კიდევ ერთი გზა გააკეთა მუშა ოთხეულმა, თვითონ შეჭამა და ამით დამთავრდა ეს სანახაობა... ამის შემდეგ მუშა ოთხეული დატოვეს გამოღმა ნაპირზე და აქაც სასწაული მოხდა – ოთხიდან სამი გავიდა გაღმა ნაპირზე საჭმლის გამოსატანად, როგორც კი გამოიტანეს საჭმელი გამოღმა დარჩენილმა სათითაოდ ააცალა წყლიდან ამოსვლამდე სამივეს ნადავლი!.. იქ, სადაც მორალი არ უდევს საზოგადოებას თანაცხოვრების საფუძვლად, ძალადობა იმარჯვებს და ადამიანები არაფრით განსხვავდებიან ზემოთ ხსენებული ვირთხებისგან!

–ხაჩატურ ბატონო, ახლა მაინც რას გვეტყვით გასახარელს, ჩვენი საუბრების მერე ბევრი რამ შეიცვალა, ქვეყნის მოსახლეობას იმედი გაუჩნდა ახალი მთავრობის მოსვლით!

ხ. ბ. – ბედნიერი კაცი ვარ, რომ ჩემი შვილები თბილისში სწავლობენ ქართველებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად... წარმოგიდგენიათ, მსგავსი რამ ერევანში რომ მოხდეს?

ვერ წარმომიდგენია ჯავახეთიდან (საქართველოდან) სხვაგან წასვლა, როცა ჩემი ჯიშისთვის, საქართველოს დონე მშობლიურ სომხეთში სანატრელია. სხვაგან რა დამიკარგია, რომ იქ ვეძებო?!.

თბილისში **„სოკარი“**-ს დაფინანსებით ბევრი აზერბაიჯანელი სწავლობს ჩემი შვილების გვერდით. არ დაიჯერებთ, რას ჰყვებიან ბავშვები მათზე. მოდით, მათ მოვუსმინოთ:

„აზერბაიჯანელ თანატოლებთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ეს კიდევ არაფერი – ისინი გაოცებული არიან იმით, რომ ჩვენ, სომხები „ნორმალური ადამიანები ვყოფილვართ“ თურმე!“

თქვენ ახალი მთავრობა ახსენეთ. ჩვენც ისევე ვიზეიმეთ მისი მოსვლა და არჩევნებში გამარჯვება, მაგრამ, იცით რამდენი სისაძაგლე უძღოდა წინ ამ გამარჯვებას ყოფილი მთავრობისგან? სწორედ არჩევნების წინ, ორი წლის მერე გაიხსენა, ზოგიერთმა ადგილობრივმა ფუქციონერმა, თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ჩემი ინტერვიუ და პრეტენზია წამომიყენეს, რა უფლებით ვთქვი, რომ – **იმათ, ვისი შვილებიც ერევანში სწავლობენ, უფლება არა აქვთ სახელმწიფო სამსახურში იმუშაონ ჯავახეთშიო!** ასევე ბრალდებად წამომიყენეს ისიც, რომ მე ნინოწმინდაში ერევნის **41** ნომერში ვცხოვრობ! ცხადია, ყველაფერი ეს გასული წლის პირველი ოქტომბრის წინა დღეებში ხდებოდა, როცა ყველა ჩემი ოპონენტი **„ხუთოსანი“** იყო და, რასაკვირველია, **„5“** ნომერს უჭერდა მხარს! ახლა, როგორც კი შეიცვალა სიტუაცია, ყველა მათგანი **„41“**-იანელები გახდნენ! ასეთი ხალხი და მით უმეტეს, მათზე დაყრდნობა ვერაფერ სიკეთეს მოუტანს პატიოსანი, მართალი საქართველოს მოსახლეობის იმედად მოსულ ახალ მთავრობას!

...ცუდი ურთიერთობები ჩამოყალიბდა ერევანში ჯავახეთიდან ჩასულ სტუდენტებსა და ადგილობრივებს შორის! ეს რთული თემაა და მასზე ცალკე უნდა ვისაუბროთ, თუ დაგაინტერესებთ!

...ახალქალაქსა და ნინოწმინდაში **„ნაცხელისუფლების“** საწინააღმდეგო გამოსვლა მზადდება. სამწუხაროდ, ისინი, ვინც **„ნაცხელისუფლებას“** ებრძვიან, გულში ჩასახუტებლები ნამდვილად არ არიან, მაგრამ იმათ რომ ყველა სჯობია, მოსახლეობას კარგად ესმის და ამიტომაც შეიძლება მოვიდნენ კიდეც აქციაზე, თუმცა იქ რომ რაიმე მნიშვნელოვანი მოხდება ამის იმედი არავის აქვს!

იკითხავთ ალბათ – **რატომ?**

იმიტომ, რომ – ამასწინათ თბილისიდან ჩამოვიდნენ ახალი მთავრობის ე.წ. **„პარტიული ამხანაგები“,** ოთხი კაცი დანიშნეს ოთხ პარტიულ თანამდებობაზე, აირჩიეს თბილისის კონფერენციის დელეგატები და ყველაფერი ისე მოხდა – ჩვენთვის, უბრალო ხალხისთვის, ვისი სახელითაც ისინი დანიშნეს და აირჩიეს, არავის არაფერი უკითხავს! მოკლედ რომ მოგახსენოთ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ადრე ხდებოდა!

...ხომ გახსოვთ, ადრე რომ ვამბობდი – **ჯავახეთში თანამდებობებზე არ უნდა ინიშნებოდნენ ერევანზე ორიენტირებული ადამიანები, ისინი ვისაც ერთი ან ორი შვილი ჰყავთ და ყველა მათგანისთვის სახლები აქვთ ერევანში ნაყიდი! დღესაც იგივე ხდება, სწორედ ასეთი ადამიანები ინიშნებიან თანამდებობებზე და ირჩევიან არჩევით ორგანოებში!**

...თქვენ ჩახალიანი ახსენეთ – იგი ერთი გაუნათლებელი ბიჭია. ხალხი მას არასოდეს მიჰყვებოდა და არც არასოდეს გაჰყვება (სიმართლე თუ ვნებავთ, ხალხი არც არავის გაჰყვება, იმდენჯერ გააწბილეს ისინი გასულ წლებში)! ჩახალიანი ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ახალქალაქში **„ნაციონალებს“** ვარდებით ხელში რომ შეხვდა. შესაძლოა, ამის გამო ჩათვალა იგი ვიღაცამ პოლიტიკურ ფიგურად და, როცა საკუთარი ბნელი გეგმების პიარისთვის დასჭირდათ, თვითონვე გამოიყვანეს ე.წ. პოლიტიკურ არენაზე და გასწირეს კიდეც! სხვებმა კი მისგან ტანჯული, წამებული პოლიტიკოსი გამოაცხვეს! არასწორად ნუ გამიგებთ, მე არაფერი მეშლება – **„ნაცების“** ციხეში ჩახალიანს ტანჯვა და წამება რომ არ მოაკლდებოდა, კარგად მესმის, მაგრამ ამის გამო, იგი იქ პოლიტიკოსი ვერ გახდებოდა! ამ თემაზე სერიოზული საუბარი სირცხვილია უბრალოდ და იგი ასე უნდა შეფასდეს – **„ჩახალიანი არაფერს არ წარმოადგენს, იგი უფრო გაკოტრებული და ვადაგასული პრეზიდენტ სააკაშვლის ახირებაა, ვიდრე სერიოზული განსჯის საგანი, მით უმეტეს პოლიტიკურის!“**

...რა მკითხეთ – **რა ხალხი მოვიდა ნინოწმინდის მთავრობაში?** თქვენმა შეკითხვამ ერთი ანეკდოტური ამბავი გამახსენა, კარგა ხნის წინ ნინოწმინდაში რომ მოხდა:

“–ერთი სომეხი, ნინოწმინდის გამგეობას მიადგა ცხენით. ჩამოქვეითებულს ცხენი გამგეობის შენობის კიბეებზე აჰყავს!.. შენობიდან დაცვის პოლიციელი გამოენთო ყვირილით – რას შვრები კაცო, სად მიგყავს ცხენი, ხომ არ გაგიჟდი?

–კაბინეტში ბატონო, კაბინეტში! – მშვიდად უპასუხა სომეხმა გლეხმა!

–რა უნდა ცხენს კაბინეტში! – კვლავ უყვირა დაცვის პოლიციელმა.

–რა მოხდა კაცო, ყველა ნინოწმინდელ ვირს აქ კაბინეტი აქვს მოწყობილი და ჩემმა ცხენმა რა დააშავა ვითომ? – მშვიდად მიუგო ცხენის პატრონმა.

იუმორი და სიცილისთვის არ მიხსენებია ეს ამბავი! თქვენ რომ მკითხეთ – რა ხალხი მოვიდა ნონოწმინდის მთავრობაშიო?” – მწარე სიმართლე გამახსენდა. საწყენია, ბატონო დავით – ისევ ძველები, ზოგი შევარდნაძეზე, ზოგიც სააკაშვილზე განაწყენებული ხალხი ბრუნდება თანამდებობებზე. მათი უმრავლესობა, გუშინ რომ გააფთრებით ებრძოდნენ **„ქართული ოცნებას“,** დღეს მისი თავგადაკლული მომხრეები არიან. სინამდვილეში კი ეს ის ხალხია, ყოველთვის რომ იმას ეცეკვებოდა, ვინც ხელისუფლებაში მოდიოდა! დიდი ხანია, რაც ეს სამწუხარო ტრადიცია დამკვიდრდა, მაგრამ სამწუხაროზე უფრო საოცარია, რომ ისინი ამას ყოველთვის ახერხებენ! ვნახოთ, რა მოხდება მომავალში!

ჩვენ კი ის გვინდა, რომ **„ქართული ოცნება“** ჯავახეთში **„ქართულ-სომხურ ოცნებადაც“** იქცეს და როგორც ზემოთ ვახსენე, მუდამ გვახსოვდეს – **აქ, ქართველებს და ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს, რომელსაც საქართველო ჰქვია! მას უნდა გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ!**

–ღმერთი ჩვენსკენ, ხაჩატურ ბატონო!

P.S. -ის **P.S.**-ი წერილი დასაბეჭდად გამზადებული გვქონდა, როცა ბატონი ხაჩატურ ბდოიანი დაგვიკავშირდა:

“–საოცარი დამთხვევაა, მაგრამ რეალობაა, რაც ახლა უნდა მოგიყვეთ – გუშინ ჩემთან აჭარიდან გადმოსახლებული ქართველები მოვიდნენ და ორი წლის წინანდელი **„ილორი“**–ის ის ნომერი მომიტანეს, რომელშიც ჩემი ინტერვიუა გამოქვეყნებული. ისინი ნინოწმინდაში ცხოვრობენ. შორიდან, რა თქმა უნდა, ვიცნობთ ერთმანეთს, მაგრამ ახლო ურთიერთობა არასოდეს გვქონია. სანამ მე ვკითხავდი, თვითონ მომიყვნენ, სწორედ ამ ინტერვიუმ მოგვიყვანა თქვენთან, თქვენისთანა ხალხს ვეძებთ, ნინოწმინდაში არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა დავაფუძნოთ, ოფისის გახსნას ვაპირებთ და თანამშრომლობას გთავაზობთო.”

ვკითხე – **რომელ პარტიას ეკუთვნით-მეთქი?**

მიპასუხეს – **ჩვენ არც ერთ პარტიას არ ვეკუთვნით. ჩვენ ვართ ჩვენი კუთხის – ჯავახეთის და საქართველოს ერთგულების წარმომადგენლები!**

უამრავი გვინახავს დედაქალაქიდან აქ ჩამოსული სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, მაგრამ მათი **„ჯავახეთის და საქართველოს სიყვარული“**, ყოველი არჩევნების წინა ოთხი კვირით განისაზღვრებოდა მხოლოდ და როგორც კი საჭირო ხმებს მიიღებდნენ – აწი **„ჯანდაბამდე გზა გქონიათო“** და მორიგ არჩევნებამდე, ჩვენსკენ არასოდეს მობრუნებულან!

ამიტომაც გადავწყვიტეთ, შევქმნათ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც თავის გარშემო შემოიკრებს ჩვენი კუთხის, სასაქართველოს ერთგულ ადამიანებს და მომავალში იმ მთავრობის და პარტიის გვერდით დადგება, რომელიც საქმით დაამტკიცებს საარჩევნო პერიოდში დაპირებულ **„ჯავახეთისა და საქართველოს ერთგულებას“**!

რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო?!. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ამას ვემსახურე და ასე ვიცხოვრე, არასოდეს ქვეყნის დამაქცევარისათვის ტაში არ დამიკრავს, არასოდეს ჩემი კუთხის – ჯავახეთის და ჩემი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ არ მიფიქრია და მიმოქმედნია!

ამიტომაც, არა მარტო შევუერთდები ამ იდეის ინიციატორებს, შემოვიკრებ კიდეც ყველა ჩვენსავით მოაზროვნეს!

...ბატონო დავით, თქვენ არაფერი გიკითხავთ **„სომხური ენის რეგიონალურ ენად გამოცხადების შესახებ“!**

ჩვენთვის უცხო არ არის, როცა გაკოტრებული პარტიები და პოლიტიკოსები ჯავახეთს აკითხავენ. სანამ პარლამენტში და მაღალ თანამდებობებზე სხედან ჯავახეთი არავის ახსენდება, როცა იქიდან გამორეკენ (სამწუხაროდ, დღემდე არცერთი მთავრობა არ გაუცილებიათ აპლოდისმენტებით და ზარ-ზეიმით!), მაშინ მოუნდებათ აქ ჩამოსვლა და სკანდალის ატეხვა!

ისევ ჯავახეთით წაიბურთავეს და ქვეყანა ალაპარაკეს ამ უნამუსოებმა. ათი წელიწადი ქვეყანა და ხალხი განადგურებამდე რომ მიიყვანეს ის არ ეყოთ, ახლა ისე იქცევიან **„მე თუ არ ვიქნები, ჩემს მერე ქვა უთოვიაო!“**

– უამრავი ჭრილობებიდან სისხლგამდინარ საქართველოს დღეს რომ „ენის სტატუსი, ავტონომია...“ და კიდევ სხვა მსგავსი რამ მოთხოვო, ეს ქვეყნის, სამშობლოს ღალატია!

ყველამ მინდა იცოდეს – **ჯავახეთში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის ხელწერა არ არის ეს!**

ჩვენი ხალხი ამ ანკეტს არ წამოეგება, მაგრამ **„ნაცმოელებისგან“** მემკვიდრეობით მიღებულ, სხვა პრობლემებთან ერთად, ახალმა მთავრობამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ პროვოკატორები და შემთხვევითი ხალხი ჯავახეთში არ უნდა ჩამოვიდეს!

რა წიგნები დაჰქონდა დიდი ჩანთით თემურ ქორიძეს

სამ ძმას შორის შუათანაა. ჰუმანიტარების გარემოცვაში გაზრდილისათვის წიგნი უცხო ხილი არასოდეს ყოფილა. ვერც წარმოედგინა, რომ წიგნის გარეშე რომელიმე დღე გალეულიყო, თუმცა ამბობს, რომ ამ თვალსაზრისით ის გამორჩეული არ ყოფილა. "ჩვენი თაობა გარკვეულწილად დახურულ სივრცეში ვცხოვრობდით და მთელი ენერგია მიმართული იყო წიგნისკენ, მისგან ვიღებდით ყველაფერს, რაც სულს სურდა. ჩემი თაობის ადამიანებისთვის ეს ნაცნობი გრძნობაა და მგონი, ამაში განსაკუთრებული არაფერია", – ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში ცნობილი ლიტერატორი, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, ჩვენი მეგობარი და თანამებრძოლი თემურ ქორიძე, რომელსაც უცვლელად ვბეჭდავთ.

– წერა-კითხვა სკოლაში ვისწავლე. ეს იყო სამტრედიის №2 სკოლა, რომელიც შემდეგ რკინიგზის 24-ე სკოლა გახდა. იმავე სკოლაში გაიზარდა ზვიად ძიძიგური, დღევანდელი საზოგადოებისთვის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და კიდევ ბევრი სხვა. დეტალურად ვერ ვიხსენებ, რა წიგნი წავიკითხე პირველად, მაგრამ ეს ზღაპრების სამყარო იყო. თუმცა, იმაზე უფრო ადრე მომბეზრდა მათი კითხვა, ვიდრე ეს უნდა მომხდარიყო. ჩემი პროფესიული ინტერესის გამო, ზრდასრულ ასაკში მომიხდა ფოლკლორისა და მისი სამყაროს საგანგებო შესწავლა. ზღაპრების კითხვის შეწყვეტის შემდეგ, რომანული ლიტერატურის საოცარი ინტერესი გამიჩნდა. აღფრთოვანებული ვიყავი სტენდალისა და ჰიუგოს შემოქმედებით და, რა თქმა უნდა, **"ვეფხისტყაოსნით"**, რომლის კითხვა საკმაოდ ადრე დავიწყე და დღემდე ვკითხულობ. პოემა თითქმის ზეპირად ვიცი და არაერთხელ ყოფილა, რომ შუაღამისას ლოგინიდან ავმდგარვარ და მისი სტროფები წამიკითხავს. წიგნებს თავისთან მიხმობის უნარი აქვთ. ძალიან გთხოვთ, ამას თავის მოწონებად ნუ ჩამომართმევთ. ვფიქრობ, რომ ფილოლოგიურ სამყაროში და არამხოლოდ, ეს ჩვეულებრივი ნორმა და ცხოვრების წესია.

– ბავშვობაში, რომელიმე წიგნი განსაკუთრებით რომ მოგვწონს, გვინდა, იმ ეპოქაში, იმ პერსონაჟების გვერდით ვცხოვრობდეთ. თქვენთვის რომელი ქვეყანა და ეპოქა იყო ასეთი?

– მეტწილად ეს იყო XIX საუკუნის ფრანგული მწერლობა და მთელი მისი პერსონალიები. მოგეხსენებათ, რომ XIX საუკუნეში მსოფლიოში ფრანგული მწერლობა ბატონობს, რომელსაც მოჰყვება დიდი რუსული ლიტერატურა. ეს იყო ძალიან საინტერესო პერიოდი მწერლობის განვითარებისა. არ შეიძლება, ადამიანი გატაცებული არ იყოს მიშკინის პერსონაჟით. ასევე განსაკუთრებით საინტერესო იყო ჩემთვის **"დანაშაულისა და სასჯელის"** პერსონაჟი რასკოლნიკოვი. დოსტოევსკი უნიკალური მწერალია. ვერ ვიტყვი, რომ ის მხოლოდ რუსული კულტურის ნაყოფია, არამედ ევროპულიცაა. მაშინ საოცრად შეერწყა ერთმანეთს რუსული და ევროპული კულტურები და რომ არა ეს ფაქტი, მსოფლიო ლიტერატურაში არ გაჩნდებოდა ისეთი ღრმა ფსიქოლოგიური შრეების მქონე პერსონაჟი, როგორიც დოსტოევსკის რასკოლნიკოვია.

– რომელია პერსონაჟი, რომელმაც თქვენში დიდი აგრესია, ანტიპათია გამოიწვია...

– (იღიმის) რა თქმა უნდა, ასეთები იყვნენ, მაგრამ როდესაც ადამიანი მეტ-ნაკლებად დაუახლოვდება ლიტერატურას, პერსონაჟები მსგავს განცდებს აღარ იწვევენ. შემდეგში უკვე ადამიანი ყურადღებას ამახვილებს არა იმაზე, თუ რას ამბობს პერსონაჟი და როგორ იქცევა, არამედ იმაზე, თუ როგორ ხატავს მას ავტორი და როგორ წარმოაჩენს. შეუძლებელია, რომელიმე მკითხველი დიდი სიმპათიით განიმსჭვალოს მაკბეტის მიმართ, მაგრამ ისე ბრწყინვალედ აქვს შექსპირს დახატული, რომ არ შეიძლება, ვინმე არ მოიხიბლოს. მწერლობაში სწორედ ესაა მთავარი – სამართებლის პირზე გასავლელი პერიოდი, როდესაც ადამიანი ან აღიარებ მწერლობას როგორც თვითმყოფად სფეროს ჩვენი სულიერი ცხოვრებისა, ანდა შენ მას მიიჩნევ რაღაც ნატურალისტურ განცდებად. ასე რომ, ვერ გეტყვით, განსაკუთრებული ანტიპათია რომელიმე პერსონაჟის მიმართ მქონდეს. კი, შემზარავია ზოგიერთი პერსონაჟი, უფრო სწორად, ის, თუ როგორ წარმოაჩენს ავტორი ადამიანთა ვნებების ზოგიერთ ბნელ მხარეს, მაგრამ ეს მხოლოდ მწერლის ოსტატობის დამსახურებაა. ბოლოს და ბოლოს, გავიხსენოთ ბოდლერი და მისი **"ბოროტების ყვავილები"**.

– ვინ არიან ის ავტორები, რომლებიც ყველაზე კარგად იცნობენ ადამიანის ფსიქოლოგიას...

– ასეთები ძალიან ბევრნი არიან და სხვათა შორის, რომ არა მწერლობა, ვერ ჩამოყალიბდებოდა აზროვნების ისეთი დარგი, როგორიცაა ფსიქოანალიტიკა. მე ვენდობი ერთ საინტერესო ავტორს, რომელიც წერდა, ისტორიას უნდა წერდნენ არა ისტორიკოსები, არამედ პოეტები და მოგზაურები; ყველაზე თავზეხელაღებული თავგადასავლების მოყვარული ადამიანები, იმიტომ, რომ მათში არის ისეთი ღრმა რომანტიკა და ოცნების ღრმა მასშტაბები, რომელთა გარეშე სამყაროს აღქმა იქნებოდა ძალიან არასრულფასოვანი. ამის თქმის შესაძლებლობას ჩემს ასაკში დაგროვილი გამოცდილება მაძლევს. ყველა ადამიანი ასეა, გარკვეული ასაკის შემდეგ იწყება დაგროვილი გამოცდილებით საგნების, მოვლენებისა და პროცესების სხვაგვარი აღქმა.

– რამდენი წლის ბრძანდებით, ბატონო თემურ?

– საკმაოდ ხანდაზმული ვარ, ასაკს რომ არ ეკითხებიან, იმ ასაკში (იღიმის). ერთი მხრივ, ასაკს არ ეკითხებიან ძალიან ახალგაზრდებს და მეორე, საკმაოდ ასაკოვან ადამიანებს. ახლა ერთი მშვენიერი ლექსი მახსენდება, რომელშიც პოეტი კითხულობს **"რამდენი წლის ვარ?!"** და შემდეგ აგრძელებს: **"თექვსმეტის გინდათ? თექვსმეტი წლის ვარ, ოთხმოცის გინდათ? ოთხმოცი წლის ვარ. რამდენიც გინდათ იმდენი წლის ვარ"**. ახლა ძალიან მინდა, 80 წლის ვიყო და გეტყვით, რომ 80 წლის ვარ (იღიმის).

– რატომ? არ ჯობია 16-ის იყოთ?

– კი, მაგრამ ზოჯგერ ძალიან გინდა ადამიანს, იმაზე მეტი იცოდე, ვიდრე ამას შენი რესურსები და ასაკი გაძლევს. ხომ ვიცით, რომ ძალიან დიდი ფასი აქვს გამოცდილებას, ამიტომ ხანდახან ღრმა სიბერე მენატრება, როდესაც ადამიანებმა უკვე ძალიან ბევრი რამ იციან. ადამიანი მხოლოდ წიგნით ვერ შეიძენს იმ ცოდნას, რასაც საკუთარი გამოცდილებით მოიპოვებს. არ გახსოვთ, ცნობილი პოეტის ლექსი, რომელიც წერს, რომ 30 წელი სიყვარულის ასაკია?! თან შემთხვევით არ არსებობს ფრაზა ლიტერატურიდან **"ბალზაკის ასაკის ქალბატონი"**, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში დარჩა.

– კარგი, ახლა პოეზიაზე გკითხავთ. რა ასაკში დაინტერესდით ლექსებით? ვფიქრობ, მათი წაკითხვის სურვილი ბავშვობაში ნაკლებია, სათავგადასავლო ლიტერატურისა და რომანების კითხვა გვირჩევნია...

– ამას ჩემი და ჩემზე უფროსი თაობები დამიდასტურებენ, რომ ოჯახში ყველაზე კარგ ტონად ითვლებოდა, როცა ბავშვები ლექსებს წარმოთქვამდნენ. არა მხოლოდ იმისთვის, რომ მშობლებს თავი მოეწონებინათ სტუმრების წინაშე, არამედ ამით ზრდიდნენ ბავშვებში **"მაღალ"**, სასიამოვნო გრძნობებს. პოეზიაში ემოცია ყოველთვის დევს. შეიძლება, ყრმობისას მისი აზრობრივი შინაარსი ბოლომდე არ გვესმოდეს, მაგრამ მაინც კარგად ფეთქავდა ჩვენში, როდესაც ვკითხულობდით. განსაკუთრებით პატრიოტულ ლექსებს, საომარ-მილიტარისტული ხასიათის პოეზიას. ოჯახში სამი ძმა ვიზრდებოდით და ყველამ ვიცოდით ასეთი ლექსები. ეს ტრადიცია ყველა ოჯახში იყო და მიხარია, რომ დღემდეა – ბავშვებს ამდერებენ, აცეკვებენ ან ლექსს ათქმევინებენ ხოლმე. ბავშვობიდანვე უნდა აღიზარდოს ადამიანში ესთეტი და ამის გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია ადამიანის ჩამოყალიბება. თქვენ როგორ გაზრდით თქვენს შვილებს?

– ბავშვებისთვის საბავშვო ლექსები არსებობს, უბრალოდ, არა მგონია, პატარამ პატრიოტული შინაარსის პოეზიის აღქმა შეძლოს...

– იცით, ჩვენ ლექსებს კურდღლებსა და ბაჭიებზე არ ვკითხულობდით. ვიცოდით ლექსები ჰეროიკულ და ამაღლებულ მოტივებზე და ეს იყო განსხვავება.

– შეიძლება ეს დადებითად მოქმედებს ბავშვის ქვეცნობიერზე, ვერ გეტყვით...

– კი, დადებითად მოქმედებს. მოდით ნუ ვიქნებით რომის პაპზე მეტად კათოლიკენი. ნუ ვიტყვით, რომ ეს ჩამორჩენილობის მაჩვენებელია. პირიქით, ეს სულიერ ამაღლებულობას და ჰეროიზაციას უწყობს ხელს.

– საინტერესოა, ვინ და როგორ ზრუნავდა თქვენი საოჯახო ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე?

– ოჯახის ყველა წევრი. წიგნებს ბავშვობიდანვე ვიძენდი. მეტიც, იმდენად გამიტაცა ამ ყველაფერმა, რომ გადავწყვიტეთ, ჩვენს კლასს განსაკუთრებული ბიბლიოთეკა გვქონოდა და ეს მოვახერხეთ კიდეც. მაშინ 12-13 წლისანი ვიყავით, როცა განსაკუთრებით ცხოველდება ინტერესი სამყაროს მიმართ. მოგეხსენებათ, იმ დროს არცთუ ისე იოლი იყო ამა თუ იმ ლიტერატურის მოპოვება და ჩვენ ეს მაინც შევძელით. ბიბლიოთეკას სახლებიდან მოტანილი წიგნებით ვავსებდით. ის იყო აღმაფრენის წლები, რომელიც ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს. ვისაც ამგვარი ცხოველი ინტერესი არ განუცდია, ალბათ ბავშვობის რომანტიკის შეგრძნება ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული. საერთოდ, ძალიან მადლიერი ვარ ჩემი მშობლების, რომლებსაც ძალიან უყვარდათ წიგნი და მისადმი ინტერესით გაგვზარდეს. შემდეგშიც წილად მხვდა ბედნიერება, მქონოდა ურთიერთობა წიგნიერ ადამიანებსა და ღრმა ინტელექტუალებთან.

– მათგან გამორჩეულებიც დაგვისახელეთ...

– აკაკი გაწერელია, ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი. 25 წლის ვიყავი, ის 75-ის, მაგრამ ჩვენ დიდი მეგობრები გახლდით. მას ჩემს ყველაზე დიდ მასწავლებლად მივიჩნევ, არა მხოლოდ ფილოლოგიაში, არამედ ცხოვრებაშიც. ვცდილობ, მას რაღაცით მაინც ვგავდე, სიბერეში მაინც, მაგრამ ვერ ვახერხებ, რადგან ის ყველანაირად დენდი იყო, ინტელექტუალური არისტოკრატი და დიდი პიროვნება. შემდეგ მისივე ნათლული ზვიად გამსახურდია, რომელიც ასევე დიდი ინტელექტუალი გახლდათ. დავანებოთ თავი ყველა იმ პოლიტიკურ ორომტრიალს, რაც მოხდა, მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ ის განსაკუთრებული პიროვნება იყო. ბევრს არ სიამოვნებს ამ კუთხით მასზე საუბარი, მაგრამ ალბათ მალე დავიწყებთ ძალიან სერიოზულ ლაპარაკს, თუ რა ფენომენი იყო ეს კაცი, როგორც ინტელექტუალი, ღრმად მოაზროვნე პიროვნება და ქართული სულიერების წარმომადგენელი საქართველოში. მას არ შეეძლო საუბარი იმ თემაზე, რაც მისთვის შინაგანად განცდილი და გააზრებული არ იყო. მაგალითისთვის შემიძლია დაგისახელოთ მისი **"ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება"**. პრეტენზიის მქონე ნებისმიერმა პიროვნებამ ჯერ ბიბლიოგრაფიას ჩახედოს და მხოლოდ ამის მერე ილაპარაკოს ზვიად გამსახურდიაზე. უნიკალური ბიბლიოგრაფიაა, ანუ იმ წიგნების ჩამონათვალი, რაც მას ამ ერთი წიგნის დასაწერად დასჭირდა.

– შინ დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ, რომელი ავტორი თუ ჟანრი ჭარბობს თაროებზე?

– სამწუხაროდ, თბილისში წიგნების ნაწილი მაქვს. პატარა ოთახში ყველაფერს ვერ ვათავსებ. იმერეთში, დეიდაჩემის სახლშია დიდი ბიბლიოთეკა, მაგრამ შინ მაქვს ყველაფერი, რაც ჩემი ასაკის ადამიანს სჭირდება. მხატვრული ლიტერატურა ისეთი სამყაროა, რომელსაც ვერც ერთი ბიბლიოთეკა ვერ დაიტევს და იმ წიგნებს ჩვენ უკვე გულითა და სულით ვატარებთ. თქვენს კითხვას რომ მივუბრუნდეთ, გეტყვით, რომ თაროებზე მეტწილად ფილოსოფიური და ლიტერატურული კლასიკა ჭარბობს. ყველა ადამიანის ცხოვრებაში პატარა საქმისა თუ ღრმად ინტიმური პროცესების გააზრების ეტაპი დგება და ამას ვერავინ უარყოფს...

– საჩუქრად მორთმეული წიგნები...

– ასეთიც უამრავია. ახლახან ბატონმა ბაჩანა ბრეგვაძემ თავისი უნიკალური ოთხტომეული მომიძღვნა. მანამდე გამოცემული ორტომეულიც მისახსოვრა და პატივმოყვარე რომ ვიყო, ალბათ თავს მაღლა ამაყად ავწევდი იმ მოძღვნისათვის, რომელიც წიგნს სატიტულო გვერდზე აწერია. მიმაჩნია, რომ თანამედროვე საქართველოში ბაჩანა ბრეგვაძე უნიკალური მოვლენაა. მეტსაც გეტყვით, ათი საუკუნის განმავლობაში, ექვთიმე და გიორგი ათონელის შემდეგ, საქართველოში ასეთი ფენომენი არ ყოფილა. გაოგნებული ვარ და ჩვენი საზოგადოებრივი კრიზისის ყველაზე დიდ არგუმენტად ბაჩანა ბრეგვაძისადმი დამოკიდებულება მიმაჩნია. მხოლოდ ამის მიხედვით შეიძლება მთელი ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის დიაგნოზის დასმა და ამას არა მხოლოდ ფილოლოგი, არამედ ჩვეულებრივი მკითხველი მოგახსენებთ. საერთოდ, ძალიან ძვირფასია და მაქვს უამრავი წიგნი ავტორისეული ხელმოწერით. მათ შორისაა: აკაკი გაწერელია, ზვიადი, მურმან ლენაბიძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯემალ აჯიაშვილი... ძვირფასია მათი გაკრული ხელით დაწერილი სიტყვები. თან გააჩნია რას წერენ. **"პატივისცემით ამას და ამას"** – სავალდებულო ეტიკეტია, მაგრამ მიყვარს როცა ავტორი განსაკუთრებული ურთიერთობების ხაზგასმას ახდენს, ეს ჩემში თბილ გრძნობებსა და სიყვარულს აღძრავს.

– თანამედროვე ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებას თუ ეცნობით?

– ახალგაზრდა რომ ვიყავი, ყველაფერს ვკითხულობდი, განსაკუთრებით ჩემი თაობის ავტორთა შემოქმედებას. აკაკი გაწერელიას ამა თუ იმ მწერალს რომ ვუხსენებდი, ბრძენკაცის ირონიით ჩაიქირქილებდა ხოლმე: 30 წელია **"ნეტარი ავგუსტინეს"** ქვევით არ ჩამოვსულვარ და მაგას რა წამაკითხებსო?! ახლა ვხვდები, რას ნიშნავდა მისი ეს სიტყვები. როცა ადამიანს ჩამოყალიბებული ესთეტიკური სამყარო გაქვს, თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, თანამედროვე ავტორებს არ ვკითხულობ. რაც ვიცი და რასაც თვალყურს ვადევნებ, ძალიან მდარეა. მწერლობაში დიდი კრიზისი გვაქვს და ეს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ გლობალური პრობლემაა. ეს, რა თქმა უნდა, გაივლის. სხვაგვარად წარმოუდგენელია. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ახლახან გამოვიდა ძალიან საინტერესო ალმანახი **"ამერ-იმერი"**. ეს ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო და მწერლობით დაინტერესებულ ყველა მკითხველს ვურჩევ, **"ამერ-იმერში"** ჩაიხედოს.

– გულდასაწყვეტია, როცა წიგნებს აღარ გვიბრუნებენ. ასეთი შემთხვევებიც გექნებათ...

– არის ასეთი კაცი – ბიძინა გიორგობიანი, რომელიც თავის დროზე ჩვენი დეპუტატი იყო. შემდეგ გერმანიაში წავიდა, იქიდან დაბრუნებული კი საკაშვილის მთავრობაში მთავარი მეტყევე გახდა. ახლა, არ ვიცი, საქართველოშია თუ არა. მას ჩემგან ძალიან ბევრი წიგნი აქვს წაღებული. აღრე რაღაცაზე წამეკინკლავა, თუმცა მიზეზი არ ვიცი. არ გეგონოთ, შურისძიებას ვეწევი, არც მასთან პოლემიკას ვაპირებ, მაგრამ პოლიტიკაში ხეტიალს, ჯობს ზრდილობიანად მოიქცეს და მინდა, მას ნახევრად ხუმრობით ვუთხრა, ჩემგან წაღებული წიგნები დააბრუნოს.

– ყველაზე მეტად ამ გზით დაკარგულ, რომელ წიგნზე გწყდებათ გული?

– ასეთი რამ ხშირად არ ხდებოდა. რაც მეტი დრო გადის, მეგობრების წრე ვიწროვდება, მაგრამ მყარდება და უფრო ღირსეული ხდება. მცირედნი და რჩეულნი არიან და წარმოუდგენელია, მათგან ვიღაცამ წიგნი მოიპაროს, ან წაიღოს და უკან აღარ დააბრუნოს. ასეთი ფაქტები ჩვენს ცხოვრებაში აღარ ხდება. მე მაქვს რამდენიმე წიგნი, რომელიც, სადაც უნდა წავიდე, სულ თან დამაქვს. 90-იან წლებში, როდესაც ერთი კვირაც კი არ ხერხდებოდა ჩემი შინ ყოფნა (და ამით თავს არ ვიწონებ და ზოგიერთებივით ღრმა დევნილის პოზიციიდან თავს არ წარმოვაჩენ), როცა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა გვიწევდა, ყოველთვის თან დამქონდა ერთი ჩანთა, რომელიც ადგილიდან ადგილზე, სასტუმროებსა თუ სახლებში დავატარებდი. იმ წიგნებს შორის არის უნიკალური მსოფლიო ცივილიზაციის ტომები, გამოვარჩევდი III ტომს – **"ცეზარი და ქრისტე"**. ეს უნიკალური კულტუროლოგიური ნაშრომია, რომელიც არ შეიძლება, ყოველდღე არ გიზიდავდეს. საერთოდ, წიგნების გარეშე გატარებული ერთი დღეც კი დაკარგულად მიმაჩნია.

ა. კალანდაძე

გულბაათ რცხილაძე: "საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძველი და ახალი პრიორიტეტები"

საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ეს მოვლენა არაორდინალურია საპარლამენტო პრაქტიკაში, თუმცა არა პრინციპულად მიუღებელი და, მით უმეტეს, ლეგიტიმაციას მოკლებული. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რეზოლუციის მიღების მიზეზი – იგი განაპირობა მძაფრმა შიდაპოლიტიკურმა დაპირისპირებამ და არჩევნების შედეგად დამარცხებული **„ნაციონალური მოძრაობის"** დემაგოგიამ, საქართველოს საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით. საზოგადოდ, საშინაო და საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული, პრაქტიკულად მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში შიდაპოლიტიკური კონიუნქტურა მეტად ან ნაკლებად პოულობს ასახვას. საქართველოს პარლამენტის მიერ ამა წლის მარტში მიღებული რეზოლუციაც ამგვარი საშინაო კონიუნქტურის ანარეკლად უნდა განვიხილოთ.

მეორეს მხრივ, არც ის ფაქტორია მხედველობიდან გამოსარჩენი, რომ ადგილი აქვს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე გარე ძალების არსებით ზეგავლენას (სპეციალურად არ ვიყენებთ ფორმულირებას – **„საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა"**, თუმცა ამ ცნების გამოყენებაც სავსებით მართებული იქნებოდა). ჩვენ მოწმენი ვართ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, რიჩარდ ნორლანდის ჰიპერაქტიურობისა – ბატონი ელჩი ხან ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს ხვდება, ხან მეორისას, მუდმივად აკეთებს კომენტარებს პრესის წინაშე საქართველოს შიდაპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, მისივე განცხადებით, **„სწავლობს"** და **„აკვირდება"** ამა თუ იმ მოვლენას, უხვად არიგებს რჩევებსა და რეკომენდაციებს, კორექტულად, მაგრამ ფაქტობრივად მოძღვრავს ქართულ საზოგადოებას მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. არანაკლებ აქტიურობენ ევროპელები, ევროპარლამენტში წარმოდგენილი უმსხვილესი **„სახალხო პარტიის"** სახით, რომელიც **„ნაციონალურ მოძრაობას"** თავის პარტნიორად განიხილავს და 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ **„შეშფოთდა"** საქართველოში დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების ბედით. გარდა **„სახალხო პარტიისა"**, არც ევროკავშირის სტრუქტურები ტოვებენ საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესებს უყურადღებოდ. ყველა მათგანი კი ერთხმად განაგრძობს ქართული პოლიტიკური სპექტრის შეგულიანებას, გაგრძელებულ იქნას საქართველოს **„სვლა"** დასავლეთისკენ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებისკენ სწრაფვა და ა.შ.

არასტანდარტული საპარლამენტო რეზოლუციაც სწორედ ამ საშინაო და საგარეო ფაქტორების გამოძახილია, რომელიც აუცილებლად საჭიროებს საზოგადოების მხრიდან განხილვასა და შეფასებას. პირველ ყოვლისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს არ აქვს კანონის ძალა და იგი აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი ვერ იქნება. მით უმეტეს, ეს არ არის იმ ტიპის დოკუმენტი, რომელიც მომავალში ვერ გადაიხედება და მისი პრინციპები არ შეიცვლება. ამ მხრივ, რეზოლუციას დიდი იურიდიული დატვირთვა არ აქვს და ეს კარგია, რადგან სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მოქნილი, შეუბოჭავი უნდა იყოს და მას არ ესაჭიროება არტახებში მოქცევა. მაგრამ მიღებულ დოკუმენტს აქვს მორალური დატვირთვა, იგი ასახავს ლეგიტიმური პარლამენტის ნებას. სამწუხაროდ, **„ქართულ ოცნებას"** მოუწია, საგარეო ზეწოლის პირობებში დათმობებზე წასვლა და რეზოლუციაში გათვალისწინებულია **„ნაციონალური მოძრაობის"** წარმომადგენელთა აზრებიც. ალბათ გასაგებია, რატომ – სამწუხაროდ, ვინაიდან სწორედ **„ნაციონალურ მოძრაობას"** უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს უძლიერეს და უახლოეს მეზობელ რუსეთთან ურთიერთობების გაწყვეტას, ომსა და ამის შედეგად საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას. საქართველო რომ შემდგარი, სუვერენული სახელმწიფო იყოს, ახლა **„ნაციონალური მოძრაობა"** გასამართლებული იქნებოდა, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, ნაცვლად იმისა, რომ მასთან შეთანხმებული ყოფილიყო ქვეყნის სტრატეგია. მაგრამ ასეა თუ ისე, ახალმა მმართველმა პარტიამ ის მაინც მოახერხა, რომ ქვეყანას ააცილა სრული აბსურდი – კონსტიტუციაში საგარეო პოლიტიკური კურსის თაობაზე შენიშვნების ჩამატება. ისიც უნდა ითქვას, რომ თავად მიღებული საპარლამენტო რეზოლუციაც მთლიანობაში ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ზომიერია და იგრძნობა, რომ მმართველმა პარტიამ მაქსიმალურად შეაფერხა **„ნაციონალური"** დემაგოგიის ზეგავლენა რეზოლუციის ტექსტზე. მაგრამ დოკუმენტი შეიცავს რამდენიმე მიუღებელ პუნქტსაც, რომელთა პრაქტიკაში რეალიზება მთავრობის მხრიდან, ქვეყნის ინტერესებისთვის საზიანო იქნება.

პირველ ყოვლისა, პრინციპულად მიუღებელია დოკუმენტის მე-18 პუნქტი, რომლის მიზანი აშკარაა – არ უნდა იქნას დაშვებული რეალური დაახლოება საქართველოსა და რუსეთს შორის, ამ პუნქტში ამთავითვეა გამორიცხული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება რუსეთთან ისე, რომ თავად რუსეთი არც არის ნახსენები. გასაკვირი არაა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების თემა დემაგოგიურად არის მიბმული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხთან: **„საქართველოს არ შეიძლება ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმფებოდეს სამხედრო-პოლიტიკურ ან საბაჟო კავშირში იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. საქართველო გაატარებს თანამიმდევრულ საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საერთაშორისო პატივისცემის ურყეობა".**

რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაა საკითხის ამგვარი დასმა, რადგან საქართველო არ არის იმ მდგომარეობაში, რომ თავს ფუფუნება მისცეს, წინასწარ განსაზღვროს, ვისთან უნდა ჰქონდეს დიპლომატიური ურთიერთობა და ვისთან – არა, რომელ სახელმწიფოებთან დაამყაროს სავაჭრო ან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი და რომელთან – არა. მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ასეთ პოლიტიკას ატარებს და ტაივანის აღიარებას დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის მუქარით აბრკოლებს, მესამე სახელმწიფოების მხრიდან, მაგრამ ეს არის ჩინეთი, თავისი უზარმაზარი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენით მსოფლიო დონეზე, რომელსაც საქართველო ამ შემთხვევაში აუცილებლად არ უნდა ბაძავდეს. საქართველოსთვის უფრო საინტერესო უნდა იყოს სერბეთის მაგალითი, რომელსაც დასავლეთმა მისი უძველესი მიწა-წყალი – კოსოვო ჩამოაჭრა და დამოუკიდებლად აღიარა. სერბებისთვის ეს არანაკლები ტრაგედიაა, ვიდრე საქართველოსთვის აფხაზეთი და სამაჩაბლო, მაგრამ სერბეთის სახელმწიფოს არ გაუწყვეტია დიპლომატიური ურთიერთობები კოსოვოს ამღიარებელ სახელმწიფოებთან და თან **„ოკუპანტ"** ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებისკენ მიისწრაფვის. საქართველოსთვის უზარმაზარი მეზობელი რუსეთი იგივე მნიშვნელობისაა, რა მნიშვნელობაც სერბეთისთვის აქვს ევროკავშირს, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან. თუკი საქართველომ თავიდანვე გამორიცხა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობები, სადაც რუსეთი მონაწილეობს, ეს იქნება კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ვერ დაგვაახლოებს საქართველოს გაერთიანების მიზანთან.

მაგრამ ინტეგრაციული პროცესებიდან საკუთარი თავის გამიჯვნაზე კიდევ უფრო მძიმე იქნება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე უარის თქმა. **„ნაცური"** დემაგოგია იმის თაობაზე, რომ დიპლომატიური ურთიერთობების განახლება იმ სახელმწიფოსთან, რომელმაც **„ოკუპაცია"** მოახდინა და აღიარა ჩვენი ტერიტორიები, ამ ტერიტორიების ჩვენი მხრიდანაც აღიარების ტოლფასი იქნება, კრიტიკას ვერ უძლებს. დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მომენტში საქართველოს შეუძლია, წერილობით და ზეპირად, ოფიციალურად დააფიქსიროს, რომ იგი არასოდეს გაიზიარებს რუსეთის მხრიდან თავისი ტერიტორიების აღიარებას და რომ რუსეთი და საქართველო ამ კონკრეტულ საკითხზე ვერ თანხმდებიან. ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ საქართველოს მხრიდან აღიარება გამოირიცხოს. პირიქით, დიპლომატიური ურთიერთობები და საერთოდ, რუსეთთან დაახლოება, საქართველოს შანსებს ბევრად ზრდის, მომავალში გავლენა იქონიოს აფხაზეთთან და შიდა ქართლის რეგიონთან დაკავშირებულ პროცესებზე. მრავალჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ: საქართველოს არაკეთილმოსურნეებს არაფრის ისე არ ეშინიათ, როგორც რუსეთის და საქართველოს ერთმანეთთან დაახლოებისა. არავის აღელვებს არც სოხუმში და არც ცხინვალში, თუკი თბილისი ასიათასჯერ გაიმეორებს, რომ მას ნატოში და ევროკავშირში სურს შესვლა. ხოლო როცა საქმე რუსეთთან ურთიერთობების დათბობას ეხება, სეპარატისტების ემისრები რუსეთში მაშინვე აქტიურდებიან, რუსულ პრესაში ჩნდება აშკარად დაკვეთილი ხასიათის ანტიქართული სტატიები, იწყება ისტერია იმის თაობაზე, რომ რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზების და ოსების **„ზურგს უკან"** არ განახორციელოს მოლაპარაკებები საქართველოსთან და ა. შ. ამ მხრივ უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ვიზიტს მოსკოვში, რომელიც ამა წლის იანვარში შედგა. გარდა იმისა, რომ პატრიარქმა გაადნო ყინული და საფუძველი ჩაუყარა ორმხრივი ურთიერთობების აღდგენას, მისმა ვიზიტმა დიდი შეშფოთება და აყალ-მაყალი გამოიწვია ანტიქართულად განწყობილ ელემენტებში, რომლებიც სოხუმისა და ცხინვალის გარდა, სამწუხაროდ, მოსკოვშიც უხვად არიან. ამის შესახებ ჩემთვის ჩემი რუსი კოლეგებისგან არის ცნობილი. ამ შეშფოთებამ ნაწილობრივ გამოხატულება ჰპოვა საჯარო სივრცეშიც – ამოქმედდა სეპარატისტების დიპლომატია, კავშირ-ურთიერთობები, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური განცხადება გააკეთებინეს, რომ მოსკოვი არ აპირებს დამოუკიდებლობის უკან წადებას და საქართველოსთან ურთიერთობების დალაგებას აფხაზების და ოსების ხარჯზე... გოჩა ძასოხოვს თავის მართლება მოუწია იმის გამო, თუ რატომ შეხვდა უწმინდეს პატრიარქს...

ყოველივე ეს ნათლად აჩვენებს, თუ როგორ უკარგავს მოსვენებას გარკვეულ ელემენტებს საქართველოს რუსეთთან დაახლოების იდეა და კერძოდ, პატრიარქის მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები. ამ ფონზე ქართული სახელმწიფო პასიურად არ უნდა იქცეოდეს და **„ნაცპროპაგანდით"** დარეტიანებული, შეცდომას შეცდომაზე არ უნდა უმატებდეს. უკვე უიმედოდ მოძველდა თავგამოდებითი ორიენტაცია დასავლეთზე, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან და რუსეთში უნდა იმუშაოს ინტენსიურად. ეს არ იქნება ადვილი, ჩვენ წინ გველის ბრძოლა, დიდი ბრძოლა, მაგრამ ეს გამოწვევა უნდა მივიღოთ და განვსაზღვროთ ჩვენი ახალი პრიორიტეტი – რუსეთთან არა მხოლოდ ზერელე დაშოშმინება და გაუთავებელი დიალოგი, არამედ მეტი აქტიურობა, დაახლოება და შედეგი გვჭირდება! ეს კი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის გარეშე, უბრალოდ ძნელი წარმოსადგენია, თორემ სხვა მხრივ, შეიძლება კიდეც, მოვახდინოთ სიტუაციის დაკონსერვება და ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სანამ შორეულ და რთულად განსახორციელებელ მიზნამდე მივალთ – საქართველოს ერთიანობის საკითხის გადაწყვეტამდე, მანამდე ბევრი საჭირბოროტო საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი, რომელიც რუსეთის გარეშე არ მოგვარდება – ვაჭრობა, შრომითი მიგრაცია, სავიზო რეჟიმის შერბილება და პერსპექტივაში მოხსნა... ყოველივე ეს დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე მხოლოდ ნაწილობრივ მოგვარებადია. საქართველოს კი განვითარებისთვის სიახლეები სჭირდება.

აუცილებლად უნდა გაგრძელდეს **„ნაციონალური მოძრაობის"** დასუსტების და პოლიტიკური პროცესებისგან ჩამოშორების პროცესი. ისე არ უნდა მოხდეს, რომ **„ნაცები"** ფიზიკურად ხელისუფლებაში არ იქნებიან, მაგრამ ოპოზიციიდან, ისტერიითა და დემაგოგიით მოახდინონ გავლენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის სფეროში. სააკაშვილის დამქაშებისთვის რუსეთთან ურთიერთობის თემა პროპაგანდისტური ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებას დიდი ინტელექტი არ სჭირდება – მთავარია, ისპეკულანტო ტერიტორიების თემით და ემოციური ფონის დაძაბვა გარანტირებულია. მე არ ვგულისხმობ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, არამედ ხელისუფლების მხრიდან დემაგოგებისა და პროვოკატორების იგნორირების აუცილებლობას. ხალხის მხარდაჭერა ხელისუფლებას ამ საკითხში გარანტირებული აქვს, ამას არაერთი სოციოლოგიური გამოკითხვა მოწმობს – ქართველ ხალხს სურს რუსეთთან დაახლოება, მასთან სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და რაც მთავარია, სულიერი ურთიერთობების გაღრმავება. კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ყოველივე ამის სრულფასოვანი განხორციელება პოლიტიკური გადაწყვეტილებების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ **„ნაციონალების"** პროპაგანდას ყური ხელისუფლებამ არ უნდა ათხოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნამდვილად ახდება კახა ბენდუქიძის სატელევიზიო **„პროგნოზი"** იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილის ხელისუფლებას დაახლოებით ერთ წელიწადში მკვეთრად გაუფუჭდება აწ უკვე ნელ-ნელა დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტი ურთიერთობები რუსეთთან. ამის შესახებ იმავე სატელევიზიო გადაცემაში განვაცხადე და ახლაც ვაცხადებ.

იმისათვის, რათა ხელისუფლებამ მეტი სითამამე გამოავლინოს და ხალხის მხარდაჭერის ირწმუნოს, საზოგადოებამ უფრო აქტიურად და შეუნიღბავად უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია რუსულ-ქართული ურთიერთობების მიმართ. აუცილებელი არაა, ყველა პოლიტიკის სპეციალისტი იყოს (მით უმეტეს, სამწუხაროდ, სულ ერთი მუჭა სპეციალისტები გვყავს, **„ექსპერტებად"** მონათლულ დილეტანტებს და თვითმარქვიებს თუ არ ჩავთვლით). პირიქით, სწორედ აპოლიტიკურმა და უპარტიო მოქალაქეებმა, რომლებიც თავიანთ სფეროში არიან სპეციალისტები, მაგრამ რუსულ-ქართული ურთიერთობების თემა მათ ინტერესებს ეხება ან ხვდებიან, რომ ეს თემა ქვეყნის საერთო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი. ამ პროცესის წარმატებულ დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ ევრაზიის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული ინიციატივა, როდესაც 27 თებერვალს, სასტუმრო **„ვერე-პალასში"** ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, ასევე ვეტერანი სპორტსმენები და ახალგაზრდობა შეიკრიბნენ. ხსენებული შეკრებით გაიხსნა საზოგადოებრივი დისკუსიები რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე. საინტერესოა, რომ თითქმის 100 ადამიანი შეიკრიბა 27 თებერვალს და სრული ერთსულოვნება სუფევდა მათ შორის განსახილველ თემაზე (ერთი გამონაკლისის გარდა). სწორედ ამ გარემოებამ გააღიზიანა **„ნაციონალების"** მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები და ატყდა აურზაური, შეკრების მონაწილე ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის გამოძახება სატელევიზიო შოუებში მონაწილეობის მისაღებად და იქ ჟურნალისტებად მონათლული **„ნაციონალების"** მიერ წნეხში გასატარებლად. ასეთი ნათელი მაგალითია ე. კვესიტაძის მიერ მომზადებული გადაცემა **„აქცენტები"**, სადაც იგი შეეცადა, ირმა სოხაძისა და ჯემალ სეფიაშვილის ფსიქოლოგიურ ტერორიზებას – ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. გამომდინარე აქედან, მივიჩნევ, რომ ევრაზიის ინსტიტუტის წამოწყება აბსოლუტურად გამართლებულია და საჭირო. უახლოეს ხანებში შეხვედრების ფორმატი გაფართოვდება და ტრიბუნა მიეცემა ყველა მსურველს. ხელისუფლებამ კი ეს უბრალოდ უნდა შენიშნოს, დაინახოს და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს, მას ჩვენგან მეტი არაფერი მოეთხოვება.

გულბაათ რცხილაძე,
პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი
საქინფორმი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ლეგიონის უქმეები: ოქრიაშვილის დუბლი, კანკავას გოლი, არველაძის სენსაცია

გასულ უქმეებს ნამდვილად არ ეთქმოდა უფერული და წარუმატებელი – რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა თავი ნამდვილად გამოიჩინა. ფეხბურთელთა მონაგართან ერთად, აღსანიშნავია შოთა არველაძის წარმატებაც, რომლის შესახებაც ქვემოთ წაიკითხავთ.

ჰოლანდიის ერედივიზიაში ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა **"ვიტესმა"** და მართალია, სატურნირო ცხრილში დღეისთვის მეოთხე ადგილზეა, მაგრამ ლიდერ **"აიაქსს"** მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

არნემელებმა სტუმრად **"დენ ჰააგი"** 4:0 გაანადგურეს. **"ვიტესის"** კაპიტანი გურამ კაშია 88-ე წუთზე შეცვალეს, ვაკო ყაზაიშვილი კი კვლავ თადარიგში დარჩა.

ჯანო ანანიძე მოსკოვის **"სპარტაკის"** რეზერვში დარჩა. დედაქალაქურ დერბიში მისმა გუნდმა **"ლოკომოტივს"** უმასპინძლა და 0:0 ეთამაშა.

ვლადიკავკაზის **"ალანიას"** სათადარიგოებში იყო გიორგი ჭანტურია, ხოლო გუნდის კიდვე ერთი ახალწვეული მამუკა კობახიძე გუნდის 18-კაციან განაცხადში კვლავ არ ყოფილა.

"ალანია" გასვლით შეხვედრაში **"ამკართან"** 1:5 განადგურდა.

ნუკრი რევიშვილი **"კრასნოდარის"** განაცხადში კვლავ არ გამოჩენილა. მისი გუნდი სტუმრად მოსკოვის ცსკა-სთან 0:1 დამარცხდა.

"კრილია სოვეტოვმა" სტუმრად მახაჩყალის **"ანჟისთან"** 1:1 ითამაშა და ამით დაღესტნელებს რუსეთის ჩემპიონობის შანსები შეუმცირა.

36-ე წუთიდან მოყოლებული, სამარელები კაცნაკლულნი თამაშობდნენ: ქართველმა მცველმა ალექსანდრე ამისულაშვილმა მატჩის მე-18 წუთზე პირველი გაფრთხილება მიიღო, 36-ეზე კი მეორე ყვითელი ბარათიც უჩვენეს და მოედანი დაატოვებინეს.

აკაკი ხუბუტიას **"მორდოვია"** სანკტ-პეტერბურგში **"ზენიტს"** მედგრად ებრძოლა, მაგრამ მაინც დამარცხდა – 0:1. სარანსკელთა ქართველმა უკანახაზელმა სრულად ითამაშა.

* * *

რუსეთისგან განსხვავებით, ჩვენი რამდენიმე თანამემამულისთვის კარგად წარიმართა ამბები უკრაინის პრემიერლიგაში.

უპირველესად, მარიუპოლის **"ილიჩევეცის"** ნახევარმცველი თორნიკე ოქრიაშვილი უნდა გამოვარჩიოთ, რომელსაც თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ გასული უქმეების საუკეთესო ქართველი ლეგიონერი.

მან კიევის **"არსენალთან"** საშინაო მატჩში (2:1) დუბლი შეასრულა – თავისი გუნდი ჯერ 62-ე წუთზე თერთმეტმეტრიანით დააწინაურა, 79-ეზე კი გამარჯვების გოლი გაიტანა.

თორნიკე შეხვედრის მიწურულს შეცვალეს, მისი თანაგუნდელი დავით თარგამაძე კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა და თამაშის საშუალება არ მისცემია.

ლვოვის **"კარპატი"** სტუმრად ზაპოროჟიეს **"მეტალურგს"** 1:1 დაუზავდა. ლვოველთა შემადგენლობაში მურთაზ დაუშვილმა და ლევან ყენიამ შეუცვლელად ითამაშეს.

"ზარიამ" "ვოლინს" უმასპინძლა და 3:1 მოუგო. ჯაბა ლიპარტია მასპინძელთა ძირითად შემადგენლობაში იყო და 62-ე წუთზე შეცვალეს.

"დნიპრო", მოულოდნელად, საკუთარ მოედანზე 1:2 დამარცხდა **"კრივბასთან".**

მასპინძლები შეხვედრის 33-ე წუთზე ჯაბა კანკავამ დააწინაურა, თუმცა კრივოიროგელებმა მეორე ტაიმში ორი გოლის გატანა და ფავორიტისთვის სამი ქულის ართმევა შეძლეს.

კანკავამ მოედანზე 90 წუთი გაატარა, მისი თანაგუნდელი ალექსანდრე კობახიძე სათადარიგო იყო, კრივბასელი უჩა ლობჟანიძე კი შესვენებისას შეცვალეს.

ამ მარცხით **"დნიპრომ"** ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელი მეორე ადგილი კიევის **"დინამოს"** გადაულოცა, თუმცა პრემიერლიგის დასრულებამდე მთელი ათი ტურია დარჩენილი.

* * *

შოთა არველაძის მიერ გაწვრთნილმა **"ქასიმფაშამ"** სტამბულურ დერბიში ხმაურიანი სენსაცია მოახდინა – გასვლაზე **"ბეშიქთაშს"** 3:1 სძლია და სუპერლიგაში მეხუთე პოზიციაზეა.

ზურაბ ხიზანიშვილის **"ქაისერისფორმა" "გალათასარაის"** უმასპინძლა და 1:3 დამარცხდა.

ქაისერელმა ქართველმა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტის წინააღმდეგ შეუცვლელად იასპარეზა. მატჩს მადრიდის **"რეალის"** თავკაცი ჟოზე მოურინიო დაესწრო, რომელმაც მომავალი მეტოქე ცოცხლად დაზვერა.

* * *

სასიამოვნოა, რომ ლევან კობიაშვილი მყარად დაბრუნდა **"ჰერტას"** სასტარტო შემადგენლობაში. ბერლინელთა მაისურით ვეტერანმა ქართველმა მორიგი სრული მატჩი ჩაატარა – კვლავ მარცხენა მცველის პოზიციაზე.

"ჰერტამ" სტუმრად **"მიუნხენ 1860"**-თან 0:0 ითამაშა და პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნების შესანიშნავ შანსს ინარჩუნებს.

აი, **"ბოხუმსა"** და მის ქართველებს კი საქმეები არცოუ სახარბიელოდ მისდით. მათი გუნდი საკუთარ კედლებში **"ბრაუნშვაიგთან"** 0:1 დამარცხდა და სახიფათო ზონამდე ორიოდე ქულა აშორებს.

ალექსანდრე იაშვილი მოედანზე 84-ე წუთზე შევიდა, ხოლო ნიკოლოზ გელაშვილი ბოლომდე თადარიგში დარჩა.

* * *

ქართველმა ფეხბურთელმა ლადო დვალიშვილმა **"ლეგიას"** გამარჯვებაში წვლილი საკუთარი გოლით შეიტანა. მისმა გუნდმა შინ **"გურნიკი"** 3:0 გაანადგურა.

ქართველმა ფორვარდმა, რომელიც მოედანზე 86-ე წუთზე შევიდა, თავი მსაჯის მიერ კომპენსირებულ მესამე წუთზე გამოიჩინა.

"ლეგია" პოლონურ ექსტრაკლასას ლიდერობს და უახლოეს მდევარ **"ლეხს"** 4 ქულით უსწრებს.

* * *

დანიის სუპერლიგაში **"ორჰუსმა"** საკუთარ მოედანზე **"ოდენსეს"** 2:1 აჯობა. მასპინძელთა რიგებში მათე ვაწაძემ შეუცვლელად ითამაშა, ხოლო სასტარტოში გამწესებული დავით დევდარიანი 68-ე წუთზე დავით სხირტლაძემ შეცვალა.

* * *

საფრანგეთის ლიგა 2-ში გიორგი მაკარიძის **"ლე მანი"** საკუთარ მოედანზე 0:3 განადგურდა **"ნიმთან".** ქართველი მეკარე სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

* * *

იტალიის სერია B-ში **"ემპოლიმ"** საკუთარ მოედანზე **"ლანჩანოსთან"** 2:2 ითამაშა. მასპინძელთა შემადგენლობაში ირაკლი შეყილაძე 89-ე წუთიდან გამოჩნდა, მისი თანაგუნდელი ლევან მჭედლიძე კი კვლავ ტრავმირებულია.

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა ცნობილი ჟურნალისტები ნიკო ნიკოლაძის პრემიით დააჯილდოვა

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა, ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით გამორჩეული ჟურნალისტები ნიკო ნიკოლაძის პრემიით დააჯილდოვა.

დაჯილდოების დაწყებამდე პრემიის მომავალ მფლობელებსა და მოწვეულ სტუმრებს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავჯდომარემ ჰამლეტ გეგიამ მიმართა, მან მიულოცა დამსწრე საზოგადოებას ჟურნალისტთა საერთაშორისო დღე და იმედი გამოთქვა, ამ დღის ოფიციალურად დაკანონებასთან დაკავშირებით.

ჟურნალისტიკაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის ნიკო ნიკოლაძის პრემიის მფლობელები გახდნენ:

ნოდარ ტაბიძე, ირმა ინაშვილი (**"ობიექტივი"**), ლუბა ელიაშვილი (**"მეცხრე არხი"**), ნინო ჟიჟილაშვილი (**"მაესტრო"**), ლაშა ნადარეიშვილი (გაზ. **"ასავალ-დასავალი"**), ტატო ლასხიშვილი (გაზ. **"სვობოდნაია გრუზია"**), ლაშა ტუღუში (გაზ. **"რეზონანსის"** მთავარი რედაქტორი), ირაკლი თოდუა (გაზ. **"საქართველო და მსოფლიოს"** მთავარი რედაქტორი)...

გაზეთი "ილორი", სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" გულითადად ულოცავენ ჩვენს მეგობარსა და თანამებრძოლს ბატონ ირაკლი თოდუას მისი ღვაწლის დაფასებას ესოდენ მაღალი ჯილდოთი და უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და მაღალპროდუქტიულ შემოქმედებით საქმიანობას!

იუმორი

საქართველო, თბილისი, გასული საუკუნის 80-იანი წლები. ინტელიგენტური გარეგნობის ყმაწვილი, სავარაუდოდ, გვარად სააკაშვილი, ახალი ავტომანქანა „ვოლგის" ფრთაზე უდარდელად მიყრდნობილ ულვაშიან მამაკაცთან მივიდა, რომელიც ათმანეთიანების სქელ დასტას თვლის, და ეკითხება:

– მაპატიეთ, გეთაყვა, ვერ მეტყვით, საჯარო ბიბლიოთეკასთან როგორ მივიდე?

მამაკაცმა თავი ასწია, ყმაწვილს შემფასებლური თვალით ახედ-დახედა და უპასუხა:

– მომისმინე, ბიჭო, საქმეს მიხედე, საქმეს!

საქართველო, თბილისი, 2013 წლის 8 თებერვალი. მოქალაქეს, გვარად სააკაშვილს, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტობისას ხელისუფლება საროსკიპო სახლად აქცია, არ უშვებენ მის მიერვე აშენებულ პარლამენტში, საჯარო ბიბლიოთეკაში და ის სიტყვების ბრახა-ბრუხით გამოდის ავლაბრის რეზიდენციაში...

მომისმინე, მიშაჯან, საქმეს მიხედე, საქმეს!



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge